



კავკასიის
საერთაშორისო
უნივერსიტეტი
CAUCASUS
INTERNATIONAL
UNIVERSITY

სტუდენტთა III სამეცნიერო ნაშრომთა კრებული:

სამართლის აქტუალური საკითხები

III Collection Of Student's Scientific Papers:

CURRENT ISSUES OF LAW

ISBN 978-9941-26-541-9



9 789941 265419

თბილისი, 2019

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

Caucasus International University

**სტუდენტთა ნაშრომების კრებული:
სამართლის აქტუალური საკითხები**

№3

**COLLECTION OF STUDENTS' PAPERS:
CURRENT ISSUES OF LAW**



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2019

სარედაქციო კოლეგია:

მარიამ ჯიქია – სამართლის დოქტორი კსუ-ს საერთაშორისო
სამართლის კვლევითი ლაბორატორიის
ხელმძღვანელი

თამარ ნადირაშვილი – კსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ეკა თხილავა – კსუ-ს სწავლული მდივანი; სოციალურ
მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული
პროფესორი

ანუკი წივნივაძე – კსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის
სამსახურის უფროსი

© კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2019

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2019

თბილისი, 0186, ა. ჯორჯიაშვილის №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-541-9

სარჩევი

მაია თოლორდავა..... 5
საკონსტიტუციო კონტროლი და ხელისუფლების დანაწილების პრინციპი

სოფიო დემეტრაშვილი..... 19
საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალა საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში

სალომე ფიფია 30
საერთაშორისო საზოგადოების როლი ისრაელი-პალესტინის კონფლიქტში

ეკატერინე ჭელიძე..... 42
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში

რუსლან ალექსიძე 50
სამკვიდროს გაყოფის შესახებ სამოქალაქო კოდექსის ნორმები და მისი სრულყოფის პერსპექტივები

ირაკლი ბუთურიშვილი, ნუგზარ გრიგალაშვილი 59
ქალაქის არქიტექტურული მოწყობა, რომორც დანაშაულის ჩადენის გამომწვევი გარემოება

თამარ ლლონტი 69
ქვემო აღმასრულებლის ინსტიტუტის პრობლემები საქართველოში

ნელი კოტორაშვილი..... 78
დიკლომატიური იმუნიტეტი

გიორგი ჯანჯალაშვილი..... 82
მოსამართლის გამოსახატვის თავისუფლების ფარგლები პრეცედენტულ სამართალში

მარიკა ჯიქია 89
მონოპოლია და იძულებითი შრომის აკრძალვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-4 მუხლის მიხედვით

საკონსტიტუციო კონტროლი და ხელისუფლების დანაწილების პრინციპი

შესავალი

„საზოგადოებას, რომელშიც გარანტირებული არ არის ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები და უზრუნველყოფილი არ არის ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, სრულებით არ გააჩნია კონსტიტუცია“¹

სამართლის განვითარებასთან ერთად სულ უფრო აქტუალური ხდება ახალი ურთიერთობების მოწესრიგებისა და რეგულირების საკითხი, იმისთვის რომ სახელმწიფოში არსებობდეს ერთიანი სამართლებრივი სისტემა და ყველა აქტი შეესაბამებოდეს კონსტიტუციას, არსებობს საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმი, აღნიშნული ინსტიტუტის როლი საკმაოდ მნიშვნელოვანია დემოკრატიული სახელმწიფოს შენების გზაზე.

საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებს სპეციალიზებული ორგანო, კერძოდ საკონსტიტუციო სასამართლო. იგი მიმართულია კანონმდებლობის ერთიანობის, ხელისუფლების შტოთა გაწონასწორების და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. საკონსტიტუციო სასამართლოს ექსკლუზიურ უფლებამოსილებას კომპეტენციური დავების გადაწყვეტა წარმოადგენს, იგი ერთადერთი კონსტიტუციური ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს კომპეტენციური დავები სახელმწიფო დაწესებულებათა შორის.

1. საკონსტიტუციო კონტროლის არსი

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა, რომელიც სასამართლო ხელისუფლებას საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით ახორციელებს. იგი უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებას და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.² აღნიშნული მიზნების მიღწევა საკონსტიტუციო სასამართლოს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების მეშვეობით შეუძლია და იგი მის ძირითად და უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს.

საკონსტიტუციო კონტროლის უმთავრესი ამოცანაა სამართლებრივი აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენა, შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში კი სათანადო ზომების განხორციელება, მათი კონსტიტუციასთან თანხვედრაში მოყვანის მიზნით. სწორედ საკონსტიტუციო კონტროლის მეშვეობით არის შესაძლებელი კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპის დაცვა და გამყარება.³

¹ „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის“ მე-16 მუხლი, საფრანგეთის ეროვნული ასამბლეა, 1789.

² „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი.

³ კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი (დისერტაცია), თსუ, თბილისი, 2008, 20.

სასამართლოს უფლებამოსილება, შეამოწმოს აქტის შესაბამისობა კონსტიტუციასთან, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოიხსენიება, როგორც სასამართლო გადახედვა - Judicial Review, კონტინენტური სამართლის ქვეყნებში კი მას საკონსტიტუციო კონტროლს უწოდებენ.⁴

2. საკონსტიტუციო კონტროლის განვითარების გზა თანამედროვე მსოფლიოში

საკონსტიტუციო კონტროლის პირველ პრეცედენტს აშშ-ში ვხვდებით, კერძოდ, მე-17 საუკუნის 80-90 წლებში აშშ-ს ცალკეულ შტატებში სასამართლოები ამოწმებდნენ შტატების კანონმდებლობის შესაბამისობას კონსტიტუციასთან, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აშშ-ში საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმს საფუძველი დაედო 1803 წელს, როდესაც აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ განიხილა საქმე „მერბერი მედისონის წინააღმდეგ“, მოსამართლე ჯ. მარშალმა ფაქტიურად გააუქმა ფედერალური კანონი და განაცხადა, რომ სასამართლოს უფლება აქვს არაკონსტიტუციურად ცნოს კონგრესის ისეთი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.⁵ მან გადაწყვეტილებაში აღნიშნა: „თუ სასამართლოს არ ექნება კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება, არც ქმედითი საშუალებები იარსებებს და კონგრესის ძალაუფლება შეუზღუდავი იქნება, შესაბამისად ვერც კონსტიტუციური მმართველობა დამყარდება“. აღნიშნული გადაწყვეტილებით ჯ. მარშალმა უმაღლეს სასამართლოს კონსტიტუციური კონტროლის ფუნქცია დაუდგინა. სახელმწიფო ხელისუფლებათა ნორმალური ფუნქციონირებისათვის სასამართლო კონტროლის ინსტიტუტი ისეთი მნიშვნელოვანი გახდა, რომ სხვა სახელმწიფოებმა კონსტიტუციით პირდაპირ გაითავალსწინეს საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმები.⁶

კელზენმა შეიმუშავა საკონსტიტუციო კონტროლის ახალი კონცეფცია, ის თვლიდა, რომ კონსტიტუციური ნორმების შეფასება არა საკანონმდებლო ხელისუფლებას, არამედ პარლამენტისგან დამოუკიდებელ ორგანოს უნდა მოეხდინა, რადგან პარლამენტი თავად გამოსცემს კანონებს. შესაბამისად უნდა ჩამოყალიბდეს სპეციალური კონსტიტუციური სამართალწარმოება, იგი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი და მისი კონტროლის ორგანო იქნება. ამგვარი სამართალწარმოება პირველად ავსტრიის კონსტიტუციით დაწესდა 1920 წელს, რომლის შემქნელიც კელზენი გახლდათ. კელზენის კონცეფცია მოგვიანებით, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, გაიზიარეს სხვა ევროპულმა სახელმწიფოებმაც. კელზენისეული მოდელით იყო შთაგონებული ესპანეთის 1978 წლის კონსტიტუციის შემქნელიც, საბოლოოდ კი კელზენისეული კონცეფცია დამკვიდრდა ევროპის კონტინენტის ყველა დიდ დემოკრატიულ ქვეყანაში.⁷ აღნიშნულმა მოდელმა ფეხი მოიკიდა კონტინენტური სამართლის ქვეყნებში, შეერთებული შტატების მოდელი კი საერთო სამართლის ქვეყნებში გავრცელდა.⁸

დღევანდელ მსოფლიოში არსებობს საკონსტიტუციო კონტროლის სხვადასხვა მოდელები, მათგან შეგვიძლია გამოვყოთ ოთხი ძირითადი: 1) ანგლოსაქსური მოდელი, სადაც საკონსტიტუციო კონტროლს საერთო იურისდიქციის სასამართლოები ახდენენ. სახელმწიფოთა ნაწილში საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება ყველა ინსტანციის სასამართლოს აქვს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას უზენაესი სასამართლო იღებს (სკანდინავიის ქვეყნები, იაპონია, აშშ, მექსიკა,

⁴ ტაშნეტი მ., შედარებითი კონსტიტუციური სამართლის საწყისები, ვ. გოგელია (მთარგმნელი), თბილისი, 2016, 59.

⁵ კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი (დისერტაცია), თსუ, თბილისი, 2008, 21,38.

⁶ გოგიაშვილი გ., შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2014, 370.

⁷ ლოვო ფ., თანამედროვე დიდი დემოკრატიები, მ. ზალავაძე, ნ. ცქიტიშვილი (მთარგმნელები), თბილისი, 2002, 102-103.

⁸ ტაშნეტი მ., შედარებითი კონსტიტუციური სამართლის საწყისები, ვ. გოგელია (მთარგმნელი), თბილისი, 2016, 73-74.

არგენტინა), ხოლო დანარჩენ სახელმწიფოებში მხოლოდ უზენაესი სასამართლოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება (ირლანდია, მალაიზია, ავსტრალია, ინდოეთი, კანადა); 2) ევროპული მოდელი, სადაც საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისათვის არსებობს სპეციალური ორგანოები, ეს შეიძლება იყოს საკონსტიტუციო სასამართლო, საკონსტიტუციო კომიტეტი ან საბჭო. ევროპულ მოდელს ვხვდებით ევროპის უმეტეს და ყოფილ საბჭოთა სახელმწიფოებში; 3) ზოგიერთი სახელმწიფო თავად ავითარებს მისთვის ყველაზე „მორგებულ“ საკონსტიტუციო კონტროლის მოდელს, მაგალითად საბერძნეთში, ეკვადორსა და სამხრეთ აფრიკაში დამკვიდრდა შერეული მოდელები, სადაც საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება ხდება, როგორც სპეციალიზებული ორგანოს ისე საერთო იურისდიქციის მქონე სასამართლოთა მიერ; 4) ჩინეთში, კუბაში, ვიეტნამსა და კორეაში ვხვდებით საპარლამენტო მოდელს, აქ საკონსტიტუციო კონტროლი პარლამენტის, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის, სახელმწიფო საბჭოსა და სხვა მუდმივმოქმედი კოლეგიური ორგანოების მიერ ხორციელდება.⁹

როგორც ვხედავთ, საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია გააჩნია და დღესდღეობით ის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სამართლის განვითარების საქმეში.

3. საკონსტიტუციო კონტროლის ისტორიული ექსკურსი ქართულ კანონმდებლობაში

ზოგადად, როდესაც საკონსტიტუციო კონტროლზე ვსაუბრობთ, რა თქმა უნდა, მისი განხილვა კონსტიტუციით უნდა დავიწყოთ. თუმცა, სასამართლო კონტროლის ინსტიტუტი უცხო არ ყოფილა მანამდე არსებული ქართული კანონმდებლობისთვისაც.

1918 წლის 20 სექტემბერს მიღებულ იქნა „დებულება რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლოს შესახებ“.¹⁰ დებულების მე-13 მუხლის თანახმად „უკეთუ უთანხმოება ჩამოვარდა საქმის ქვემდებარეობის გამო, საკითხს გადასწყვეტს სასამართლოს პალატა“. შესაბამისად, აღნიშნულმა აქტმა გარკვეული ზედამხედველობისა და კონტროლის მექანიზმი შემოიღო იმ დროინდელ სასამართლო სისტემაში.

1918 წლის 24 სექტემბერს მიღებულ იქნა „კანონი მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შესახებ“, რომლითაც შემოღებულ იქნა მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი.¹¹

1919 წლის 29 ივლისს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა „სენატის დებულება“. დებულების მიხედვით, საქართველოს სენატი იყო უზენაესი სასამართლო, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს კანონის დაცვასა და მის სისწორით შესრულებას მთავრობის ყოველი დაწესებულებების, თანამდებობის პირთა და ადგლობრივი თვითმმართველობის მხრიდან. დებულების მე-6 მუხლის თანახმად „უკეთუ სენატი დაინახავს უკეთუ მინისტრის თუ მთავრობის სხვა უმაღლესი წარმომადგენლის ცირკულიარი, განკარგულება ან სავალდებულო დადგენილება ეწინააღმდეგება კანონებს, განკარგულება უნდა გამოსცეს მათთვის მოქმედების შეჩერებისთვის ან გააუქმოს იგი სავსებით ან ნაწილობრივ“. დებულების 34-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად სენატი განიხილავდა „მთავრობის დაწესებულებათა შორის კომპეტენციის გამო ატეხილ დავებს“. 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი სენატის საკასაციო დეპარტამენტი საბოლოოდ წყვეტდა იმ დავებს, რომელიც „აღიძვრა კომპეტენციის

⁹ კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი (დისერტაცია), თსუ, თბილისი, 2008, 46-47.

¹⁰ 1918 წლის 20 სექტემბერის „დებულება რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლოს შესახებ“ <http://www.nplg.gov.ge/> [16.06.2019].

¹¹ 1918 წლის 24 სექტემბერის „კანონი მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შესახებ“ <http://www.nplg.gov.ge/> [16.06.2019].

გამო სასამართლოსა და მთავრობის დაწესებულებებს შორის, ასევე სხვადასხვა უწყებების სასამართლოს შორის“.¹² აღნიშნული მუხლების ანალიზი ცხადყოფს, რომ იმდროინდელ საქართველოში უკვე არსებობდა სასამართლო კონტროლი, სენატი ახორციელებდა კანონმდებლობის ზედამხედველობას, ასევე განიხილავდა სახელმწიფო დაწესებულებებს შორის არსებულ კომპეტენციის შესახებ დავებს.

1921 წლის 21 თებერვალს მიღებულ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია. კონსტიტუცია საქართველოს პოლიტიკური წყობილების ფორმად დემოკრატიულ რესპუბლიკას აცხადებდა, მასში ასევე განმტკიცებული იყო ხელისუფლების დანაწილების პრინციპი. კონსტიტუციის მე-8 მუხლის თანახმად კონსტიტუცია განიხილებოდა სახელმწიფოს უზენაეს კანონად, დაუშვებელი იყო ისეთი კანონის, დეკრეტის, ბრძანების ან განკარგულების გამოქვეყნება, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მას. კონსტიტუციის მე-9 მუხლის თანახმად კი „კონსტიტუციის მიღებამდე გამოცემული და გამოქვეყნებული კანონი და დეკრეტი ძალაში რჩება, უკეთუ კონსტიტუციასა და მის პრინციპებს არ ეწინააღმდეგება“.¹³ იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ აქ იგულისხმებოდა კონსტიტუციის მიღებამდე გამოცემული საკანონმდებლო აქტების კონსტიტუციური შემოწმება, რომელიც ცხადყოფდა საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების მიზანშეწონილობას.¹⁴

მსგავს ჩანაწერს ითვალისწინებდა 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული საქართველოს კონსტიტუციის 106 მუხლის პირველი პუნქტი „კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ მოქმედებს მხოლოდ ის სამართლებრივი აქტი ან აქტის ნაწილი, რომელიც კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება“. 83-ე მუხლი კი უკვე ცალსახად ადგენდა, რომ საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოს საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენდა. შესაბამისად საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტმა ფესვები სწორედ 1995 წლის კონსტიტუციის მიღების შემდგომ გაიდგა.

4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო

საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მიხედვით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის გამახორციელებელი სასამართლო ორგანოა.

კონსტიტუციური სამართალწარმოების დაწყების საფუძველია საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების წერილობითი შეტანა. კონსტიტუციური სარჩელისა და კონსტიტუციური წადრგინების შეტანა ხდება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- საქართველოს კონსტიტუციასთან კონსტიტუციური შეთანხმების, საქართველოს კანონების, საქართველოს პარლამენტის ნორმატიული დადგენილებების, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის, აგრეთვე საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების შესაბამისობის საკითხები;
- საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, გენერალური პროკურორის, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს, გენერალური აუდიტორის, საქართველოს სახალხო დამცველის ან

¹² 1919 წლის 29 ივლისის „სენატის დებულება“ <http://dspace.nplg.gov.ge/> [16.06.2019].

¹³ საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია.

¹⁴ კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი (დისერტაცია), თსუ, თბილისი, 2008, 52.

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ან აღმასრულებელი ორგანოს სარჩელის საფუძველზე – დავა შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების შესახებ;

- პოლიტიკური პარტიის შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობისა და ამ პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი;
- დავა რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შესახებ;
- საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხი;
- საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხი;
- საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი;
- საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, გენერალური პროკურორის, გენერალური აუდიტორის ან საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის ან/და მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საკითხი;
- დავა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე;
- საქართველოს კონსტიტუციასთან და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხი;
- ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხი საქართველოს კონსტიტუციის მეცხრე თავთან მიმართებით;
- საქართველოს კონსტიტუციის 59-ე-64-ე მუხლებთან ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხი.¹⁵

ამასთანავე, თუ საერთო სასამართლო კონკრეტული საქმის განხილვისას მიიჩნევს, რომ გამოსაყენებელი ნორმატიული აქტი კონსტიტუციის შეუსაბამოა, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს.¹⁶

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი შეუსრულებლობა ისჯება კანონით. ყველა სახელმწიფო ორგანო ვალდებულია შეასრულოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მის წევრთა მიერ საქმის გადაწყვეტასთან დაკავშირებული მოთხოვნები, რომლებიც მათი უფლებამოსილებიდან წარმოდგება.¹⁷

5. საკონსტიტუციო კონტროლის სახეები

საკონსტიტუციო კონტროლი შესაძლოა იყოს პრევენციული ან რეპრესიული ხასიათის. პრევენციული კონტროლი გულისხმობს აქტის ძალაში შესვლამდე მის შემოწმებას და შესაბამისობის დადგენას კონსტიტუციასთან, ხოლო რეპრესიული ხასიათის კონტროლი გულისხმობს აქტის

¹⁵ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁶ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁷ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე და 25-ე მუხლები.

კონსტიტუციურობის საკითხის განხილვას მისი ძალაში შესვლის შემდგომ. პრევენციული კონტროლი უზრუნველყოფს, რომ წინასწარ მოხდეს საეჭვო აქტის გამოვლენა. საკონსტიტუციო სასამართლო წინასწარ კონტროლს ახორციელებს მაგალითად მაშინ, როდესაც განიხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს რატიფიცირებამდე.¹⁸

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ახდენს, ასევე, ნორმათა აბსტრაქტულ კონტროლს, რაც გულისხმობს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმებას. ამ დროს აუცილებელი არაა სახეზე იყოს კონკრეტული საქმე და მოსარჩელე არაა ვალდებული დაასაბუთოს, რომ სადავო აქტი ზღუდავს ამ სუბიექტის კონსტიტუციით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს ან ლახავს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. საკმარისია იმის არგუმენტირება, რომ სადავო ნორმატიული აქტი არ შეესაბამება კონსტიტუციის ამა თუ იმ ნორმას. ამის საპირისპიროდ, კონკრეტული კონტროლის დროს ხდება კონკრეტული საქმის განხილვა, რომლის გადაწყვეტისას გამოყენებულია ან გამოყენებულ უნდა იქნეს სადავო ნორმატიული აქტი.¹⁹

საკონსტიტუციო სასამართლო ასევე, ახდენს ნორმათა ფორმალურ კონტროლს, რაც გულისხმობს საქართველოს კონსტიტუციასთან საკანონმდებლო აქტებისა და პარლამენტის დადგენილებების მიღების, გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების შესაბამისობის საკითხების განხილვა - გადაწყვეტას. უფლებამოსილების აღნიშნული სახე იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია, როგორც ფორმალური საკონსტიტუციო კონტროლი, ამ დროს დავის საგანია არა კონკრეტული აქტის შინაარსი, არამედ ნორმატიული აქტის ფორმალური მხარე თუ რამდენად შეესაბამება იგი კონსტიტუციის მოთხოვნებს.²⁰

6. საკონსტიტუციო სასამართლოს როლი

კონსტიტუციას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქვეყნის კანონმდებლობაში, მისი დაცვის ერთ-ერთ ეფექტიან საშუალებად საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი გვევლინება, რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს. მას სხვა ხელისუფლების შტოთა მსგავსად, შეუძლია გარკვეული გავლენის მოხდენა ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ და სამართლებრივ პროცესებზე.²¹ საკონსტიტუციო სასამართლო არის სამართლის პოლიტიკის განმახორციელებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სუბიექტი. აუქმებს რა კანონს, იგი ავტომატურად ცვლის სამართლებრივ რეალობას, ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობით ხელისუფლების ნებას ძალადაკარგულად აცხადებს. იგი თავისი საქმიანობით პოლიტიკის ზღვარზე გადის, შესაბამისად სასამართლო გარკვეულწილად გავლენას ახდენს ხელისუფლების მიერ გასატარებელ პოლიტიკაზე.²²

უმეტეს შემთხვევებში თუ სახელმწიფოში არსებობს საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც სპეციალიზებული ორგანო, იგი არ უნდა განვიხილოთ სასამართლო ხელისუფლების შემადგენელ ნაწილად.²³ იგი ცალკე მდგომი კონსტიტუციური ორგანოა, რომელიც ახორციელებს საკონსტიტუციო კონტროლს.

¹⁸ კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი (დისერტაცია), თსუ, თბილისი, 2008, 27.

¹⁹ ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, თბილისი, 2016, 23.

²⁰ იქვე, 40.

²¹ გუჩმაზაშვილი დ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი სტატუსი და აღსრულება, ავთანდილ დემეტრაშვილი 75, 2017, 125-126.

²² ერემაძე ქ., დემოკრატიის გამოწვევები და საკონსტიტუციო სასამართლოს როლი დემოკრატიის ძიების პროცესში, ჯ. ხეცურიანისა და გ. კვერენჩილამის რედაქტორობით, თბილისი, 2015, 9.

²³ გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი, 2012, 41.

საკონსტიტუციო სასამართლო არ არის ჩვეულებრივი მაკონტროლებელი დაწესებულება ან რომელიმე შტოს შემადგენელი ნაწილი, გერმანული მოდელის მსგავსად იგი ერთდროულად არის სასამართლო ორგანოც და უმაღლესი საკონსტიტუციო ორგანოც.²⁴

საკონსტიტუციო სასამართლო კანონის არაკონსტიტუციურად ცნობისა და მისი გაუქმების დროს ახორციელებს „ნეგატიური კანონდებლის“ ფუნქციას. იგი ასწორებს კანონმდებლის მიერ არაკონსტიტუციური კანონმდებლობის მიღებით გამოწვეულ მდგომარეობას. ნორმების ანტიკონსტიტუციურად გამოცხადების შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო ეხმარება საკანონმდებლო ხელისუფლებას სწორად ჩამოაყალიბოს კანონმდებლობა.

თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლო გაცილებით მეტს საქმიანობს, ვიდრე ნეგატიური კანონმდებლის ფუნქციაა. სამართალი გაცილებით მეტია, ვიდრე პარლამენტის მიერ მიღებული კანონები. საკონსტიტუციო სასამართლო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხელიუფლების დანაწილებაში, შეკავებასა და გაწონასწორებაში. იგი უფლებამოსილია გასცეს რეკომენდაციები კანონმდებლობის სრულყოფისათვის, შესაბამისად იგი სამართალშემოქმედებითი ორგანოცაა. მართალია, სასამართლო ფორმალური გაგებით არ იღებს კანონს, თუმცა მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამართალშემოქმედებით საქმიანობაში.²⁵ აქტის არაკონსტიტუციურად გამოცხადება გავლენას ახდენს კანონმდებლის ავტონომიაზე, იგი შეიძლება გახდეს ტესტი მთელი საკანონმდებლო პროცესისა.²⁶

საერთო სასამართლოებისაგან განსხვავებით საკონსტიტუციო სასამართლო თავს იკავებს ფაქტობრივი გარემოებების დადგენისაგან, მისი გადაწყვეტილება არაა მიმართული მხოლოდ მხარეებისათვის, იგი უფრო მასშტაბურია და სამართლებრივი სისტემის განვითარებისკენ მიისწრაფვის.²⁷

საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა: „საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვა უკავშირდება მნიშვნელოვანი კონსტიტუციური დებულებების შინაარსის განმარტებას, მიმდინარე ნორმატიული ბაზის ანალიზს, თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში არსებული სტანდარტების მრავალმხრივ შესწავლას“.²⁸

საკონსტიტუციო სასამართლო შესაძლოა მოგვევლინოს ნეიტრალურ ხელისუფლად, არბიტრად, იხილავს რა კომპეტენციურ დავებს, იგი სახელმწიფო ორგანოთა ქმედებას გარკვეულ ჩარჩოსა და ფარგლებში ათავსებს.

7. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“. კონსტიტუციის აღნიშნული ჩანაწერით განმტკიცებულია ხელისუფლების ჰორიზონტალური დანაწილების პრინციპი.

²⁴ მენაბდე ვ., კონკრეტული კონტროლის პარადიგმა კონსტიტუციონალიზმში, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, ვ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2010, 129.

²⁵ გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი, 2012, 45, 48-49.

²⁶ ლოვო ფ., თანამედროვე დიდი დემოკრატიები, მ. ბალავაძე, ნ. ცქიტიშვილი (მთარგმნელები), თბილისი, 2002, 223.

²⁷ გუჩმაზაშვილი დ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი სტატუსი და აღსრულება, ავთანდილ დემეტრაშვილი 75, 2017, 128.

²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ბათუმი, N 3/2/577.

სახელმწიფო ორგანოთა შორის უფლებამოსილებები ვერტიკალურ ჭრილშიც გამიჯნულია. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად „საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა გადაისინჯება საქართველოს კონსტიტუციური კანონით, უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ“. ამ შემთხვევაში ხელისუფლების განაწილება ხდება ტერიტორიული თვალსაზრისით.

ვერტიკალური გამიჯვნა მომდინარეობს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობიდან, რომელიც გულისხმობს ცენტრალურ და ტერიტორიულ ერთეულთა შორის კომპეტენციათა განაწილებას.²⁹ გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხი ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, შესაბამისად შესაძლოა საკონსტიტუციო სასამართლოს როლი ცენტრსა და რეგიონს შორის არსებულ დავებში არ იყოს დიდი, თუმცა საქართველოს ტერიტორიაზე იურისდიქციის აღდგენის შემდეგ მისი როლი აღნიშნული საკითხების განხილვებში ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზებით შესაძლებელია ხელისუფლების სამივე შტოს გაწონასწორება, დაბალანსება და მათი ურთიერთკონტროლის უზურუნველყოფა. თანამედროვე კონსტიტუციურ სახელმწიფოში ხელისუფლების დანაწილება არამხოლოდ შტოებს შორის უნდა მოხდეს, არამედ სახელმწიფოსა და საკუთარ მოქალაქეთა შორისაც.³⁰ ხელისუფლების სამივე შტო თანასწორი უნდა იყოს, არც ერთს არ უნდა ჰქონდეს უპირატესობა სხვებთან შედარებით, სხვაგვარად შეუძლებელი გახდება მათ შორის წონასწორობისა და ბალანსის დაცვა.³¹

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დაცვისა და რეალიზების გზაზე განსაკუთრებული ადგილი და მნიშვნელობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აკისრია. თუ კი დაირღვევა ბალანსი და წონასწორობა ხელისუფლების შტოთა შორის, სწორედ საკონსტიტუციო სასამართლო იზრუნებს მასზე, რომ აღადგინოს წონასწორობა და გაათანაბროს ხელისუფლებანი.

8. კომპეტენციური დავები

საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლოს უმნიშვნელოვანეს ფუნქციას კომპეტენციური დავების განხილვა წარმოადგენს. სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ მოძღვრების თანახმად, სახელმწიფოში გამიჯნული უნდა იყოს ხელისუფლებათა შტოები, თითოეულს უნდა ჰქონდეს საკუთარი ფუნქციები, ამ დროს ისინი ჰორიზონტალურ სივრცეში არიან განფენილნი, აქვთ თავიანთი ვერტიკალი და იქმნება გარკვეული წრედი.

ხელისუფლების დანაწილება ყოველთვის მოიაზრებს კონფლიქტის შესაძლებლობას და ამ დროს ის ნეიტრალური, მესამე პირს მიერ უნდა გადაწყდეს.³² რადგან ძალაუფლების ბალანსი იმთავითვე გულისხმობს კონფლიქტების არსებობასაც. არც თუ ისე იშვიათად, ძალაუფლების დაბალანსებული სისტემის პირობებშიც კი შესაძლოა წამოიშვას ხელისუფლების ორგანოთა შორის კოორდინაციის პრობლემა.³³

²⁹ ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, თბილისი, 2016, 83.

³⁰ ხუბუა გ., ძალაუფლების ინსტიტუციური ბალანსი, საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, 2016, 109.

³¹ ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, თბილისი, 2016, 274.

³² შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, ქ. ალექსიძე (მთარგმნელი), კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, 2003, 184.

³³ ხუბუა გ., ძალაუფლების ინსტიტუციური ბალანსი, საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, 2016, 118.

კომპეტენციური დავები შესაძლოა არსებობდეს არამხოლოდ ჰორიზონტალურად დანაწილებული ხელისუფლების შტოთა შორის, არამედ ვერტიკალურ ჭრილშიც, ცენტრალურ ხელისუფლებასა და რეგიონებს შორის. თუმცა ყველაზე ხშირად კომპეტენციური დავები სწორედ ჰორიზონტალურად განფენილ ხელისუფლების შტოთა შორის წარმოიშობა.

საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, შესაბამისად საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს. ხოლო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებები და მათი განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონებით, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია.³⁴

დაუშვებელია, ავტონომიურმა რესპუბლიკამ საკანონმდებლო აქტით მითვისოს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენცია, აღნიშნული საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანი გახდება და კომპეტენციათა დამრღვევი საკანონმდებლო აქტი სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად იქნება ცნობილი.³⁵

ვერტიკალურ ჭრილში კომპეტენციური დავების განხილვა განსაკუთრებით ფედერაციულ სახელმწიფოებში არის მნიშვნელოვანი, სადაც ფედერალურ კონსტიტუციასა და სხვა სამართლებრივ აქტებთან ერთად მოქმედებს ფედერაციის სუბიექტთა ფედერალური კონსტიტუციები და სხვა სამართლებრივი აქტები. სწორედ იმისთვის, რომ მოხდეს იერარქიის დაცვა, ერთიანი სამართლის სისტემის უზრუნველყოფა, ხელისუფლებათა გამიჯვნა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება.³⁶

კონსტიტუციურ კონფლიქტებს ძირითადად შერეული მმართველობის მოდელის მქონე ქვეყნებში ვხვდებით. ასევე ქვეყნებში, სადაც ესა თუ ის მმართველობის მოდელი ახალი ჩამოყალიბებულია და ახლა იკიდებს ფეხს.³⁷ საქართველოს ახლო წარსულშიც გვახსოვს არაერთი უთანხმოება უმაღლეს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა შორის სწორედ გარდამავალ პერიოდში, როდესაც სახელმწიფო გადავიდა მმართველობის ახალ მოდელზე. მართალია, აღნიშნულ დავებს სასამართლოში არ გადაუნაცვლია, თუმცა სახეზე იყო კომპეტენციებთან დაკავშირებული დავები.

8.1. კომპეტენციური დავის სუბიექტები და დავის საგანი

საკონსტიტუციო სასამართლო კომპეტენციების თაობაზე დავებს იხილავს სახელმწიფო ორგანოთა შორის. თუმცა, კანონმდებლობაში ვერ ვხვდებით სახელმწიფო ორგანოს დეფინიციას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი გვამდევს ადმინისტრაციული ორგანოს განსაზღვრებას, კერძოდ ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.³⁸ სახელმწიფო ორგანო

³⁴ საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლი.

³⁵ ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, თბილისი, 2016, 85.

³⁶ კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი (დისერტაცია), თსუ, თბილისი, 2008, 20-21.

³⁷ სამხარაძე კ., ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ნამდვილი სამართლის პრიმატი კონსტიტუციურ მართლსაჯულებაში, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, გამოცემა №2, ბათუმი, 2018, 69.

³⁸ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

სახელმწიფო ხელისუფლების განმახორციელებელი დაწესებულება ან თანამდებობის პირია, შესაბამისად ის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებია, რომლებიც აღჭურვილნი არიან სახელისუფლო უფლებამოსილებებით, ისინი მოქმედებენ სახელმწიფოს სახელითა და ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან. შესაბამისად აღნიშნული ნიშნებით არის შესაძლებელი ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოები (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კერძო სამართლის იურიდიული პირები, ასევე ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირები). თუ რომელიმე ზემოთ დასახელებული ორგანო დაარღვევს სახელმწიფო ორგანოს კომპეტენციას აღნიშნული დავა არ იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი, რადგან იგი განიხილავს დავებს მხოლოდამხოლოდ სახელმწიფო ორგანოთა შორის. აღნიშნული დაწესებულებები არ არიან სახელმწიფო ორგანოები, რადგან აღჭურვილი არ არიან სახელმწიფო ხელისუფლებო უფლებამოსილებებით და არ გამოდიან სახელმწიფოს სახელით.³⁹

საქართველოს „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 34-ე მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოში სახელმწიფო ორგანოთა შორის კომპეტენციის ფარგლების შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: საქართველოს პრეზიდენტს, თუ იგი მიიჩნევს, რომ დარღვეულია მისი კომპეტენცია ან დაირღვა სახელმწიფო ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლები; საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, თუ იგი მიიჩნევს, რომ დარღვეულია საქართველოს პარლამენტის ან სხვა სახელმწიფო ორგანოს კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლები; საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლში აღნიშნულ ორგანოებს, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ დარღვეულია მათი კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლები. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტს, მთავრობას, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, გენერალური პროკურორს, ეროვნული ბანკის საბჭოს, გენერალური აუდიტორს, სახალხო დამცველს ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ან აღმასრულებელი ორგანოს მათი სარჩელის საფუძველზე, რომელიც შეეხება დავას შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების შესახებ.

საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს უფლება აქვთ მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს, არამარტო იმ დროს, როდესაც დაირღვა მათი კომპეტენციის სფერო, არამედ იმ შემთხვევაშიც, როდესაც დაირღვა სხვა სახელმწიფო ორგანოს კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლები.⁴⁰

რაც შეეხება მოპასუხეს „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მიხედვით კომპეტენციათა შესახებ დავებში მოპასუხეა ის სახელმწიფო ორგანო, რომლის ნორმატიულმა აქტმაც, მოსარჩელის აზრით, გამოიწვია მისი კონსტიტუციური უფლებამოსილების დარღვევა. აღნიშნული საკითხი ბუნდოვანებას იწვევს, რადგან მოსარჩელეზეა დამოკიდებული თუ ვის მიიჩნევს იგი საქმეში მოპასუხედ.

ასევე აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის 2017 წლის ცვლილებები (რომელიც ძალაში შევიდა ახლად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე) კომპეტენციათა შესახებ დავის მოსარჩელეთა წრეს შეეხო, იგი გაფართოვდა და საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილება შემდეგ სუბიექტებსაც მიენიჭათ: გენერალური პროკურორი, ეროვნული ბანკის საბჭო, გენერალური აუდიტორი, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო. ამასთანავე, მოსარჩელეთა წრიდან ამოღებულია სასამართლო. პოზიტიურად უნდა შეფასდეს საქართველოს

³⁹ ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, თბილისი, 2016, 87.

⁴⁰ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 34-ე მუხლი.

კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებები, რომლითაც კომპეტენციური დავების მოსარჩელეთა წრე გაფართოვდა.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს დავას შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების შესახებ. მასში არ არის დაკონკრეტებული, რომ დავის საფუძველი აუცილებლად ნორმატიული აქტია. თუმცა, ამგვარ დაკონკრეტებას „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი ითვალისწინებს. შესაძლოა კომპეტენციური დავა წარმოიშვას ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზეც. საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა მსგავსი შინაარსის დავაზე, კერძოდ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 1998 წლის 29 იანვარს განიხილა საქმე საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი საქართველოს განათლების სამინისტროს წინააღმდეგ. დავის საგანს წარმოადგენდა „სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს განათლების მინისტრის 1997 წლის 30 სექტემბრის #469 ბრძანების გამოცემით პარლამენტის კონსტიტუციური უფლებამოსილების დარღვევის საკითხი. მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ სადავო აქტის გამოცემით განათლების სამინისტრომ არსებითად დაარღვია საქართველოს პარლამენტისთვის კონსტიტუციითა და კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენცია. სადავო აქტით ხდებოდა გარკვეული ანაზღაურების დაწესება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელის თანაშემწეებზე. მოსარჩელის აზრით, ანაზღაურების და მისი ოდენობის განსაზღვრის უფლებამოსილება განათლების მინისტრს არ გააჩნდა და მოითხოვდა სადავო აქტით საქართველოს პარლამენტის კომპეტენციის დარღვევის ფაქტის ცნობას.

საქმის არსებითად განხილვის პროცესში გამოვლენილ გარემოებათა გაანალიზების საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს განათლების მინისტრის #469 ბრძანება ნორმატიულ აქტად ვერ ჩაითვლება, არანორმატიული აქტით სახელმწიფო ორგანოს კომპეტენციის დარღვევის შეფასების საშუალებას არ იძლევა მოქმედი კანონმდებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო გასცდება მისი კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლებს. სწორედ ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლოს არ უმსჯელია კომპეტენციის თაობაზე.⁴¹

დღეს არსებული რეგულაციების თანახმად, თუ სახეზე არ გვაქვს ნორმატიული აქტი, შეუძლებელია მისი გასაჩივრება. შესაბამისად კონტროლს გარეთ რჩება ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტი, რომელმაც შესაძლოა ასევე დაარღვიოს სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციის ფარგლები.

8.2. კომპეტენციურ დავებთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა

სტატისტიკური მონაცემებით 1996 - 2018 წლებში კომპეტენციურ დავებთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სულ 4 ჯერ მიმართეს სარჩელით. ოთხივე შემთხვევაში მოსარჩელედ გვევლინება საქართველოს პარლამენტის წევრი.⁴²

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში 2004 წლის 5 მაისს შეტანილ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფის კონსტიტუციური სარჩელი, რომელიც გაერთიანდა მოქალაქე თამაზ დიასამიძის კონსტიტუციურ სარჩელთან. საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი და თამაზ დიასამიძე გაერთიანებული სასარჩელო მოთხოვნის ფორმით ითხოვდნენ „საგანგებო მდგომარეობის

⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი საქართველოს განათლების სამინისტროს წინააღმდეგ, თბილისი, 1/1/72-73.

⁴² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996-2018 წლების სტატისტიკა შესულ სარჩელებთან და წარდგინებებთან დაკავშირებით <<http://constcourt.ge/>> [16.06.2019].

შესახებ“ აჭარის ა/რ 2003 წლის 22 დეკემბრის კანონის არაკონსტიტუციურად ცნობას. მოსარჩელეთა აზრით, აჭარის ა/რ ხელისუფლება, საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, არ იყო უფლებამოსილი დაედგინა ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების რეჟიმი. შესაბამისად, არც აჭარის ა/რ მეთაური იყო უფლებამოსილი თავისი განკარგულებით აღნიშნულ კანონზე დაყრდნობით შემოეღო საგანგებო მდგომარეობა. საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის შემოღება განეკუთვნება მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა გამგებლობას. რადგან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის განსაზღვრა საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს კანონმდებლობის პრეროგატივად განისაზღვრა, აჭარის ა/რ პარლამენტის მიერ ამ საკითხის გადაწყვეტა ნიშნავს საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოს კომპეტენციის მითვისებას და წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის დარღვევას.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიიჩნია, რომ ისეთ ვითარებაში, როდესაც არაკონსტიტუციურია, ერთის მხრივ, აჭარის ა/რ პარლამენტის მიერ აჭარის ა/რ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დადგენა და, მეორე მხრივ, აჭარის ა/რ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება საქართველოს კონსტიტუციით გაუთვლისწინებელი სუბიექტების მიერ, ბუნებრივია, არაკონსტიტუციურია „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ აჭარის ა/რ ორგანული კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ღონისძიებაც, რადგან მათი განხორციელება უნდა მოხდეს არაკონსტიტუციურად დადგენილი და შემოღებული რეჟიმის პირობებში. მაშასადამე, საქართველოს კონსტიტუციის კატეგორიული მოთხოვნა, რომ უფლებების შეზღუდვის შესაძლებლობით სარგებლობდეს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი, ამ გადაწყვეტილების პარლამენტში დასამტკიცებლად წარდგენის ვალდებულებით, რაც გამორიცხავს ნებისმიერი სხვა ორგანოს თუ თანამდებობის პირის მსგავს შესაძლებლობებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო კანონი არა მხოლოდ კომპეტენციის დარღვევით არის მიღებული და აჭარის ა/რ ხელისუფლების ორგანოებს ანიჭებს საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტის შესაძლებლობას, არამედ იმავდროულად არღვევს საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს. შესაბამისად დაკმაყოფილდა საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფისა და საქართველოს მოქალაქე თამაზ დიასამიძის კონსტიტუციური სარჩელები და ცნობილ იქნეს არაკონსტიტუციურად აჭარის ა/რ 2003 წლის 22 დეკემბრის ორგანული კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“.⁴³

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 1998 წლის 10 აპრილს განიხილა საქმე საქართველოს პარლამენტის წევრები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ. მოსარჩელეთა აზრით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო სამსახურმა გამოსცა შიდასაუწყებო ნორმატიული აქტები, რომლებშიც გადასახადის დაბეგვრის მიზნით, განსაზღვრულია და დაგენილია გარკვეული ქცევის წესი. მის მიერ გამოცემული იქნა საგადასახადო კანონმდებლობას მიკუთვნებული აქტები, ეს კი იმას ნიშნავს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილმა შეასრულა საკანონმდებლო ხელისუფლების პრეროგატივა, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით არავის არ აქვს უფლება

⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (სულ 67 დეპუტატი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის წინააღმდეგ და საქართველოს მოქალაქე თამაზ დიასამიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის წინააღმდეგ, თბილისი, 15/290,266.

მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება. შესაბამისად მოსარჩლეებს მიაჩნიათ, რომ დარღვეულია პარლამენტის კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლები.

თუმცა საქმის განხილვის მომენტში მოხდა სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა, შესაბამისად სამართლოში მოხდა საქმის წარმოების შეწყვეტა.⁴⁴

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 1999 წლის 9 ნოემბერს განიხილა საქმე საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ. მოსარჩლეებს მიაჩნდათ, რომ პრეზიდენტის მიერ გამოცემული 22 აქტით და მინისტრთა კაბინეტის მიერ გამოცემული 1 აქტით არსებითად დაირღვა საქართველოს პარლამენტისათვის კონსტიტუციითა და კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენცია. სადავო ნორმატიული აქტები, რომელთა გამოცემითაც, მოსარჩლეთა აზრით, დაირღვა საქართველოს პარლამენტის კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლები, ძალადაკარგულად არის ჩათვლილი საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 8 ივნისის №363 ბრძანებულებით “საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის დებულების დამტკიცების შესახებ”. შესაბამისად აღნიშნულ საქმეზეც შეწყდა სამართალწარმოება.⁴⁵

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა კომპეტენციურ დავებთან დაკავშირებით არც თუ ისე მდიდარია, თუმცა კომპეტენციური დავების განხილვით საკონსტიტუციო სასამართლო ხელისუფლების დანაწილების პრინციპსა და ხელისუფლების შტოთა გაწონასწორებას უზურუნველყოფს, რაც აუცილებელი წინაპირობაა დემოკრატიული და განვითარებული სახელმწიფოს შენებისათვის.

დასკვნა

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უზურუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებას და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. აღნიშნული მიზნების მიღწევა საკონსტიტუციო სასამართლოს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების მეშვეობით შეუძლია და იგი მის ძირითად და უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს.

სასამართლო კონტროლის მექანიზმებს ჯერ კიდევ 1918-1919 წლების ქართული კანონმდებლობა იცნობდა, თუმცა საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის საკონსტიტუციო დონეზე რეგლამენტაცია 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციით მოხდა.

საკონსტიტუციო სასამართლო არის სამართლის პოლიტიკის განმახორციელებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სუბიექტი. აუქმებს რა კანონს იგი ავტომატურად ცვლის სამართლებრივ რეალობას, ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობით ხელისუფლების ნებას ძალადაკარგულად აცხადებს, შესაბამისად გავლენას ახდენს პოლიტიკაზე. იგი არის მნიშვნელოვანი ძალა, რომელიც სახელმწიფო ორგანოთა ქმედებას გარკვეულ ჩარჩოსა და ფარგლებში ათავსებს.

საკონსტიტუციო სასამართლო გაცილებით მეტს საქმიანობს, ვიდრე ნეგატიური კანონმდებლის ფუნქციაა. იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხელიუფლების დანაწილებაში, შეკავებასა და გაწონასწორებაში, იგი უფლებამოსილია გასცეს რეკომენდაციები კანონმდებლობის სრულყოფისათვის, შესაბამისად იგი სამართალშემოქმედებითი ორგანოცაა.

⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 10 აპრილის განჩინება საქმეზე, საქართველოს პარლამენტი ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ, თბილისი, N2/53/1.

⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 9 ნოემბრის განჩინება საქმეზე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, თბილისი, N1/7/87.

საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოს უმნიშვნელოვანეს ფუნქციას კომპეტენციური დავების განხილვა წარმოადგენს. კომპეტენციური დავები შესაძლოა წარმოიშვას არამხოლოდ ჰორიზონტალურად დანაწილებული ხელისუფლების შტოთა შორის, არამედ ვერტიკალურ ჭრილშიც, ცენტრალურ ხელისუფლებასა და რეგიონებს შორის. თუმცა, ყველაზე ხშირად კომპეტენციური დავები სწორედ ჰორიზონტალურად განფენილ ხელისუფლების შტოთა შორის წარმოიშობა. ამგვარი დავების გადაწყვეტა მნიშვნელოვანია, რათა მოხდეს ხელისუფლების დანაწილების პრინციპისა და ამავდროულად სამართლის ერთიანი სისტემის, ერთიანი ხერხემლის უზრუნველყოფა.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებები, რომლითაც კომპეტენციური დავების მოსარჩელეთა წრე გაფართოვდა, თუმცა მოპასუხეთა საკითხი ბუნდოვანებას იწვევს, რადგან მოსარჩელეზეა დამოკიდებული თუ ვის მიიჩნევს იგი საქმეში მოპასუხედ.

ასევე, დღეს არსებული რეგულაციების თანახმად, თუ სახეზე არ გვაქვს ნორმატიული აქტი, შეუძლებელია მისი გასაჩივრება საკონსტიტუციო სასამართლოში. შესაბამისად კონტროლს გარეთ რჩება ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტი, რომელმაც შესაძლოა ასევე დაარღვიოს სახელწიფო ორგანოთა კომპეტენციის ფარგლები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა კომპეტენციურ დავებთან დაკავშირებით არც თუ ისე მდიდარია, თუმცა კომპეტენციური დავების განხილვით საკონსტიტუციო სასამართლო ხელისუფლების დანაწილების პრინციპსა და ხელისუფლების შტოთა გაწონასწორებას უზრუნველყოფს, რაც აუცილებელი წინაპირობაა დემოკრატიული და განვითარებული სახელმწიფოს შენებისათვის.

**საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალა
საერთო სასამართლოების პრაქტიკაში**

შესავალი

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში მეოცე საუკუნე განსაკუთრებული პერიოდი, როდესაც საქართველომ თავი დააღწია ჯერ რუსეთის იმპერიას, შემდეგ კი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირს (სსრკ) და თანმიმდევრულად 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტისა და 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებით აღისრულა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ და მსოფლიო თანამეგობრობაში ღირსეული ინტეგრირების ისტორიული სწრაფვა.

მეორე მოვლენა, რომელიც აგრეთვე ისტორიული მნიშვნელობის ხარისხისაა, არის 1921 წლის 21 თებერვალს და შემდგომ პერიოდში 1978 წლის კონსტიტუციის „ზვიადისდროინდელი რედაქციის“, 1995 წლის კონსტიტუციის და დამფუძნებელი ხასიათის მიღებული სხვა აქტების საფუძველზე, თანამედროვე კონსტიტუციურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების დეკლარირება.¹

შერჩეული თემის ფარგლებში არც შესაძლებელია და არც მიზანშეწონილი ზემოთმითითებული ყველა დამფუძნებელი აქტის განხილვა, მაგრამ მნიშვნელოვან მიჯნად საქართველოს კონსტიტუციურ ისტორიაში უნდა მივიჩნიოთ და მეტი ყურადღება დაუთმოთ 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულ კონსტიტუციას.² მის პირვანდელ და ხშირად შეცვლილ მომდევნო ტექსტებშიც, ისევე, როგორც პოსტსოციალისტურ თითქმის ყველა სახელმწიფოს კონსტიტუციურ წყაროებში, ამა თუ იმ სახით კონსტიტუციური კონტროლის (ზედამხედველობის) ორგანოს გაჩენა. არც თუ უსაფუძვლოდ ამას მშვიდობიან კონსტიტუციურ რევოლუციადაც მიიჩნევენ.³ საქართველოს სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოთა სისტემაში ამ კატეგორიის ორგანოს - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გაჩენამ არსებითი შებოჭვითი გავლენა მოახდინა ან უნდა მოეხდინა ზოგადად ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციურ პრინციპზე⁴ და კონკრეტულად ყველა სახელმწიფო ინსტიტუციაზე და დამცავი ფუნქცია შეასრულა ადამიანის ძირითად უფლებათა სფეროში.

20 წელზე ოდნავ მეტია რაც შეიქმნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. მისი სამართალწარმოების პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ სასამართლომ დინამიური განვითარების განსაკუთრებული გზა განვლო. ამასთან, დღემდე მის არსებობა-ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ პრობლემათა შორის ერთ-ერთი ურთულესია მისი გადაწყვეტილებების რაობა, სამართლებრივი ბუნება და იურიდიული ძალმოსილება. სწორედ ამასთან დაკავშირებულ საკითხების გარკვევას ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი.

¹ ამის შესახებ იხ. მალხაზ მაცაბერიძე. 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეპცია. თბ., 1995; იგორ კვესელავა. საქართველოს ისტორიის ქრონიკები. IV. საკონსტიტუციო პარადოქსები. თბ., 2016.

² ვრცლად იხ. ვოლფგანგ გაული. კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში. თბ., 1992.

³ ჰ. შვარცი., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში. თბ., 2003.

⁴ საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლი, პუნქტი 3.

1. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ბუნება

1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის საფუძველზე შექმნილი და 1996 წელს ამოქმედებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლის არსებობა - ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები ხშირად მოქცეულა საზოგადოების ყურადღებისა და მეცნიერთა კვლევის სფეროში.⁵ პრობლემები, რომელიც გამხდარა ამგვარი ინტერესის საგანი, როგორც წესი, ეხებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილს კონსტიტუციისა და ძირითადი უფლებების დაცვის მექანიზმში, მის ფუნქციებსა და მისი საქმიანობის შემდგომ სრულყოფას, ამასთან ერთ-ერთი თემა, რომლის გარშემო დღესაც არსებობს დიდი ინტერესი და მიმდინარეობს მწვავე დისკუსიები, არის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა იურიდიული ძალა და ამ გადაწყვეტილებათა აღსრულების პრობლემა.⁶ უწინარესად ეს ინტერესი განპირობებულია იმით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს ცენტრალური ადგილი უკავია კონსტიტუციური მართლმსაჯულების სისტემაში. გადაწყვეტილებათა მიღებით, სასამართლო ახდენს თავისი კონსტიტუციური ძალმოსილების რეალიზებას, უზრუნველყოფს კონსტიტუციის, როგორც ძირითადი, კანონთა კანონის უზენაესობას და პირდაპირ მოქმედებას, აღმოფხვრის კანონმდებლობაში თუ სამართალშემოქმედებით პრაქტიკაში არსებულ მის დარღვევებს. ძალზედ მნიშვნელოვანია მოსამართლის მიერ ნორმის განმარტებას, რაც უნდა გამომდინარეობდენ საჯარო ინტერესების გათვალისწინებით და არ უნდა მოხდეს ნორმის განმარტება საკუთარი შეხედულების შესაბამისად, რადგან ეჭვქვეშ დადგება თავად გადაწყვეტილების კანონიერება და მიუკერძოებლობა. საკონსტიტუციო სასამართლო განსაზღვრავს კანონმდებლობის განვითარებას, განიხილავს კონსტიტუციურ სარჩელს და ახდენს ხარვეზების აღმოფხვრას. საკონსტიტუციო სასამართლო სახელმწიფოში კონსტიტუციისა და კანონის უზენაესობის უმთავრესი გარანტია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივ ბუნებაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ იგი სახელმწიფო ხელისუფლების კონსტიტუციური ორგანოა. მისი საქმიანობის პრინციპები დადგენილია საქართველოს კონსტიტუციით, რომლის 88-ე და 89-ე მუხლები მთლიანად საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებენ.

2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკანონმდებლო მოწესრიგება

საქართველოს კანონმდებლობა დეტალურად არეგულირებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა მიღების წესს, საფუძველსა და პირობებს, მათი რეალიზაციის ზოგად მექანიზმს, ქმნის საკონსტიტუციო სასამართლოს გამგებლობას მიკუთვნებულ საქმეთა მოგვარების კანონიერების გარანტიებს. ეჭვგარეშეა, რომ დასაბუთებული, არგუმენტირებული გადაწყვეტილებებით, რომელთა უმრავლესობა საქართველოს სახელით ცხადდება, სასამართლო უზრუნველყოფს ზოგადად სახელმწიფოსა და სახელდობრ, საკონსტიტუციო სასამართლოს ავტორიტეტის ზრდას და მის გადაწყვეტილებათა მაღალ ლეგიტიმურობას.

⁵ მაგალითად, იაკობ ფუტყარაძე. სასამართლო ხელისუფლება და ძირითადი უფლებები საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში. „საკონსტიტუციო სამართლის მომხილვა“, 2009 წლის ნოემბერი., N1; ბესარიონ ზოიძე., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბ., 2007; ჯონი ხეცურიანი., ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში. თბ., 2011; ავთანდილ დემეტრაშვილი., გიორგი გოგიაშვილი., „კონსტიტუციური მართლმსაჯულება“ თბ., 2016, გვ.430-455.

⁶ დ. გეგენავა., საკონსტიტუციო კონტროლი სახელმძღვანელოში „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“, წიგნი მეორე, თბ., 2014, გვ. 291-299.

რას წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება? ჩვეულებრივ,⁷ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას განმარტავენ (განსაზღვრავენ) როგორც კანონით დადგენილი ფორმის სამართლებრივ აქტს, რომლითაც საკონსტიტუციო კონტროლის (ზედამხედველობის) ორგანო თავისი კომპეტენციის ფარგლებში კონკრეტულ განსახილველ საქმეში იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტების კონსტატაცია-შეფასებით და სახელმწიფო ძალაუფლებრივ დავალებების გამოყენებით გამოხატავს თავის პოზიციასა და ნებას. ზოგადად, საკონსტიტუციო კონტროლის ან ზედამხედველობის ორგანოთა გადაწყვეტილებათა მნიშვნელობა და სამართლებრივი ბუნება ამ ორგანოთა დანიშნულებიდან და მათი კონკრეტული კომპეტენციიდან გამომდინარეობს. საქართველოს კონსტიტუცია იმ ნაწილში, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ რეგულაციებს ადგენს მის მიერ განხილულ საქმეებში მიღებულ აქტს ერთ შემთხვევაში „დასკვნას“ უწოდებს⁸ და იქ, სადაც სასამართლოს კომპეტენციაა დადგენილი ასახელებს გადაწყვეტილებას.⁹

უფრო ვრცლად გადაწყვეტილებათა შესახებ ინფორმაციას შეიცავს საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“. ამ ორგანული კანონის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „საკონსტიტუციო სასამართლოს აქტებია გადაწყვეტილება, განჩინება, საოქმო ჩანაწერი და დასკვნა“. ეს ჩამონათვალი ამომწურავია მხოლოდ იმ გადაწყვეტილებების მიმართ, რომელთაც სასამართლო იღებს კონკრეტულ განსახილველ საქმესთან დაკავშირებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი ითვალისწინებს აგრეთვე დადგენილებას, რომელიც მიიღება სასამართლოს პლენუმის მუშაობაში მონაწილეთა უმრავლესობით სასამართლოში განსახილველ საქმეებთან არ დაკავშირებულ, მაგალითად, სასამართლოს შიდასაორგანიზაციო საკითხებზე.¹⁰ აქტის სახეობის შერჩევას ორგანული კანონი უკავშირებს სასამართლოს კონკრეტულ ქმედებას, კონკრეტული უფლებამოსილების განხორციელებას. თუ სასამართლომ საკონსტიტუციო სასამართლოში შესული კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების არსებითად მიღება გადაწყვიტა, მაშინ უნდა შედგეს გადაწყვეტილება საოქმო ჩანაწერის სახით, ხოლო, მიუღებლობის შემთხვევაში - განჩინების სახით. საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს საერთო სასამართლოს წარდგინებას იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შესახებ, რომელიც კონკრეტული საქმის განხილვისას უნდა გამოიყენოს საერთო სასამართლომ, საკონსტიტუციო სასამართლოს საბოლოო, შემაჯამებელი აქტი მიიღება გადაწყვეტილების სახით,¹¹ ხოლო, როდესაც განიხილავს სარჩელს მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების ან მათ ცალკეულ დებულებათა კონსტიტუციურობის შესახებ,¹² ან წარდგინებას საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის წევრის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის,¹³ გენერალური აუდიტორის ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის ან კონსტიტუციის დარღვევის შესახებ, საბოლოო, შემაჯამებელი აქტი

⁷ იხ. მაგალითად ჯონი ხეცურიანის „ნოვაციები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კანონმდებლობაში“, წიგნში „საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, თბ., 2002, გვ.12 და სხვ.

⁸ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 48.

⁹ იხ. იქვე., მუხლი 60.

¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 10.

¹¹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 60, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „გ“, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, მუხლი 43, პუნქტი 6.

¹² იხ. იქვე., ქვეპუნქტი „ე“, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, მუხლი 43, პუნქტი 6.

¹³ მოსამართლის გარდა იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან შეიძლება გადაყენებულ იქნეს გენერალური პროკურორი, საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 48, პუნქტი 1.

მიიღება დასკვნის სახით.¹⁴ კანონმდებლობაში არ არის პირდაპირი დადგენილება საკონსტიტუციო სასამართლოში სხვა კატეგორიის საქმეებზე მისაღები აქტის რაობაზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველა მათზე იქნება მიღებული „გადაწყვეტილება“.

ზოგადად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დანიშნულების და სახელდობრ, მისი გადაწყვეტილების მაღალი მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობა ადგენს მისი (სასამართლოს გადაწყვეტილების) კრიტერიუმებისა და მიღების წესის მაღალ სტანდარტებს. ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ იმპერატიული ფორმით მოითხოვს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, განჩინება და დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს,¹⁵ „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონი ადგენს, რომ გადაწყვეტილებას ან დასკვნას საკონსტიტუციო სასამართლო საფუძვლად უდებს მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომლებიც განხილულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე.¹⁶ ეს შეიძლება იყოს სასამართლოსთვის გასაცნობად წარდგენილი დოკუმენტები, მხარეთა, ექსპერტთა, მოწმეთა გამოსვლები, დასკვნები, ჩვენებები. გადაწყვეტილების გამოტანისას საკონსტიტუციო სასამართლო შეზოჭილია მომართვის საგნით, შესაბამისად, მას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელიც დასმული იყო სარჩელში ან წარდგინებაში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის შინაარსის, უფრო სწორედ სტრუქტურის მიმართ დადგენილი მოთხოვნები. „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის შესაბამისად,¹⁷ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნა შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ. გამომდინარე აქედან, კანონმდებლობა ადგენს საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს ამ გადაწყვეტილებების მიღების პროცედურების მიმართ. პირველი მოთხოვნა უკავშირდება ზოგადად კონსტიტუციური სამართალწარმოების, კონკრეტულად კი, სასამართლო გადაწყვეტილების ენას. გამომდინარე იქიდან, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქართველოს სახელით¹⁸ და საქართველოში სახელმწიფო ენა არის ქართული,¹⁹ საქმის განხილვა მიმდინარეობს და გადაწყვეტილება იწერება ქართულ ენაზე.²⁰ შემდეგი საკანონმდებლო მოთხოვნა ეხება კვორუმს, ანუ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა სხდომის კანონიერად ჩატარებისათვის და საბოლოო გადაწყვეტილების ლეგალურად მიღებისთვის. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება თუ მის სხდომას ესწრება სულ ცოტა 6 წევრი,²¹ ხოლო კონსტიტუციური სარჩელი დაკმაყოფილებულად, ხოლო კონსტიტუციური წარდგინების შესახებ დასკვნა მიღებულად ჩაითვლება, თუ მათ მხარს დაუჭერს პლენუმის სხდომაში მონაწილე წევრთა ნახევარზე მეტი, ანუ სულ ცოტა ოთხი წევრი მაინც.²² თუ საქმე საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ კოლეგიაში განიხილება, სხდომისა და

¹⁴ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 48.

¹⁵ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი, მუხლი 43, პუნქტი 7.

¹⁶ იხ. იქვე, მუხლი 30.

¹⁷ იხ. იქვე, მუხლი 31.

¹⁸ საქართველოს კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“, მუხლი 29, პუნქტი 2.

¹⁹ „ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე - აფხაზური“, საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 2, პუნქტი 3.

²⁰ ცხადია, ეს არ გამორიცხავს საჭიროების შემთხვევაში თარჯიმნის მუშაობას იმ პირებთან, ვინც არ ფლობს ქართულ ენას.

²¹ პლენუმის შემადგენლობაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა, ცხრავე წევრია.

²² საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, მუხლი 44.

კენჭისყრის კანონიერად ჩატარებისათვის კვორუმი არის სულ ცოტა სამი წევრი,²³ ხოლო, კონსტიტუციური სარჩელი დაკმაყოფილებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს განხილვაში მონაწილე მოსამართლეთა ნახევარზე მეტი,²⁴ ანუ თუ სამი მონაწილეობს - ორი, თუ ოთხივე - სამი. საქმის განხილვაში მონაწილე წევრს არა აქვს უფლება არ მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში, განერიდოს მას. ნიშანდობლივია,²⁵ რომ სასურველი იქნებოდა, ისე როგორც ზოგიერთი სახელმწიფოს (მაგალითად რუსეთის ფედერაციის²⁶) კანონმდებლობა ითვალისწინებს, სათათბირო ოთახში კენჭისყრისას, თავმჯდომარემ ბოლოს უყაროს კენჭი, რითაც გამოირიცხება მის მიერ ამ სხდომაზე წევრებზე ზეწოლის ეჭვი. კიდევ ერთი მოთხოვნა, შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას სათათბირო ოთახში კენჭისყრა მხოლოდ და მხოლოდ ღიაა, მაშინაც კი, როდესაც საქმის განხილვა ან მისი ნაწილი დახურულ სხდომის ფორმატში მიმდინარეობდა. და კიდევ, შესაძლოა საქმის განხილვაში მონაწილე წევრი გადაწყვეტილების მიღებისას არ ეთანხმებოდეს უმრავლესობის პოზიციას და კენჭისყრის შედეგებს. ამ შემთხვევაში, მას აქვს უფლება თავისი განსხვავებული აზრი ჩამოაყალიბოს წერილობითი ფორმით, რომელიც ქვეყნდება გადაწყვეტილების სრულ ტექსტთან ერთად. მიუხედავად განსხვავებული პოზიციის (პოზიციების) არსებობისა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ხელს აწერს საქმის განხილვაში მონაწილე ყველა მოსამართლე.²⁷ ხელმოწერისა და საჯაროდ გამოცხადების შემდეგ, გადაწყვეტილება განსხვავებულ აზრთან ერთად ქვეყნდება საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. ამ წესიდან გამომდინარე, სადავოა ორგანული კანონის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს“ 48-ე მუხლის ის ჩანაწერი, რომლის მიხედვით განხილვა-გადაწყვეტილების პროცესში მონაწილე „საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება არა აქვს გაამჟღავნოს ... საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მიერ კენჭისყრისას დაკავებული პოზიცია“. სადავო აქ ისაა, რომ კონკრეტული მოსამართლის განსხვავებული აზრის გამოქვეყნება უკვე ცხადყოფს მის პოზიციასზე.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელობა და ავტორიტეტი დამოკიდებულია არა მხოლოდ და არა იმდენად მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ლეგიტიმურობასა და ლეგალიზაციაზე, არამედ იმაზე თუ რა სამართლებრივი (იურიდიული) და რეალური შედეგები მოჰყვება ამ გადაწყვეტილების მიღებას, იმას თუ როგორ იქნება რეალიზებული საკონსტიტუციო სასამართლოს აქტში გამოხატული საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია (ნება). უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების საკითხი ერთ-ერთია მათ შორის, რომელთაც აქტუალურს უწოდებენ მეცნიერები თუ პრაქტიკოსები.²⁸

პირველი რაც ამ პრობლემასთან დაკავშირებით უნდა გაირკვეს არის საკონსტიტუციო სასამართლოს იურიდიული ძალის შესახებ საკითხი. ამ თემასთან დაკავშირებით მკაფიო პასუხს გვაძლევს როგორც საქართველოს კონსტიტუცია, ასევე ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“. საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტის

²³ კოლეგიის შემადგენლობაში სულ 4 წევრია - საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, მუხლი 11, პუნქტი 1.

²⁴ იხ. იქვე, პუნქტი 2.

²⁵ ეს წესი საქართველოს კანონმდებლობაში არ არის რეგლამენტირებული.

²⁶ იხ. Федеральный конституционный закон о конституционном суде Российской Федерации. Комментарии. М. 1996 с.226.

²⁷ ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, მუხლი 43, პუნქტი 2.

²⁸ იხ. მაგალითად, ჯონი ხეცურიანი. ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში. თბ., 2011, „Конституционное правосудие. 3(5) 996 Ереван.1999, с. 66-81.

თანხმად, „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან“. კონსტიტუციის ახალ რედაქციაში დამატებულია - „თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა ვადას“.²⁹ უფრო ვრცლად ეს საკითხი რეგულირებულია ორგანულ კანონში „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“. რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის ამოქმედებას და კონკრეტულ შედეგს, ორგანული კანონი ამას სასამართლოს კონკრეტული უფლებამოსილების განხორციელებას უკავშირებს. საინტერესოა საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მე-60 მუხლის 1-ლი პუნქტის, „ვ“ ქვეპუნქტი, რომელიც არეგულირებს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების საკითხს“,³⁰ რაც იწვევს ამ გაერთიანების რეგისტრაციის გაუქმებას. საკონსტიტუციო სასამართლო თავის საქმიანობას ახორციელებს კანონიერების, კოლეგიალობის, საქვეყნობის, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის, უფლებამოსილებათა მთელი ვადით საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დამოუკიდებლობის, ხელშეუხებლობისა და შეუცვლელობის საწყისებზე.³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არ გააჩნია საკანონმდებლო მანდატი დააზუსტოს საკუთარი გადაწყვეტილებების სარეზოლუციო ნაწილში გადაწყვეტილების აღსრულებისათვის აუცილებელი ღონისძიებები, გადადოს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის/ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად/ბათილად გამოცხადების ვადები, ურჩიოს კანონმდებელს მიიღოს ახალი საკანონმდებლო აქტი, რომელიც უფრო სრულყოფილად დაარეგულირებს პრობლემურ საკითხს და სხვა.

3.1. აღსასრულებელი გადაწყვეტილებები

სამართლის თეორიაში აღიარებული მოსაზრების თანახმად, იურიდიული ნორმა წარმოადგენს ზოგადსავალდებულო ქცევის წესს, რომელიც დადგენილია ან სანქციონირებული სახელმწიფოს მიერ და რომლის შესრულებაც უზრუნველყოფილია სახელმწიფოს იძულებისა და დარწმუნების მეთოდებით.³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2005 წლამდე, დადგენილებით ნაწილში მიმართავდა თხოვნით საქართველოს პარლამენტს ნორმის აღსრულების მიზნით, კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების თაობაზე,³³ ხოლო, მეორეს მხრივ, პრეზიდენტს ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს, გარკვეული ღონისძიებების გატარების მოტივით.³⁴ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება ყველგან ერთნაირი არაა და ის მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება სხვადასხვა ქვეყანაში, მაგალითად, ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს არა მხოლოდ სამართლებრივი აქტების ძირითად კანონთან შესაბამისობას, არამედ მოქალაქეთა საჩივრებს და შუამდგომლობებს მათი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შემთხვევაში. საქმის განხილვის შედეგად საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ინდივიდუალური ხასიათისაა და ვრცელდება მხოლოდ მოსარჩელეებზე. ხოლო,

²⁹ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი ზუსტად იმეორებს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტს.

³⁰ იხ. იქვე, პუნქტი 3.

³¹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლი.

³² ლობჟანიძე გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2010 წელი, გვ. 200.

³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის №1/1/126,129,158 გადაწყვეტილება საქმეზე, „ბაჭუა გაჩეჩილაძე, სიმონ თურვანდიშვილი, შოთა ბუაძე, სოლომონ სანადირაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2002 წლის 30 დეკემბრის N1/3/136 გადაწყვეტილება საქმეზე, „შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

პოლონეთში არსებობს საკონსტიტუციო ტრიბუნალი და სეიმი. ტრიბუნალის ძირითადი უფლებამოსილებაა ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობა. იმ შემთხვევაში თუ ტრიბუნალს პრეზიდენტი წარუდგენს სეიმის მიერ მიღებულ კანონპროექტს, რომელსაც თავად ხელს არ აწერს და თუ ტრიბუნალი მას არაკონსტიტუციურად ცნობს, ეს გადაწყვეტილება იქნება საბოლოო და სეიმის მიერ გადასინჯვას აღარ ექვემდებარება. რაც შეეხება გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს, პროცესის მონაწილე მხარე, რომელიც მიიჩნევს, რომ სასამართლომ დაარღვია მისი ერთ-ერთი ძირითადი უფლება ან გადაწყვეტილება დააფუძნა კანონზე, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, შეუძლია კონსტიტუციური საჩივრით მიმართოს ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს. პროცესის მონაწილე მხარეს არ შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოთხოვნით, რომ კიდევ ერთხელ იქნეს გადამოწმებული სასამართლოს გადაწყვეტილების მართებულობა.

საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებაა შეამოწმოს, მოსამართლეების კანონიერი ან უკანონო ქმედება კონსტიტუციურ სამართალთან მიმართებაში. გერმანიის კანონმდებლობის შესაბამისად, სადაო აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა, იწვევს მანამდე სადავო აქტის შესაბამისად გამოტანილი გადაწყვეტილებების გაუქმებას და პირის უფლებებში აღდგენას. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების თვალსაზრისით საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის უფლებამოსილება, კერძოდ, იგი „იღებს ზომებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის და თვეში ერთხელ მოახსენებს პლენუმს მათი აღსრულების მიმდინარეობის თაობაზე“³⁵. თუმცა, არსადაა დაკონკრეტებული თუ რა ზომებს იღებს და რა საშუალებებს იყენებს საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის. ფაქტია რომ მთლიანად საკონსტიტუციო სასამართლოს არ გააჩნია ბერკეტები აღსრულებისთვის, იგი მხოლოდ ინფორმირებას ახდენს სახელმწიფო ორგანოების, შესაბამისად, ხელისუფლების სამივე შტო უნდა ფლობდეს ინფორმაციას კონსტიტუციური კანონიერების შესახებ და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ცდილობდეს უზრუნველყოს კონსტიტუციის უზენაესობა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება.³⁶ „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების პრობლემის გადაჭრელობის პირობებში, ძირფესვიანად იცვლება საკონსტიტუციო სასამართლოს სტატუსი, იგი სასამართლოდან რაღაც სათათბირო ორგანოდ გადაიქცევა, რომელიც მხოლოდ კონსულტაციებს იძლევა“.³⁷ აგრეთვე, არ შეიძლება სამართლებრივ სახელმწიფოში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა გახდეს საჭირო.³⁸

3.2. თვითაღსრულებადი გადაწყვეტილებები

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება ძირითადად სახელმწიფო ორგანოების ან თანამდებობის პირთა ქმედებებზეა დამოკიდებული.³⁹ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სავალდებულობა გულისხმობს მისი აღსრულების სავალდებულობას საამისოდ

³⁵ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი.

³⁶ ბენიძე ო., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება, ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, N2, 1997, 18.

³⁷ ლამარა ჩორგოლაშვილი., ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, თბილისი, 2002 წელი.

³⁸ გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი, 2012, 72.

³⁹ ნაკაშიძე მ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აღსრულების პრობლემები, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, N1, 2009, 136.

უფლებამოსილი პირების მხრიდან.⁴⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების მიერ, ხელმოწერიდან 15 დღეში ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში და ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.“⁴¹ აქედან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა და დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს შესაბამისი უწყების მიერ (საკანონმდებლო ორგანო). შესაძლებელია ასევე, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მიუთითოს გადაწყვეტილების აღსრულების დრო (თარიღი), რა დროისთვისაც, აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულება აუცილებლად უნდა მოხდეს. პრაქტიკულად გადაწყვეტილება მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი აღსრულების შედეგები გადაწყვეტილების შინაარსის ადეკვატურია.⁴² „კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას, იწვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.“⁴³ შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ აქვს უკუძალა. საქმე იმაშია, რომ, როცა სამართალი უძღურია მოახდინოს წარსულში დაშვებული უსამართლობის გამოსწორება, მისი ამ მიმართებით მცდელობა საფრთხეს შეუქმნის სამართლებრივ სტაბილურობას და ახალი უსამართლობის წყარო გახდება, ასეთ ვითარებაში ვერ გამოვიყენებთ გადაწყვეტილების უკუძალას.⁴⁴ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, გარდა ისეთი შემთხვევისა „თუ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი“,⁴⁵ ან „თუ ამ აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი“⁴⁶. „საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ არ შეიძლება ისეთი სამართლებრივი აქტის მიღება/გამოცემა, რომელიც შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი“.⁴⁷ თუმცა, პრაქტიკაში მაინც იყო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ახალი ნორმატიული აქტის გამოცემით „გადაფარვის“ შემთხვევაც.⁴⁸

"საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს ყოველი გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად და მისი შეუსრულებლობა ისჯება კანონით, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, არსებობს მრავალი გადაწყვეტილება, რომელიც პარლამენტის მიერ არ არის აღსრულებული და აგრეთვე, გაურკვეველია ე.წ. „დასჯის“ ზომებიც. აქვე, აუცილებლად გასათვალისწინებელია პასუხისმგებლობის დაკისრების პრობლემები, რაც დადგენილ სანქციას არაეფექტურს ხდის.⁴⁹ მაგალითად, „სახალხო დამცველი და ქეთევან ბახტაძე საქართველოს

⁴⁰ ზოიძე ბ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პირობები (ზოგადი მიმოხილვა და საქართველოში არსებული მდგომარეობა), ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, N4, 2004.

⁴¹ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, 1996წ.

⁴² ქეთევან ერემაძე., „მოსაზრებები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ“ - პასუხი, დ. სალუქველიძის კომენტარზე.

⁴³ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლი.

⁴⁴ ბ. ზოიძე., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პირობები (ზოგადი მიმოხილვა და საქართველოში არსებული მდგომარეობა), ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2004, N4, გვ. 69.

⁴⁵ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁴⁶ იხ. იქვე, მე-3 პუნქტი.

⁴⁷ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

⁴⁸ გ. კვერენჩილაძე., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგიერთი თეორიული საკითხი), ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2006, N3, გვ. 43.

⁴⁹ მ. ნაკაშიძე., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემები, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, N1, 2009, 144.

პარლამენტის“ წინააღმდეგ.⁵⁰ მოსარჩელე მხარე, ქეთევან ბახტაძე სადისციპლინო საბჭოს მიერ გადაყენებულ იქნა მოსამართლის თანამდებობიდან. აღნიშნული გადაწყვეტილება იყო საბოლოო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა, თუმცა მოქალაქე ქეთევან ბახტაძის მიერ შეტანილ იქნა კონსტიტუციური სარჩელი, რომელიც განმარტავდა, რომ მას ეზღუდებოდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოსათვის მიმართვის უფლება. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სარჩელი ძირითად ნაწილში დაკმაყოფილდა, ხოლო, საქართველოს პარლამენტს დაევალა შესაბამისი ცვლილებების განხორციელება, რაც აღნიშნულის მხრიდან სრულად არ იქნა გათვალისწინებული, რადგან მოსამართლეს უფლება მიეცა გაესაჩივრებინა სადისციპლინო საბჭოს მიერ გამოტანალი გადაწყვეტილება მხოლოდ უზენაეს სასამართლოში, რამაც სრულად გამორიცხა საქმის არსებითი განხილვა.

პრაქტიკაში ვხვდებით აგრეთვე ისეთ შემთხვევებს, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო აცხადებს ნორმას არაკონსტიტუციურად და რადგან მისი გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა ასეთად ცნობის მომენტიდან, ვიღებთ სიტუაციას, როდესაც მოქმედებს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა, ახლის მიღება კი დროში იწელება. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს როგორც კონსტიტუციის უხეში დარღვევა და იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების საფუძველი. ფაქტია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის განმსაზღვრელი კანონები სრულყოფას საჭიროებენ და საკონსტიტუციო სასამართლო სრულად ვერ ახერხებს მისი უფლებამოსილებების რეალიზაციას. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება არ უნდა იყოს დამოკიდებული ადრესატის კეთილ ნებაზე და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების, როგორც თვითაღსრულებადი აქტის ხასიათზე საზოგადოებაში, რომელიც იმყოფება გარდამავალ ეტაპზე და რომელიც დიდი ხანი არაა რაც დაადგა დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზას. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები თვითაღსრულებადი აქტებია და მათი აღსრულებისათვის არ არის გათვალისწინებული ისეთი მექანიზმები, როგორც საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებებისთვისაა დადგენილი.⁵¹

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ადამიანის უფლების დარღვევად აღიარა ნორმა სისხლის სამართლებრივი დევნის, მით უმეტეს პატიმრობის შესახებ, მარიხუანას განმეორებითი მოხმარების შემთხვევაშიაც კი, რომელიც სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებისთანავე შევიდა ძალაში,⁵² რადგან, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებისას არ დაადგენს კონკრეტულ ვადას, ეს ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება გამოცხადების მომენტიდან ძალაშია. მოცემულ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს აღსრულების ვადები არ დაუწესებია. გადაწყვეტილება შეეხო ყველა იმ პირს, რომელთა წინააღმდეგაც მარიხუანას მოხმარებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლებრივი დევნა მიმდინარეობს, თუმცა, ის, რომ აღნიშნული სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი აღარ იქნება, სამართლებრივად არ წარმოადგენს მითითებული ქმედების ლეგალიზებას, რადგან სასჯელის ზომას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არეგულირებს. ამ ნორმით გასამართლებულ პირებს შეუძლიათ ნასამართლეობის მოხსნა და ჩამორთმეული უფლებების აღდგენა, მათ შორის შრომითი უფლებების.

⁵⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 28 ივნისის N276 გადაწყვეტილება საქმეზე, „სახალხო დამცველი და ქეთევან ბახტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁵¹ მ. ნაკაშიძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემები, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, N1, 2009, 136.

⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის N1/13/732 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

თუმცა, ეს ავტომატურად არ ხდება, აღნიშნულისთვის, პირმა უნდა მიმართოს სააპელაციო სასამართლოს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ცალკე აღებული მარიხუანის მოხმარების ფაქტი, აღნიშნული ქმედების ბუნებიდან გამომდინარე, ნაკლები საფრთხის შემცველია საჯარო ინტერესისთვის, რადგან ამ დროს მცირეა ნარკოტიკული საშუალების გავრცელების შესაძლებლობა. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ნარკოტიკული საშუალების მოხმარებას წინ უძღვის მისი შეძენა ან/და დამზადება, სასამართლომ მიიჩნია, რომ მარიხუანის მოხმარების აკრძალვა წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისკენ გადადგმულ ნაბიჯს, თუმცა სისხლისსამართლებრივი სასჯელის დაწესება იმ მიზნით რომ პირმა არ დააზიანოს საკუთარი ჯანმრთელობა წარმოადგენს სახელმწიფოსგან გამოვლენილი პატერნალიზმის ისეთ ფორმას, რომელიც არ არის თავსებადი თავისუფალ საზოგადოებასთან.⁵³ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა სრულდებოდეს და ეს არ უნდა გახდეს ჩვეულებითი სამართლისა და პრაქტიკით მოწესრიგების საკითხი.

დასკვნა

კონსტიტუციის ინტერპრეტაციის პროცესში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრივილეგირებული მდგომარეობა უკავია. კონსტიტუციური მართლმსაჯულების გარეშე შეუძლებელია კონსტიტუციის გაგება. საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაიცვას ადამიანის უფლებები, დემოკრატიის და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები. საკონსტიტუციო კონტროლის შემოღება კონსტიტუციის არსებობითა და მისი დარღვევის თავიდან აცილების საჭიროებით არის განპირობებული. კონსტიტუციის დაცვა წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლის უმთავრეს მიზანს, მის დანიშნულებას. სწორედ ეს გარემოება არის საკონსტიტუციო კონტროლის ფართოდ გავრცელების ძირითადი ფაქტორი. მსოფლიო პრაქტიკასთან შედარებით, საკონსტიტუციო კონტროლის სამართლებრივი ინსტიტუტი საქართველოში საკმაოდ გვიან ჩამოყალიბდა. საკონსტიტუციო კონტროლის საერთაშორისო დონის სამართლებრივი ინსტიტუტის დაფუძნება საქართველოში 1995 წლის კონსტიტუციის მიღებას უკავშირდება. ამ ძირითადი კანონის საფუძველზე ჩამოყალიბდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, განისაზღვრა მისი სტატუსი და უფლებამოსილება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს მოქმედი კონსტიტუციის უზენაესობას. ამიტომ მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სახელმწიფო ორგანოების სისტემაში. საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნაში მონაწილეობს ხელისუფლების სამივე განშტოება, მაგრამ მათი გავლენა მხოლოდ ფორმირების სტადიით შემოიფარგლება.

ამის შემდეგ ურთიერთობები ხელისუფლებათა გამიჯვნის პრინციპით ხორციელდება. საკანონმდებლო ორგანო განსაზღვრავს სასამართლოს სტატუსს, აღმასრულებელი ხელისუფლება ქმნის პირობებს მისი საქმიანობისათვის, ხოლო თავის მხრივ სასამართლო აკონტროლებს მათ საქმიანობას. ხელისუფლების განშტოებათა შეთანხმებული მოქმედება წარმატებული საკონსტიტუციო კონტროლისა და იმავდროულად მთელი სახელმწიფოებრივი მექანიზმის გამართულად მუშაობის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო ხელისუფლების შეზღუდვისა და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ფუნქციებითაა აღჭურვილი.

⁵³<http://www.constcourt.ge/ge/news/11-30-saqartvelos-sakonstitucio-sasamartlos-gadawyvetileba-saqmeze-saqartvelos-moqalage-givi-shanidze-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page> > [14.07.2019].

კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპების განხორციელება არ ხდება ავტომატურად. მისი მოქმედება შესაძლებელია დაირღვეს განზრახ, ან სამართალშემოქმედების პროცესში დაშვებული შეცდომის შედეგად. მსგავსი არასასურველი გარემოების თავიდან აცილების მიზნით, კონსტიტუციონალიზმში დამკვიდრებულია კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის საშუალებათა სისტემა, რომელთა შორის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლი.⁵⁴ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მნიშვნელობა, ბუნებრივია, მთლიანად დაკავშირებულია იმ სამართლებრივ შედეგებთან, რომელთა გამოწვევაც მას შეუძლია.

ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობაზე ზოგადი კონტროლი მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს საკონსტიტუციო სასამართლოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა, რომლის განხორციელებისას უზრუნველყოფილია კონსტიტუციის, როგორც ძირითადი კანონის უზენაესობა.⁵⁵ საკონსტიტუციო სასამართლოს არის ინსტიტუცია, რომლის მიზანია, დაიცვას კონსტიტუცია ხელისუფლების შტოების არაკონსტიტუციური ჩარევებისგან,⁵⁶ რაც სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობის მაკონტროლებელ უმაღლეს ორგანოდ აქცევს. საკონსტიტუციო სასამართლო არის კონსტიტუციური ორგანო, რომელიც საკვანძო როლს ასრულებს ხელისუფლების სამართლით შეზღუდვასა და ინდივიდისგან სახელმწიფოს სათანადო დისტანცირებაში. საქართველოში კონსტიტუციურმა მართლმსაჯულებამ განვითარების საკმაოდ რთული, ოცწლიანი გზა განვლო. ამ პერიოდის განმავლობაში საკონსტიტუციო სასამართლო განიცდიდა ინსტიტუციური ჩამოყალიბების პერიოდს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თანდათანობით ავითარებდა საკუთარ შესაძლებლობებს, აუმჯობესებდა მართლმსაჯულების პრაქტიკას და ხვეწდა გადაწყვეტილებების სამართლებრივ ხარისხს. კონსტიტუციის ახალი რედაქციით მნიშვნელოვნად იზრდება ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტი, რაც ძალზე პოზიტიურად აისახება კონსტიტუციური მართლმსაჯულების პრაქტიკაზე საქართველოში.

აღსაღნიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ხშირად ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც სასამართლო, ამა თუ იმ კონსტიტუციური უფლების შინაარსისა და ფარგლების დასადგენად, იყენებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ანალოგიური უფლების ირგვლივ სტრასბურგის პრეცედენტულ სამართალს. პრაქტიკის განვითარება, მისი დანერგვა და ერთგვაროვნება ერთ-ერთი წინაპირობაა ხარისხიანი და ხელმისაწვდომი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის. სახელმწიფოს ძლიერება საკანონმდებლო სტაბილურობაში ვლინდება.

⁵⁴ გ. კვერენჩილაძე, კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგადი და თეორიული საკითხი), ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, N3, 2006, გვ. 39.

⁵⁵ გ. კახიანი, აბსტრაქტული ნორმატონტროლის პრობლემები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2009, 62.

⁵⁶ დ. გეგენავა, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბ., 2012, 26.

საერთაშორისო საზოგადოების როლი ისრაელი-პალესტინის კონფლიქტში

შესავალი

ტერიტორიულ დავებს მსოფლიო ისტორიაში მრავლად ვხვდებით. მათგან ზოგიერთის მოგვარება შეიარაღებული, ზოგის კი მშვიდობიანი გზებით მოხერხდა. ბევრი ტერიტორიული კონფლიქტი კი კვლავ გადაუჭრელია და ელოდება საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ქმედით რეაგირებას, რის ნაკლებობასაც ნამდვილად განიცდის დღევანდელი საერთაშორისო სისტემა. ისრაელი-პალესტინის კონფლიქტი, რომელიც მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო, უკვე რამდენიმე ათეული წელია საერთაშორისო საზოგადოებისთვის ერთ-ერთი ურთულეს გამოწვევას წარმოადგენს, იქიდან გამომდინარე, რომ მასში გაერთიანებულია ჩვენთვის ნაცნობი კონფლიქტის თითქმის ყველა ტიპი: ტერიტორიული, პოლიტიკური, ინტერესთა, ინფორმაციული და რაც მთავარია ღირებულებითი. ეს უკანასკნელი, როგორც წესი ყველაზე მწველად მოგვარებადი კონფლიქტების ტიპს მიეკუთვნება. ებრაელებსა და პალესტინელებს შორის მრავალწლიან დაპირისპირებას არა ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა და მიუხედავად იმისა რომ ფართო მასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტი დღეს სახეზე აღარ გვაქვს, პერიოდულად ვითარება კვლავ უკიდურესად იძაბება და კონფლიქტი აქტუალობას მაინც არ კარგავს.

როდესაც ვახსენებ საერთაშორისო საზოგადოებას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ ორ მთავარ აქტორს, რომელიც კონფლიქტის დაწყების დღიდან ჩართულნი იყვნენ პროცესში, როგორც მესამე მხარე. ეს აქტორები არიან: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ამერიკის შეერთებული შტატები.

ჩემი ნაშრომი ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება: პირველ ნაწილში შევხები ისრაელი-პალესტინის კონფლიქტის ანატომიას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შევეცდები დაწვრილებით ვისაუბრო ამ კონფლიქტის წარმოშობის მიზეზებზე, მონაწილე მხარეების პოზიციებსა და ინტერესებზე, ესკალაციის სპირალზე, უშუალოდ შეიარაღებულ კონფლიქტსა და დეესკალაციის საფეხურებზე.

ხოლო ნაშრომის მეორე ნაწილი დაეთმობა საერთაშორისო საზოგადოების ქმედებების განხილვას უშუალოდ ამ კონფლიქტთან მიმართებაში. კერძოდ, ვეცდები კვლევის შედეგად დავადგინო: თუ რა მექანიზმები გააჩნია საერთაშორისო საზოგადოებას კონფლიქტის გადაჭრისათვის, ამ არსებული მექანიზმებიდან რისი გამოყენება შეძლო და რისი ვერა. რა ინტერესები აქვს მესამე მხარეს მოცემულ კონფლიქტში და არსებობს თუ არა რაიმე ბერკეტები საერთაშორისო საზოგადოების ხელში, იმისთვის რომ ეს მრავალწლიანი კონფლიქტი, რომელიც საფრთხეს უქმნის მთელ საერთაშორისო სისტემას, საბოლოოდ დარეგულირდეს.

თემის მთავარი საკვლევი კითხვაა: რატომ განიცადა საერთაშორისო საზოგადოებამ მარცხი ისრაელი-პალესტინის კონფლიქტის მოგვარებაში?

სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა წარმოადგენს ნაშრომის მთავარ მიზანს, რისთვისაც გამოყენებული მაქვს კონტენტ-ანალიზის მეთოდი.

1. ისრაელი-პალესტინი კონფლიქტის აგებულება

1.1. კონფლიქტის ისტორიული საფუძვლები

პალესტინელები ცხოვრობდნენ პალესტინის ტერიტორიაზე ქრისტეს შობამდე 4000 წლით ადრე. მათმა წინაპრებმა ააშენეს იერუსალიმი, იერიქონი, ჯაფა და ა.შ. ებრაელები ამ მიწაზე გამოჩნდნენ ქრისტეს შობამდე 1400-1200 წლებში, და დაამყარეს 80 წლიანი კონტროლი აღნიშნულ რეგიონზე. ამის შემდეგ, ეს მიწები გადავიდა ჯერ ბერძნების და რომაელების მმართველობის ქვეშ, მოგვიანებით კი აქ ისლამური ხალიფატი შეიქმნა. პალესტინის დედაქალაქად კი გამოცხადდა იერუსალიმი. მუსულმანთა მმართველობამ 1918 წლამდე გასტანა, სანამ ოტომანთა იმპერია არ დაეცა.¹

ებრაელების უმეტესობა ჯერ კიდევ რომაელების მმართველობის პერიოდიდან ემიგრირდა ევროპასა და ჩრდილოეთ აფრიკაში. ებრაული დიასპორა გამოირჩეოდა მაღალი კულტურული და ეკონომიკური განვითარების დონით, ყველა იმ სოციალურ სადაც კი ისინი სახლობდნენ. თუმცა მათ მთავარ მისწრაფებას ყოველთვის წარმოადგენდა “წმინდა მიწაზე” დაბრუნება.²

რაც შეეხება დღევანდელ პალესტინას, ამ ტერიტორიაზე დასახლებული არიან არაბები, რომლებიც აქ ჩვენი წელთაღრიცხვით მე-8 საუკუნეში, ხალიფატის დაპყრობის შემდეგ გადმოვიდნენ.

1923 წელს, პირველი მსოფლიო ომის დასრულების და ოტომანთა იმპერიის დაცემის შემდეგ, ერთა ლიგამ ხელი მოაწერა პალესტინის ტერიტორიის ბრიტანეთისთვის მანდატით გადაცემას. ეს რეგიონი მოიცავდა ტერიტორიას დღევანდელი იორდანიიდან მდინარე იორდანის აღმოსავლეთ სანაპირომდე.³

ძალიან მალე აღნიშნულ რეგიონი ეწ “ზიონისტების” მასიური მიგრაციის დანიშნულების ადგილად იქცა. ზიონიზმის იდეოლოგიის მიხედვით, პალესტინის ტერიტორიის ნაწილი ებრაელების ისტორიულ კუთვნილებას წარმოადგენდა, ხოლო თავად ზიონისტები იყვნენ ეთნიკური ებრაელები, რომლებიც წლების განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობდნენ.⁴ მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთი კარგად ხედავდა, თუ როგორ წინააღმდეგობაში მოდიოდა ზიონისტების ემიგრაცია ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებთან, მან მაინც არაფერი იღონა, რომ ხელი შეეშალა პროცესისთვის. მეტიც, ჯერ კიდევ 1917 წელს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მდივანმა არტურ ჯეიმს ბალფორმა გამოსცა ოფიციალური განაცხადი, რომელიც ცნობლია როგორც ბალფორის დეკლარაცია და რომლის მიხედვითაც, ბრიტანეთის მთავრობა დადებითად მიიჩნევდა პალესტინაში ებრაელი ხალხის ეროვნული სამშობლოს დაფუძნების იდეას. აღსანიშნავია, რომ ბალფორის დეკლარაცია არაფერს ამბობდა იერუსალიმის სტატუსის შესახებ.⁵ ამ პერიოდიდან მოყოლებული თავი იჩინა კონფლიქტმა ორ საზოგადოებას შორის. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ერთა ლიგა ჩაანაცვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და ბრიტანეთმა, რომელსაც უჭირდა კონფლიქტის დარეგულირება არაბებსა და ებრაელებს შორის, პალესტინის საკითხზე მთელი

¹ Lieutenant Colonel Mohammed F. Abo-Sak “US Involvement in the Israeli-Palestinian Conflict: Solution or Complication?” 1999, Al-Hewar Center. available from <http://www.alhewar.com/LtCol.htm>

² Brief History of Israel and the Jewish People. available from <http://www.science.co.il/Israel-history.php>

³ “Mandate of Palestine: The legal Aspects of Jewish Rights” Eli E. Herz available from http://www.mythsandfacts.org/conflict/mandate_for_palestine/mandate_for_palestine.htm

⁴ “The Root Cause of the Never-Ending Conflict in Palestine; and How to Fix It” Peter Cohen. available from http://www.huffingtonpost.com/peter-cohen/root-causes-in-palestine_b_5499127.html

⁵ Balfour Declaration, available from <http://history1900s.about.com/cs/holocaust/p/balfourdeclare.htm>

პასუხისმგებლობა სწორედ გაეროს დააკისრა. 1947 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გამოსცა რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც შეიქმნა “პალესტინის სპეციალური კომიტეტი”, კონფლიქტური საკითხის გამოკვლევის და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმავე პერიოდში, გაეროს შემადგენლობა გაიზარდა 55 წევრამდე, მათ შორის იყო: ეგვიპტე, ერაყი, ლიბანი და სირია. პალესტინა კი წარმოადგენდა ერთადერთ ყოფილ სამანდატო ტერიტორიას, რომლის დამოუკიდებლობაც არ იქნა აღიარებული.⁶

კონფლიქტის ათვლის წერტილად შეიძლება ჩაითვალოს 1947 წლის 29 ნოემბერი, როდესაც გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ რეზოლუციით დაამტკიცა „პალესტინის დაყოფის გეგმა“, რომლის მიხედვითაც პალესტინა ორ სახელმწიფოდ იყოფოდა – არაბულ და ებრაულ სახელმწიფოებად.⁷ დაყოფის გეგმის მიხედვით იერუსალიმში წესდებოდა სპეციალური საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმი გაერო-ს სამეურვეო საბჭოს მეთვალყურეობის ქვეშ და ქალაქი მოხსენიებული იყო, როგორც ცორპუს სეპარატუმ ანუ “დამოუკიდებელი სხეული” გაერო-ს მიერ იერუსალიმის დაყოფის გეგმა მკაფიოდ მიუთითებდა ქალაქის სპეციფიკურობასა და მისი ზუსტი სტატუსის განუსაზღვრელობაზე, თავად ტერმინოლოგია, რომელსაც ასამბლეა იყენებს რეზოლუციაში ამის მკაფიო დადასტურებაა. მაგალითად ისეთი ტერმინები, როგორცაა: “იერუსალიმის წმინდა ქალაქი”; “სპეციალური საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმი”; “დამოუკიდებელი სხეული”.⁸ იერუსალიმში დაწესებული საერთაშორისო რეჟიმი მოიცავდა სამეურვეო საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულ მმართველთა დანიშვნას, სპეციალური საპოლიციო ძალების შემოღებას, რომელიც დაკომპლექტდებოდა პალესტინის გარეთ, საკანონმდებლო საბჭოს არჩევასა და ქალაქის სრულ დემილიტარიზაციას.⁹ აღნიშნული დაყოფის გეგმა პალესტინაში მოქმედმა ებრაულმა ორგანიზაციამ მიიღო, თუმცა არაბებმა უარყვეს იგი. გაერო-ს უშუშროების საბჭოს შემდგომი ზომები აღარ მიუღია, შესაბამისად პალესტინის დაყოფის გეგმასა და იერუსალიმის სპეციალური სტატუსის ქვეშ დაფუძნებას სამართლებრივი ეფექტი არ ჰქონია. მიუხედავად იმისა, რომ პალესტინური მხარე არ ეთანხმებოდა ამ გადაწყვეტილებას და თვლიდა, რომ ტერიტორიების უსამართლო გადანაწილება ხდებოდა.

1.2. ისრაელი-პალესტინის ომები

კონფლიქტი ორ სახელმწიფოს შორის მუდმივად მიმდინარეობდა, თუმცა მასშტაბური ხასიათი რამდენჯერმე მიიღო და შედეგად სახეზე გვაქვს ისრაელი-პალესტინის ოთხი ომი, რომელთაც პირობითად ასე ახასიათებენ:

1. 1948-1949 პალესტინელების ომი ისრაელის სახელმწიფოს გასანადგურებლად;
2. 1967 პალესტინელების ომი, რათა მოეპოვებინათ ისრაელისგან დამოუკიდებლობა და დაებრუნებინათ ოკუპირებული დასავლეთ სანაპირო და ღაზას სექტორი;
3. 1973 ისრაელის ომი რათა დაეცვა უსაფრთხოება 1967 წელს დადგენილი საზღვრების ფარგლებში;

⁶ “*The Role of the U.N. in Creating the Israeli-Palestinian Conflict*” by Jeremy R. Hammond, Washington Report on Middle East Affairs, August 2013, PP 20-21

⁷ UN GA Res. 181(II), U.N. Doc. A/RES/181(II) (Nov. 29, 1947).

⁸ *Ibid...*

⁹ *The Status of Jerusalem: Some National and International Aspects*, by S. Shepard Jones. Law and Contemporary Problems, Vol. 33, No. 1, The Middle East Crisis: Test of International Law (Winter, 1968), Published by: Duke University School of Law, p. 177.

4. 1982-1985 ისრაელის ომი დიადი ისრაელის სახელმწიფოს შესაქმნელად და ოკუპირებული ტერიტორიების დასამტკიცებლად.¹⁰

ქვემოთ, დაწვრილებით აღწერ თუ როგორ ვითარდებოდა ამ ომებს შორის ესკალაციის სპირალები და დეესკალაციის ეტაპების შემდეგ, როგორ მიდიოდა ორი ქვეყანა კვლავ და კვლავ შეიარაღებულ დაპირისპირებამდე.

1948 წლის 14 მაისს, ზიონისტების ლიდერებმა თვითნებურად გამოაცხადეს ისრაელის სახელმწიფოს შექმნა, რასაც მოყვა შეიარაღებული კონფლიქტი და არაბი მოსახლეობის ძალდატანებითი გაყრა ახლად შექმნილი ებრაული სახელმწიფოს ტერიტორიიდან. ათასობით ადამიანს მოუხდა საკუთარი სახლის დატოვება. პალესტინელებმა ამ პროცესს “ნაკბა” ანუ კატასტროფა უწოდეს.¹¹

სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა, ბრიტანეთის მანდატის ამოწურვა პალესტინაში და ბრიტანულმა ძალებმა დატოვეს რეგიონი, რამაც კიდევ უფრო მეტი ქაოსი გამოიწვია. როგორც ზიონისტების ლიდერი, ბენ ჰურიონი აცხადებდა, ებრაელმა ერმა ისარგებლა თვით-გამორკვევის პრინციპით და უფლება მოიპოვა ეცხოვრა იმ მიწაზე, რომელიც ისტორიულად მას ეკუთვნოდა. თუმცა ეს არგუმენტი სრულიად მიუღებელი იყო პალესტინელი მხარისთვის, რომელიც თვლიდა, რომ მათი მიწის დიდი ნაწილი უსამართლოდ გადაეცათ ემიგრანტებს და ამას აღიქვამდა როგორც დასავლური კოლონიალიზმის ერთ-ერთ მაგალითს.¹² იმავე წელს, პალესტინაში შექმნილი სიტუაციით ისარგებლეს მეზობელმა ქვეყნებმა და ისრაელთან ტაქტიკური გარიგების საფუძველზე ტერიტორიები შემდეგნაირად გადაინაწილეს: იორდანამ დაამყარა კონტროლი დასავლეთ სანაპიროზე, ეგვიპტემ ღაზას სექტორზე, ხოლო იერუსალიმი განაწილდა ისრაელსა და იორდანას შორის.¹³

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გამოსცა 194-ე რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც იგი აღიარებდა პალესტინელი ლტოლვილების უფლებებს და მოუწოდებდა მათ დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სახლებში, საიდანაც ძალით გამოყარეს. თუმცა ისრაელმა არ სცნო ლტოლვილების რეპატრაციის საკითხი და არ მისცა მათ დაბრუნების საშუალება.

1949-1950წწ – ისრაელი გახდა გაეროს წევრობის აპლიკანტი ქვეყანა. როდესაც გენერალური ასამბლეა განიხილავდა ისრაელის წევრობის საკითხს, ლიბანის წარმომადგენელმა ჩარლზ ჰაბიბ მალიკმა აღნიშნა: „იმის ფონზე, რომ ისრაელმა უარყო არაბი ლტოლვილების რეპატრაციის პრინციპი, გაეროში მისი გაწევრიანება ნიშნავს მილიონობით არაბისთვის სამუდამო დევნილობის მისჯას. ეს ფაქტი კი თავის მხრივ, გამოიწვევს სერიოზულ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ძვრებს როგორც ახლო აღმოსავლეთში ისე მთლიანად მსოფლიოში.“¹⁴

1956-1957წწ – ეგვიპტესა და ღაზაში წარმოიქმნა პალესტინური პარტიზანული დაჯგუფებები, რომლებიც ახორციელებდნენ თავდასხმებს ისრაელის წინააღმდეგ. ამავდროულად, სუეცის კრიზისის დროს ისრაელი აწარმოებდა ფარულ მოლაპარაკებებს ბრიტანეთთან და საფრანგეთთან ეგვიპტის დასაპყრობად.

¹⁰ “*The Four Wars of Israel/Palestine*” Michael Walzer, Dissent, fall 2002, p.26

¹¹ Palestinian Territories Profile, available from <http://www.bbc.com/news/world-middle-east-14630174>

¹² “The Root Cause of the Never-Ending Conflict in Palestine; and How to Fix It” Peter Cohen. available from http://www.huffingtonpost.com/peter-cohen/root-causes-in-palestine_b_5499127.html

¹³ “*HISTORY OF THE ISRAELI-PALESTINIAN CONFLICT*” by Negar Katirai; Promises/Timeline. American Documentary, Inc. December 2001, p.2

¹⁴ “*The Role of the U.N. in Creating the Israeli-Palestinian Conflict*” by Jeremy R. Hammond, Washington Report on Middle East Affairs, August 2013, PP 20-21

1959წ – იასირ არაფატმა შექმნა ფატაჰი – მებრძოლთა დაჯგუფება ისრაელის წინააღმდეგ საბრძოლველად.

1964წ – არაბულმა ლიგამ შექმნა პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაცია და პალესტინის განმათავისუფლებელი არმია.¹⁵

1967წ – 5 ივნისს ისრაელმა დაიწყო ფართომასშტაბიანი ომი სირიის, იორდანისა და ეგვიპტის წინააღმდეგ. რომელსაც მოგვიანებით ექვსდღიანი ომი ეწოდა. ამ ომს წინ უძლოდა პალესტინელი პარტიზანების მიერ ისრაელზე თავდასხმები. გადამწყვეტი როლი ითამაშა ეგვიპტის განცხადებამ, რომ გაეროს აღარაფერი ესაქმებოდა სუეცის რეგიონში, რის შემდეგაც ეგვიპტემ დაიწყო სამხედრო ძალების მობილიზება, ამ რეგიონში უსაფრთხოების დასაცავად. მისი ეს ქმედება ისრაელისთვის პროვოკაციული აღმოჩნდა და დარწმუნდა რა, იმაში რომ ეგვიპტე მასთან ომს აპირებდა, ისრაელმა თავად წამოიწყო სამხედრო ოპერაცია. ებრაულმა საჰაერო ძალებმა გაანადგურეს ეგვიპტე, იორდანია, სირია და ერაყი. 7 ივნისისთვის ეგვიპტის ტანკების უმეტესობა აღარ არსებობდა სინას უდაბნოში, ხოლო ისრაელის ძალებმა მიაღწიეს სუეცის არხამდე. იმავე დღეს, მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპირო მთლიანად გაიწმინდა იორდანიული ჯარისგან. ხოლო სირიისგან ისრაელმა მიიტაცა ოქროს მაღლობები. ეს ომი იყო კატასტროფა არაბული სამყაროსთვის, როგორც ფიზიკური ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ოთხი ძლიერი არაბული სახელმწიფო მიწასთან გასწორა ერთმა ქვეყანამ. თავის მხრივ კი, ისრაელმა ამ გამარჯვებით სტრატეგიული მნიშვნელობის ტერიტორიები შეიძინა. მას წილად ერგო: სინა, ოქროს მაღლობები და იორდანეს დასავლეთ სანაპირო და აღმოსავლეთ იერუსალიმი. ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები 60 000-მდე არაბი მოსახლე მისი დაქვემდებარების ქვეშ. ომის შედეგად დადგენილ ამ ახალ საზღვრებს „მწვანე ხაზი“ ეწოდა.¹⁶ 1967 წლის 22 ნოემბერს გაერო-ს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია №242, რომელიც მიუთითებდა რომ ისრაელს უნდა გამოეყვანა საკუთარი საჯარისო შენაერთები ბოლო დროინდელ კონფლიქტის შედეგად ოკუპირებული ტერიტორიებიდან.¹⁷ რეზოლუციის ტექსტი ერთგვარ ბუნდოვანებას იწვევდა. უშიშროების საბჭო არ მოუწოდებდა ისრაელს პირდაპირ რომ ჯარები ყველა ოკუპირებული ტერიტორიიდან ან რომელიმე კონკრეტული ტერიტორიიდან გამოეყვანა,¹⁸ ამიტომ ისრაელმა არ ჩათვალა თავი ვალდებულიად, რომ ეს მოთხოვნა შეესრულებინა. ისრაელის ოფიციალური პოზიცია აღმოსავლეთ იერუსალიმის დაკავებასა და ზოგადად ქალაქის სტატუსთან დაკავშირებით გააჟღერა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რომლის გაერო-ს გენერალური მდივნისათვის გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ:

„1948 წელს განხორციელებული აგრესიის შედეგად იერუსალიმის ნაწილი ვანდალების ხელში მოექცა, რომლებიც არ უშვებდნენ ყველა რელიგიის წარმომადგენლებს წმინდა ადგილების მოსალოცად. რელიგიის თავისუფლებისა და წმინდა ადგილებზე თავისუფალი ხელმისაწვდომობის უფლების უხეში დარღვევა მხოლოდ ებრაელების მიმართ არ ხდებოდა. 1950 წელს იორდანის მთავრობამ გაერო-ს გენერალური ასამბლეის სპეციალურ ად სოციალურ და პოლიტიკურ კომიტეტს შეატყობინა, რომ ის არ მიიღებდა არანაირ სპეციალურ შეთანხმებებს წმინდა ადგილებზე მისაწვდომობის თვალსაზრისით. არტილერიის მიერ განხორციელებული დაბომბვები მიმართული იყო სინაგოგების, მიძინების ტაძრის, საავადმყოფოების, იერუსალიმის

¹⁵ Palestinian Territories Profile, available from <http://www.bbc.com/news/world-middle-east-14630174>

¹⁶ The Six Day War available from http://www.historylearningsite.co.uk/six_day_war_1967.htm

¹⁷ UN SC res 242, 22 November, 1967.

¹⁸ Dore Gold, *Jerusalem in International Diplomacy*, (Jerusalem Center for Public Affairs), available from <http://www.jcpa.org/jcprg10.htm> (quoting George Brown and Arthur Goldberg).

ებრაული უნივერსიტეტისა და ისრაელის მუზეუმის წინააღმდეგ. წმინდა ადგილები გამოყენებული იყო სამხედრო მიზნებისათვის.

1967 წლის 7 ივნისის შემდეგ კი მთელს ქალაქში მშვიდობამ დაისადგურა. წმინდა ადგილებზე მისვლა ყველა მსურველს შეუძლია. ისრაელის სახელმწიფომ მიიღო კანონი "წმინდა ადგილების დაცვის შესახებ", რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფილია წმინდა ადგილების დაცვა, ასევე მათი მოლოცვა და მისაწვდომობა ყველა აღმსარებლობის პირისათვის. ბოლო ცხრამეტი წლის განმავლობაში მსგავსი კანონმდებლობა არ მოქმედებდა იერუსალიმში. 1967 წლიდან კი ყველა საკრარული ნაგებობა შეკეთდა, ხოლო ოირდანის ოკუპაციის დროს დანგრეული ღვთისმსახურების ადგილები კი ხელახლა აშენდა და რესტავრირდა.¹⁹

იორდანის მიერ იერუსალიმის ოკუპაცია ატარებდა დროებით ხასიათს. იორდანის არც წარუდგენია რაიმე პრეტენზია აღმოსავლეთ იერუსალიმის საკუთარ ტერიტორიად გახდომის შესახებ, შესაბამისად ამ მიწაზე საკუთრების უფლება მას არასდროს არ მოუპოვებია. იერუსალიმი ინარჩუნებდა დე იურე საერთაშორისო სტატუსს, მანამ სანამ 1967 წელს ისრაელმა არ მოახდინა მისი სამხედრო ოკუპაცია.

1969წ – იასირ არაფატი გახდა პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის ლიდერი და ეგვიპტის კონტროლის ქვეშ დაიწყო დამოუკიდებელი დაჯგუფებების შექმნა.

1970წ – პალესტინის განმათავისუფლებელ ორგანიზაციასა და იორდანის შორის დამაბულობამ ზღვარს მიაღწია და საბოლოოდ გადაიზარდა შეიარაღებულ კონფლიქტში, რის შედეგადაც პალესტინის განმათავისუფლებელმა ორგანიზაციამ ლიბანში გადაინაცვლა.

1972წ – პალესტინური ტერორისტული დაჯგუფების "შავი სექტემბრის" წევრებმა მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე მძევლად აიყვანა ისრაელის ათლეტების გუნდი. ორი მათგანი მაშინვე მოკლეს, ხოლო დანარჩენი ცხრა კი შეეწირა გერმანიის მიერ ჩატარებულ გამათავისუფლებელ სპეც-ოპერაციას. რვა ტერორისტიდან ხუთის ლიკვიდაცია მოხერხდა, სამი მათგანი კი დააპატიმრეს. მიუნხენის ტერაქტი ისტორიაში შევიდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი ტერორისტული ქმედება.

1973წ - ექვსწლიანი არაეფექტური დიპლომატიური ურთიერთობების შემდეგ, სირიამ და ეგვიპტემ კვლავ განახორციელეს ისრაელზე თავდასხმა, იმ იმედით, რომ დაიბრუნებდნენ 1967 წელს დაკარგულ ტერიტორიებს. ეგვიპტის მაშინდელი პრეზიდენტი მიიჩნევდა, რომ აშშ და საბჭოთა კავშირი იმდენად იყვნენ გართული ერთმანეთთან ქიშპობით, რომ არც ერთი აღარ აქცევდა ყურადღებას შუა აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებს, ეს ომი კი მათ იძულებულს გახდიდა კვლავ მიბრუნებოდნენ პალესტინის საკითხს.

მართლაც, ომის დაწყებიდან ძალიან მალე საბჭოთა კავშირმა დაიწყო ეგვიპტის და სირიის რესურსებით მომარაგება, აშშ-იმ კი - ისრაელის. თავდაპირველად ეგვიპტემ და სირიამ უპირატესობა მოიპოვეს, თუმცა რამდენიმე დღეში ისრაელის არმიამ უკან დაიბრუნა გოლანი და სუეცი და იზოლაციაში მოაქცია ეგვიპტის მესამე არმია. სიტუაციის განსამუხტად, გაერომ გამოსცა რეზოლუცია 338 და მოუწოდა მხარეებს ცეცხლის შეწყვეტისაკენ, მაგრამ ისრაელმა ამ მოწოდებას იგნორი გაუკეთა, მის ტერიტორიაზე არაბული არმიის ყოფნის გამო. თუმცა საბოლოოდ ორი სუპერძალის ჩარევით, ცეცხლის შეწყვეტა მაინც მოხერხდა.²⁰

¹⁹Israeli Letter of July 10, 1967, to the U.N. Secretary-General Concerning the Status of Jerusalem. International Legal Materials, Vol. 6, No. 4 (JULY 1967), pp. 846-850.

²⁰ "The Arab-Israeli Wars" available from <http://www.cof.edu/earthinfo/meast/israel/IPtopic4.html>

1974წ – პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელობით თავდასხმები მოეწყო ჩრდილოეთ ისრაელზე, რასაც 43 მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე ემსხვერპლა, მათ შორის იყვნენ ბავშვებიც.

1977წ – ისრაელში ხმათა გასაოცარი უმრავლესობით არჩევნები მოიგო მემარჯვენე ფრთამ, რომელმაც დაიწყო დასავლეთ სანაპიროზე და ღაზას სექტორში განაშენიანობის პოლიტიკის გატარება.

1978წ – პალესტინის განმათავისუფლებელმა ორგანიზაციამ თავდასხმის შედეგად მოკლა ისრაელის 38 მოქალაქე. ისრაელმა კი განახორციელა პირველი შეჭრა სამხრეთ ლიბანში, რათა განედევნა პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაცია და სხვა პალესტინური დაჯგუფებები აღნიშნული რეგიონიდან.

1982წ – 6 ივნისს, ისრაელმა წამოიწყო მასშტაბური ინტერვენცია ლიბანში, რომლის მიზანიც იყო: პალესტინის განმათავისუფლებელი არმიის განდევნა სამხრეთ ლიბანიდან, ლიბანის პოლიტიკურ კურსზე გავლენის მოხდენა და სირიის გავლენის შემცირება ლიბანზე. ოპერაცია „მშვიდობა გალილეას“ ფარგლებში, ისრაელმა სწრაფად მოახერხა სამხრეთ ლიბანის დაკავება და სირიული ავიამალების განადგურება. თუმცა ამაზე არ შეჩერებულა და ბეირუთის ოკუპირებაც დაიწყო. ამ ფაქტმა საერთაშორისო საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია მისი ზეწოლის შედეგად, ისრაელმა უკან დაიხია. პოზიციების დათმობის მიუხედავად, ისრაელმა მაინც შექმნა ე.წ „უსაფრთხო ზონა“ სამხრეთ ლიბანში, რომელზეც თავად დააწესა კონტროლი.²¹

1.3. პირველი და მეორე ინტიფადა

ინტიფადა არაბული სიტყვაა და ითარგმნება, როგორც “შერყევა” ან “შეზანზარება”. ამ ტერმინს იყენებენ, როდესაც აღწერენ ისრაელის მისამართით დასავლეთ სანაპიროს და ღაზას სექტორის მიერ განხორციელებულ ორ მთავარ წინააღმდეგობის კამპანიას.

პირველი ინტიფადა დაიწყო 1987 წლის დეკემბერში. რამდენად უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, ეს ამბოხი არ დაწყებულა რომელიმე კონკრეტული ლიდერის ან ორგანიზაციის მიერ.. მისი დაწყების საბაზი გახდა ღაზას სექტორში მომხდარი ფაქტი. როდესაც ლტოლვილთა ბანაკში ისრაელის სატვირთო მანქანა შეეჯახა პალესტინელი მუშებით სავსე ორ ფურგონს და ოთხი მათგანი დაიღუპა. ამ ავტომშემთხვევამ გადამწყვეტი როლი ითამაშა და აჯანყების ტალღა მთელ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გავრცელდა. ამ სამოქალაქო წინააღმდეგობის კამპანიაში ჩაერთო უამრავი პალესტინელი ახალგაზრდა, მათ ორგანიზებას და მართვას კი კვლავაც პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაცია ახდენდა, რომელიც იმ დროისთვის ოთხ მთავარ ფრთად იყო დაყოფილი: ძირითადი ფრთა – პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაცია, ფატაჰი – პალესტინის განთავისუფლების პოპულარული ფრონტი (), პალესტინის განთავისუფლების დემოკრატიული ფრონტი () და პალესტინელი ხალხის პარტია (). ინტიფადას მიზანი იყო ბოლო მოეღო ისრაელის ოკუპაციისთვის და დაეარსებინა დამოუკიდებელი პალესტინა. პალესტინელების უკმაყოფილებას ტერიტორიების დაკარგვის გარდა, რამდენიმე გარემოება უწყობდა ხელს:

- პალესტინელები იძულებული იყვნენ ისრაელისთვის ეხადათ გადასახადები;
- პალესტინელები ხშირად ხდებოდნენ ისრაელის ჯარის რეიდების ობიექტები;
- მათ შეზღუდული ჰქონდა საბაზისო სამოქალაქო უფლებები;

²¹ *Ibid...*

- ეკრძალებოდათ ნებისმიერი სახის კოლექტიური ეროვნული ასპირაციების გამოვლინება.

აქედან გამომდინარე, ინტიფადა მყისიერად გავრცელდა მთელ პალესტინაში და მას ჰქონდა სხვადასხვა სახის გამოვლინებები, მათ შორის: სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, ქუჩის შეტაკებები, დემონსტრაციები, გადასახადებზე უარის თქმა, ებრაული პროდუქციის ბოიკოტი და ა.შ. ისრაელმა კი ამ ყოველივეს სასტიკი რეაქციით უპასუხა: დაიხურა პალესტინური სკოლები, განხორციელდა მასიური დაჭერები, დემონსტრაციები დაიშალა ძალადობრივი მეთოდებით. 1987-1991 წლებში ისრაელის სამხედრო ძალებმა დახოცეს 1 100 პალესტინელი და დაშავდა ათასობით. დახოცილებს და დაჭრილებს შორის იყო უამრავი ბავშვი.²²

პირველი ინტიფადას დასრულების შემდეგ, 1993 წელს ოსლოს შეთანხმებით დაფუძნდა პალესტინური ავტონომია. შეთანხმების მიხედვით პალესტინის განმანთავისუფლებელი ორგანიზაცია ისრაელის მიერ აღიარებულ იქნა როგორც პალესტინელი ხალხის წარმომადგენელი ორგანო. სხვა საკითხებთან ერთად ოსლოს შეთანხმება ითვალისწინებდა რომ მხარეები ყველა ღონეს იხმარდნენ, რათა მათი ქმედებები შესაბამისობაში მოსულიყო კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან და ნორმებთან.²³

ოსლოს შეთანხმებით დასავლეთ სანაპიროს ტერიტორია დაიყო სამ ზონად; აღნიშნული დაყოფა წარმოადგენდა ისრაელის თავდაცვითი ძალების მიერ პალესტინური ავტონომიისათვის ძალაუფლების ეტაპობრივად გადაცემის პირველ ნაბიჯს. ზონა “ ” ხვდებოდა პალესტინური ავტონომიის სრული კონტროლის ქვეშ როგორც სამოქალაქო ისე უშიშროების ადმინისტრირების კუთხით, ზონა “ ”-ზე პალესტინა სამოქალაქო კონტროლს ავრცელებდა, ხოლო უშიშროების საკითხი ისრაელ-პალესტინის ერთობლივი კონტროლის ქვეშ ექცეოდა, ხოლო ზონა “წ” კი სრულად ისრაელის კონტროლს დაქვემდებარებულად რჩებოდა.²⁴

მეორე ინტიფადა დაიწყო 2000 წლის ბოლოს და პირველი ინტიფადას მსგავსად, ამ შემთხვევაშიც ამბოხის მიზეზი იყო ისრაელის მხრიდან პალესტინის ტერიტორიების ოკუპაცია და ადამიანური უფლებების უხეში დარღვევა პალესტინელი ხალხის მისამართით. ამჯერად პროტესტის ტალღის აგორების საბაზი გახდა ისრაელის პრემიერ მინისტრიეს არიელ შარონის სიტყვები, რომელიც მან იერუსალიმში ალ-აქსას მეჩეთის სიახლოვეს წარმოსთქვა: “წმინდა მთა ჩვენს ხელშია”. პალესტინელებმა ეს გაიგეს როგორც პირდაპირი მუქარა და აჯანყებამაც მაშინვე იფეთქა. ისრაელის საოკუპაციო ძალებმა განახორციელა პალესტინელების კოლექტიური დასჯის პოლიტიკა. გაერომ სასწრაფოდ გამოსცა რეზოლუცია 1322, რომელშიც დაადანაშაულა ისრაელი პალესტინელი ხალხის წინააღმდეგ გადამეტებული ძალის გამოყენებაში. ეს რეზოლუცია კონფლიქტის დაწყებიდან სამ კვირაში გამოიცა, თუმცა ამ დროისთვის უკვე ასობით პალესტინელი იყო დაღუპული. პალესტინის ადამიანის უფლებების ცენტრის მონაცემებით, მეორე ინტიფადას დროს დაიღუპა 4 973 პალესტინის მოქალაქე. მათ შორის 1 262 ბავშვი, 274 ქალი და 32 სამედიცინო პერსონალი.²⁵

2005 წლის 12 სექტემბერს ისრაელის უკანასკნელმა შეიარაღებულმა დანაყოფმაც დატოვა ღაზას სექტორი, რომელსაც ისრაელი 1967 წლის 6-დღიანი ომის შემდეგ აკონტროლებდა. ჯარების გამოყვანის ეს ოპერაცია იყო ბოლო ფაზა ე.წ. “გამოსვლის გეგმისა”, რომელიც ისრაელის მთავრობამ

²² The first Intifada, available from <http://www.ampalestine.org/index.php/history/the-intifadas/347-the-first-intifada-introduction>

²³Israeli – Palestinian Interim Agreement on the West Bank and Gaza Strip, (Oslo II) 1995, Article XIX.

²⁴Haim Gvirtzman, *Maps of Israeli Interests in Judea and Samaria* □ *Determining the Extent of the Additional Withdrawals*, □ available from <http://www.biu.ac.il/Besa/books/maps.htm>.

²⁵ The second Intifada, available from <http://www.ampalestine.org/index.php/history/the-intifadas/343-the-second-intifada-introduction>

2004 წელს მიიღო და პარლამენტმა იმავე წელს დაამტკიცა.²⁶ ამ გეგმის მეშვეობით ისრაელის მთავრობის მიზანი იყო რომ სახელმწიფოს მოეხსნა პასუხისმგებლობა *vis-à-vis* ღაზას სექტორში მცხოვრები მოქალაქეების მიმართ.²⁷ ნიშნავდა თუ არა ეს იმას, რომ აღნიშნული ზომების გატარებით დასრულდა ღაზას რეგიონის ოკუპაცია? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტერიტორიაზე სამხედრო ძალის ფიზიკური ყოფნის დასრულება მოასწავებდა თუ არა იმას, რომ ღაზას სექტორის ეფექტური კონტროლის ნიშნები აღარ იყო სახეზე? არსებობს მოსაზრება, რომ ეს ასე არ არის, რადგან ისრაელი მაინც ინარჩუნებს კონტროლის მექანიზმებს ღაზას სექტორზე მიუხედავად იმისა, რომ მისი სამხედრო ძალები ფიზიკურად აღარ არიან განლაგებულნი სექტორის ტერიტორიაზე.²⁸ “გამოსვლის გეგმის” მიხედვით ისრაელი ინარჩუნებს კონტროლს ღაზას სექტორის სასაზღვრო ზოლზე, ისევე როგორც სექტორის საჰაერო და საზღვაო სივრცეზე. გარდა ამისა, ისრაელს აქვს უფლება ნებისმიერ დროს შევიდეს ღაზაში საჯარო წესრიგის დასამყარებლად.²⁹ ამიტომაც გაერო-ს გენერალურმა მდივანმა მიიჩნია რომ ღაზასთან მიმართებაში ისრაელის თავდაცვითი ძალების (I) ქმედებები ცხადყოფენ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით ოკუპანტ ძალას შეუძლია ტერიტორია ისე აკონტროლოს ეფექტურად, რომ ფიზიკურად არც იყოს წარმოდგენილი ამ ტერიტორიაზე.³⁰

2. საერთაშორისო საზოგადოება ისრაელი-პალესტინის კონფლიქტში

2.1. აშშ-ს, როგორც მესამე მხარის ინტერესი კონფლიქტში

1930-იან წლებში, როდესაც საუდის არაბეთში ნავთობი აღმოაჩინეს, აშშ-ის დამოკიდებულება ამ რეგიონზე მნიშვნელოვნად გაიზარდა. მან დაამყარა სტრატეგიულად მეგობრული ურთიერთობა არაბულ ნავთობ-მწარმოებელ ქვეყნებთან, რაც გამოიხატა კიდევ ცივი ომის დროს, როდესაც ამ ქვეყნებმა საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო ბანაკში ყოფნა აირჩიეს.³¹ ცივი ომის პერიოდში ორი სუპერ ძალა: აშშ-ი და საბჭოთა კავშირი ცდილობდა პალესტინის ტერიტორიაზე დაწყებული კონფლიქტის მართვას, თუმცა კონკრეტულ გადაწყვეტილებას არც ერთი მხარე არ იღებდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ არც ერთ მათგანს არ აწყობდა ამ ლატენტური კონფლიქტის გადაზრდა ღია დაპირისპირებაში და შესაბამისად ცივი ომის ბიპოლარული სისტემის მოშლა. ყველა სხვა სახელმწიფო უძლური იყო, რაიმე გადაწყვეტილება მიეღო, რადგან ვერავინ შეძლო მესამე ძლიერი ბანაკის შექმნა, რათა დაეხალანსებინა ბიპოლარული სისტემა.

ისრაელი თავიდანვე სარგებლობდა აშშ-ს დიდი მხარდაჭერით. თავად აშშ ამ მხარდაჭერას შემდეგი მიზეზებით ხსნიდა:

²⁶Israeli Prime Minister’s Office, Cabinet Resolution Regarding the Disengagement Plan: Addendum A – Revised Disengagement Plan – Main Principles, 6 June 2004, *available from* <http://www.mfa.gov.il/MFA/Peace+Process/Reference+Documents/Revised+Disengagement+Plan+6-June-2004.htm#A>.

²⁷*Typology of Armed Conflicts in International Humanitarian Law: Legal Concepts and Actual Situations* by Silvian Vite, International Review of the Red Cross. Vol. 91, number 873, March 2009, p. 83.

²⁸Note by the United Nations Secretary-General: Situation of human rights in the Palestinian territories occupied since 1967, UN Doc. A/61/470, 27 September 2006, *para* 6. *See also*: Report on the situation of human rights in the Palestinian Territories occupied by Israel since 1967, J. Dugard, Special Rapporteur, E/CN.4/2006/29, 17 January 2006, *paras* 6 ff.

²⁹*supra*, n. 26, p.84.

³⁰C. Bruderlein, ‘*Legal Aspects of Israel’s Disengagement Plan Under International Humanitarian Law*’, Legal and Policy Brief, Harvard University Program on Humanitarian Policy and Conflict Research, November 2004, pp. 10–11; I. Scobbie, ‘*Is Gaza Still Occupied Territory?*’, Forced Migration Review, Vol. 26, 2006, p. 18.

³¹Lieutenant Colonel Mohammed F. Abo-Sak “**US Involvement in the Israeli-Palestinian Conflict: Solution or Complication?**” 1999, Al-Hewar Center. *available from* <http://www.alhewar.com/LtCol.htm>

- ისრაელი იზიარებდა აშშ-ის დემოკრატიულ პრინციპებს;
- აშშ-ის ეკისრა მორალური პასუხისმგებლობა, რომ დახმარებოდა თვით-გამორკვევაში ებრაელი ხალხის პატარა ერ-სახელმწიფოს;
- აშშ-ის ეკისრა პასუხისმგებლობა რეგიონში ორი ეთნიკური ჯგუფის მშვიდობიან თანაცხოვრებაზე.³²

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის მთავრობა კარგად აცნობიერებდა, თუ რამდენად საშიშ ტერიტორიულ და პოლიტიკურ თამაშში ჩაითრევდა მას ისრაელის მხარდაჭერა, აშშ-ის ინტერესები ამ ქვეყნის მიმართ უფრო ძლიერი აღმოჩნდა.³³

ეს ინტერესები იყო შემდეგი:

1. როგორც უკვე აღვნიშნეთ, შუა აღმოსავლეთში ნავთობის დიდი მარაგის აღმოჩენის გამო, ამ რეგიონის როლი კიდევ უფრო გაიზარდა საერთაშორისო სისტემაში, და აქედან გამომდინარე აშშ-ისთვის მნიშვნელოვანი გახდა ამ ტერიტორიაზე ახლო მოკავშირის ყოლა. მართალია, არაბული ქვეყნების კეთილგანწყობა აშშ-ის იმ ეტაპზე ისედაც გააჩნდა, მაგრამ მას სჭირდებოდა მუდმივი დასაყრდენი წერტილი და სტრატეგიული პარტნიორი, ისრაელის სახით. ამგვარად იგი შეძლებდა, თავისი გავლენა გაეგრძელებინა და შეენარჩუნებინა შუა აღმოსავლეთში. თავის მხრივ ისრაელს, არათუ არ გააჩნდა მოკავშირე სახელმწიფო საკუთარ რეგიონში პოლიტიკური, ეკონომიკური ან სოციალური თვალსაზრისით, მეტიც, მას კონფლიქტი ჰქონდა თითქმის ყველა მეზობელ ქვეყანასთან და ამ რთული რეგიონული ურთიერთობების ფონზე, მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო აშშ-ის მხარდაჭერა. საპასუხოდ კი აშშ-იც იღებდა მისგან მხარდაჭერას რეგიონალური დონეზე. მაგალითად, 1990 წელს როდესაც აშშ-იმ ერაყში ომი წამოიწყო ისრაელმა მას საკმაოდ ეფექტური ეკონომიკური და სამხედრო დახმარება აღმოუჩინა.³⁴
2. აშშ-ის ნათლად გამოხატული პოზიცია, მხარი დაეჭირა ისრაელისთვის და ექცია იგი თავის სტრატეგიულ პარტნიორად, მნიშვნელოვად განაპირობა ისრაელის პოლიტიკურმა გავლენამ აშშ-ის ადმინისტრაციაზე, კონგრესსა და მედიაზე. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, პრო-ებრაული ლობი ყველა ამ ორგანოში იმდენად ძლიერი იყო, რომ მარტივად მოახერხეს აშშ-ის ოფიციალურ წარმომადგენლებზე და მათ ქმედებებზე გავლენის მოხდენა.
3. ისრაელის სახელმწიფო თავიდანვე საკმაოდ დიდი კეთილგანწყობით სარგებლობდა ამერიკულ საზოგადებასა და სამოქალაქო სექტორში. ამერიკელი ამომრჩეველი უპირატესობას ანიჭებდა ისრაელის მხარდამჭერ პოლიტიკას და ამ ფაქტს მხოლოდ ერთი ახსნა შეიძლება ჰქონდეს – საერთო ღირებულებები. ისრაელის მთავარი ხიბლი დასავლეთის თვალში, თავიდანვე იყო დემოკრატიული პრინციპები. ეს სახელმწიფო იქნებოდა ერთადერთი დემოკრატიული ქვეყანა მთელ შუა აღმოსავლეთში, რაც საკმარისი არგუმენტი იყო ამერიკელი ხალხის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად.³⁵

³² “Israel: A true ally in the Middle East” by Robert D. Blackwill and Walter B. Slocombe. available from <http://articles.latimes.com/2011/oct/31/opinion/la-oe-blackwill-israel-20111031>

³³ “Taking Sides: America’s Secret Relations with a Militant Israel,” by Stephen Green, New York: William Morrow and Company, Inc. 1984, pp20-21

³⁴ Lieutenant Colonel Mohammed F. Abo-Sak “US Involvement in the Israeli-Palestinian Conflict: Solution or Complication?” 1999, Al-Hewar Center. available from <http://www.alhewar.com/LtCol.htm>

³⁵ “Why the US has the most pro-Israel Foreign Policy in the World?” by Zack Beauchamp, 2014. available from <http://www.vox.com/2014/7/24/5929705/us-israel-friends>

2.2. გაეროს მოქმედებები მშვიდობის დასამყარებლად

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი გაეროს მხრებზე მძიმედ დააწვა, ორგანიზაციის შექმნის დღიდან და მისი წევრი ქვეყნები თავიდანვე ორ ბანაკად გაიყვნენ: ისინი, ვინც ითხოვდნენ პალესტინის სუვერენიტეტის აღიარებას და ისინი, ვინც იცავდნენ ისრაელის უსაფრთხოების საკითხს. გაეროს ყოფილი მრჩეველი, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, მიქაელ დოილი ამბობდა: „ეს არის ჭრილობა, რომელიც სულ ღიაა“. იქიდან გამომდინარე, რომ გაერო ერთადერთი ორგანიზაციაა მსოფლიოში, რომელიც მოიაზრება საერთაშორისო ლეგიტიმურობის წყაროდ, სხვა ვერც ერთი ორგანიზაცია ვერ შეძლებს პალესტინის სახელმწიფოდ აღიარებას, რისკენაც პალესტინელები მიისწრაფიან.³⁶

გაეროს წესდებაში, რომელიც 1945 წელს მისი დამფუძნებელი ქვეყნების მიერ იქნა შემუშავებული, ვკითხულობთ: “ორგანიზაციის მიზანია, რომ გადაარჩინოს მომავალი თაობები ომის სისასტიკისგან და შექმნას ისეთი პირობები, სადაც სამართლიანობის და პატივისცემის ვალდებულება იქნება დაფუძნებული საერთაშორისო შეთანხმებებსა და საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა წყაროებზე. შესაბამისად, ამ სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით ორგანიზაცია შეძლებს განამტკიცოს საერთაშორისო უსაფრთხოება და დაამყაროს საერთაშორისო მშვიდობა.” მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ პალესტინის საკითხთან მიმართებაში გაერო საკუთარ პრინციპებთან წინააღმდეგობაში მოდიოდა. ეს გარკვეულწილად შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ თითქმის ყოველთვის, როცა გერო ცდილობდა ისრაელის საწინააღმდეგო და პალესტინის მხარდასაჭერი რეზოლუცია მიეღო, აშშ-ი იყენებდა ვეტოს უფლებას და საკითხი განხილვას აღარ ექვემდებარებოდა.³⁷

პირველი ნაბიჯი, რაც გაერომ ამ კონფლიქტის გადასაჭრელად გადადგა, იყო 1947 წელს “პალესტინის საკითხზე გაეროს სპეციალური კომიტეტის” შექმნა, რომელსაც უნდა გამოეკვლია კონფლიქტი და შეემუშავებინა რეკომენდაციები. თუმცა ამ კომიტეტში არ იყო წარმოდგენილი არც ერთი არაბული ქვეყანა. 1946 წლის მონაცემებით, პალესტინის მოსახლეობა შეადგენდა 1 846 000 ადამიანს. აქედან დაახლოებით ერთი მესამედი იყო ებრაელი, დანარჩენი კი – არაბი. თუმცა მიგრირებული ებრაელების რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. იმ დროისთვის პალესტინის ყველა მნიშვნელოვან ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის უმეტესობა იყო არაბი, მათ შორის ჯაფას რეგიონშიც, რომელშიც შედიოდა თელ ავივი. სპეციალური კომიტეტის ანგარიშის მიხედვით, არაბებს ეკავათ მიწების 85 პროცენტი, ხოლო ებრაელებს – 5.8. ამ სტატისტიკის მიუხედავად, კომიტეტის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციაში მკაფიოდ იყო ნათქვამი, რომ პალესტინა უნდა დაყოფილიყო ორ ტერიტორიულ ერთეულად. საიდანაც, დაახლოებით 45 პროცენტი მიწისა ერგებოდათ არაბებს, ხოლო 55 პროცენტი ებრაულ სახელმწიფოს. 1947 წლის 29 ნოემბერს გაერომ ეს გადაწყვეტილება ოფიციალური რეზოლუციითაც გაამყარა. ამ დროიდან დაიწყო, ორ სახელმწიფოს შორის, დაუსრულებელი ბრძოლა ტერიტორიებისთვის. გაეროს მომდევნო რეზოლუციებიც თავისი შინაარსით პალესტინის უკმაყოფილებას იწვევდა. უკვე 1949 წლის 11 მაისს ისრაელი გაეროს წევრ ქვეყნად დაამტკიცეს. 273-ე რეზოლუციაში ვკითხულობთ, რომ ისრაელი არის მშვიდობის მოყვარე ქვეყანა, რომელიც ეთანხმება

³⁶ “U.N. once again center stage for Israeli-Palestinian conflict” by Colum Lynch, Washingtonpost, 2011. available from http://www.washingtonpost.com/world/national-security/un-once-again-center-stage-for-israeli-palestinian-conflict/2011/09/08/gIQA6cBuaK_story.html

³⁷ *The Role of the U.N. in Creating the Israeli-Palestinian Conflict* by Jeremy R. Hammond, Washington Report on Middle East Affairs, August 2013, PP 20-21

ორგანიზაციის ქარტიაში მოცემულ ვალდებულებებს.³⁸ მომდევნო წლების განმავლობაში, გაერო იქცა იდეოლოგიური ბრძოლის ველად, სადაც პალესტინის და ისრაელის მხარდამჭერი ბანაკები თავიანთი ინტერესების გატარებას ცდილობდნენ. სიტუაცია კი უფრო და უფრო ემსგავსებოდა ნულოვან-ჯამოვან თამაშს და კონფლიქტის მხარეები წაგება-წაგების პრინციპით მოქმედებდნენ.

როდესაც საერთაშორისო საზოგადოების, განსაკუთრებით კი გაეროს როლზე ვსაუბრობთ, შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მთავარი ფაქტორი, რის გამოც გაერომ ვერ მოახერხა კონფლიქტის დარეგულირება:

- არ არსებობდა მონიტორინგის სისტემა, რომელიც გააკონტროლებდა სანქციების შესრულების საკითხს;
- არ არსებობდა მკაფიო პოლიტიკური ხედვა ამ კონფლიქტთან მიმართებაში, რადგან საქმე ეხებოდა ისტორიულ, რწმენებსა და რელიგიაზე დამყარებულ დავას;
- მიუხედავად იმისა, რომ მხარეები გაეროსგან ითხოვდნენ კონკრეტულ და სტაბილურ გეგმას, ნებისმიერ შემთხვევაში, მშვიდობის პროცესის დასამყარებლად, ერთ-ერთი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო დემილიტარიზაციის პროცესი, რისთვისაც არც ერთი კონფლიქტში ჩართული მხარე არ იყო მზად.³⁹

გაეროს მარცხის კიდევ ერთი მიზეზი იყო ორგანიზაციის ბიუროკრატიული სისტემა. გაერო იმდენად მრავალფეროვანი და განსხვავებული ხედვის წევრებით იყო დაკომპლექტებული, რო ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება და საერთო აზრამდე მისვლა დიდ სირთულეს წარმოადგენდა.

შუა აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესის გაეროს სპეციალურმა კოორდინატორმა, ალვარო დე სოტომ აღნიშნა: “თუ პრობლემის გადაჭრა ვერ ხერხდება, მაშინ მის გადაჭრას კი აღარ უნდა ეცადო, არამედ უნდა შეძლო კონტექსტის შეცვლა”,⁴⁰ რაც დღემდე ვერ მოახერხა გაერო.

დასკვნა

როდესაც ისრაელ-პალესტინის კონფლიქტზე ვსაუბრობთ, საკითხი შემდეგნაირად შეიძლება დავსვათ: ჩაერთა საერთაშორისო საზოგადოება კონფლიქტში და მარცხი განიცადა თუ საერთოდ არ გადაუდგამს რაიმე სერიოზული და ეფექტური ნაბიჯი? საებ ერეკათი, პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის მოლაპარაკებების დეპარტამენტის ხელმძღვანელი აღნიშნავდა, რომ ამ კონფლიქტში არსებობს სულ სამი სახის შესაძლებლობა და ამ სამიდან არც ერთი არ არის ორივე მხარისათვის მოსაწონი: 1) გადაწყვეტილება ერთი სახელმწიფოს სასარგებლოდ, სადაც ისრაელი იქნებოდა ერთპიროვნული მმართველი, 2) გადაწყვეტილება ორი სახელმწიფოს სასარგებლოდ, სადაც 1967 წლის საზღვრების მიხედვით გაიყოფოდა ტერიტორია და 3) გადაწყვეტილება სამი სახელმწიფოს სასარგებლოდ, სადაც ისრაელს, ღაზას და დასავლეთ სანაპიროს ცალ-ცალკე მმართველობა ეყოლებოდა.

იმისთვის, რომ კონფლიქტიდან რაიმე სახის გამოსავალი მოიძებნოს და ეს მრავალწლიანი დაპირისპირება საბოლოოდ დასრულდეს, საერთაშორისო საზოგადოებამ თავისი პოზიცია უნდა შეცვალოს და ნაცვლად იმისა, რომ იფიქროს თუ რისი გაკეთებაა შესაძლებელი, უნდა დაფიქრდეს

³⁸ *Ibid...*

³⁹ “The Role of the International Community” speakers: Dr. Daniel Kurtzer, Prof. Shlomo Ben-Ami, Dr.Saeb Erekat. Palestine-Israel Journal of Politics, Economics and Culture. 2012

⁴⁰ “U.N. once again center stage for Israeli-Palestinian conflict” by Colum Lynch, *Washingtonpost*, 2011. available from http://www.washingtonpost.com/world/national-security/un-once-again-center-stage-for-israeli-palestinian-conflict/2011/09/08/gIQA6cBuaK_story.html

თუ რისი გაკეთებაა საჭირო.⁴¹ ფაქტია, რომ საერთაშორისო საზოგადოებას ჯერჯერობით არ გამოუყენებია მაქსიმალური რესურსი (მედიაცია ან ინტერვენცია) და არ დაუხარჯავს ბოლომდე პოტენციალი, იმისთვის რომ ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის დარეგულირება მომხდარიყო. საერთაშორისო საზოგადოებამ ყურადღება უნდა გაამახვილოს შემდეგ მიმართულებებზე:

- მეტი ინიციატივების პრეზენტაცია – საჭიროა, რომ ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის ირგვლივ მოხდეს რაც შეიძლება მეტი დამოუკიდებელი ინიციატივის პრეზენტაცია, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანოების მხრიდან. მსგავს ინიციატივებში მათ უნდა დააფიქსირონ რეგიონში მშვიდობის და სტაბილურობის მიღწევის მათეული ხედვა.
- ზეწოლა აშშ-ზე – უნდა მოხდეს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციაზე ზეწოლა, მისი ახლო მოკავშირე სახელმწიფოების მხრიდან. იმისთვის, რომ დაარწმუნოთ აშშ-ი გადადგას რაიმე ქმედითი ნაბიჯი კონფლიქტის გადასაჭრელად, რაც საერთაშორისო სისტემის უსაფრთხოებასა და სტაბილურობასთან პირდაპირაა კავშირში.
- ოთხეულის რეაქტივაცია – საჭიროა, რომ ოთხეულის (რომლის წევრებიც არიან: გაერო, აშშ, ევროკავშირი და რუსეთი) თითოეული წევრი უფრო აქტიური გახდეს და კავშირი არ იმართებოდეს მხოლოდ აშშ-ის მხრიდან, როგორც ეს ხდება მისი შექმნიდან დღემდე. მით უფრო მას შემდეგ, რაც ამერიკის კამპანია ირანზე კრაზი განიცადა.⁴²

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციებისა, ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი და სისხლიანი კონფლიქტია საერთაშორისო სისტემაში. ერთის მხრივ დგანან ტერორისტული დაჯგუფებები და მეორეს მხრივ, ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფო. წლების განმავლობაში ორივე მხარეს არა ერთი უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა და სწორედ მისი მრავალგანზომილებიანი და რთული ბუნების გამო, რჩება ეს კონფლიქტი 21-ე საუკუნის მთავარ გამოწვევებს შორის. იმის ფონზე, რომ მხარეებს შორის დღემდე ვერ მოხერხდა კონსენსუსის მიღწევა, ისინი უნდა მივიდნენ გადაწყვეტილებამდე, რომ საერთაშორისო საზოგადოებისგან აქტიური ჩარევა მოითხოვონ. დასკვნის სახით კი, შეიძლება მოვიშველიოთ საებ ერეკატის ფრაზა მისი ერთ-ერთი ინტერვიუდან: “ჩვენ აღარ გვჭირდება მოლაპარაკებები, ჩვენ გვჭირდება გადაწყვეტილებები. პალესტინელებსაც და ებრაელებსაც მესამე მხარე ვერ აიძულებს რომ ჩაერთონ სამშვიდობო მოლაპარაკებებში. ჩვენ თვითონ უნდა გადავწყვიტოთ, რომ გვსურს მშვიდობა”.⁴³

⁴¹ “The Role of the International Community” speakers: Dr. Daniel Kurtzer, Prof. Shlomo Ben-Ami, Dr.Saeb Erekat. Palestine-Israel Journal of Politics, Economics and Culture. 2012

⁴² “Why was the International Community Failed to End the Palestinian-Israeli Conflict” by Riad al-malki, Palestine-Israel Journal of Politics, Economics and Culture. Vol.13.No.4. 2007

⁴³ *Ibid...*

**ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული
სამართლის გამოყენება საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში**

შესავალი

ვიდრე უშუალოდ გადავიდოდეთ ადამიანის ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტის გამოყენებითობაზე საქართველოში, ვგონებ, აუცილებელია მოკლედ მიმოვიხილოთ აღნიშნული კონვენციის შექმნის ისტორია და მიზნობრიობა. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია გახლავთ პირველი იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო დოკუმენტი, ის ადგენს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მინიმალურ სტანდარტს და ავალდებულებს ხელმომწერ მხარეებს დაიცვან აღნიშნული უფლებები. კონვენციას ხელი მოეწერა 1950 წლის 4 ნოემბერს ქალაქ რომში, ხოლო ძალაში შესვლის თარიღს წარმოადგენს 1953 წლის 3 სექტემბერი.¹

კონვენციის შექმნამდე, ადამიანის ძირითადმა უფლებებმა და თავისუფლებებმა, როგორც ის დღეს 21-ე საუკუნეში გვევლინება ყველა დემოკრატიული საზოგადოების სამართლის ნაწილი, მრავალი ცვლილება განიცადა. პირველ ჩანასახად მეცნიერების მიერ მიჩნეულია დოკუმენტი სახელწოდებით „Magna Carta Liber“² რომელიც 1215 წლის 15 ივნისს იქნა მიღებული ინგლისში, მართალია მასში ძირითადად განმტკიცებულია ფეოდალთა პრეტენზიები, თუმცა აღსანიშნავია 39-ე მუხლი: „დაუშვებელია თავისუფალი ადამიანის დაპატიმრება, საკუთრების ჩამორთმევა ან მისი გამეფება ქვეყნის კანონის საფუძველზე მიღებული კანონიერი განაჩენის გარეშე „ძირითადი უფლებები განსაკუთრებით შუა საუკუნეებში ყოველთვის იდგა ძლიერი სახელმწიფოს საფრთხის ქვეშ, ვინაიდან, რაც უფრო ძლიერდებოდა ხელისუფლება მით უფრო მეტად იზღუდებოდა ადამიანის უფლებები. ასევე, ძალიან დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს ინგლისში მიღებულ ორ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს: „Act of habeas corpus“, რომელიც მიღებულ იქნა 1679 წელს და ადგენდა ადამიანის საპროცესო უფლებებს თავისუფლების აღკვეთის ღონისძიების ჩატარების დროს, მისი სახელწოდება მომდინარეობს ბერძნულიდან „habeas corpus ad subjiciendum“³, რაც ნიშნავს „სხელი უნდა წარედგინოს სასამართლოს“. ამ დეკლარაციის მიღებას წინ უძღვოდა არაერთი გახმაურებული საქმე. ხოლო მეორე, ასევე ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი, გახლავთ „Bill of rights“, რომელიც 1689 წელს იქნა მიღებული და იგი პარლამენტის უფლებებთან ერთად აღიარებდა ასევე პეტციის უფლებას. შედარებით სრულყოფილ და ჩამოყალიბებულ დოკუმენტად გვევლინება ვირჯინიის „Virginia bill of rights“⁴, რომელიც 1776 წლის 12 ივნისს იქნა მიღებული და აღიარებს ადამიანის ბუნებით მინიჭებულ უფლებებს, თუმცა ვირჯინიის დეკლარაციის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობისა და მიუხედავად, ყველაზე ცნობილ ადამიანის უფლებათა ამღიარებელ დოკუმენტად ითვლება საფრანგეთის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა

¹ კ.კორკელია, ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება, 2007, 1

² კ.კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, თბილისი, 2008, 26

³ იქვე: 27

⁴ იქვე: 28

დეკლარაცია (Declaracion des doits de l'homme et du citoyen), რომელიც გახლავთ ფუნდამენტი თანამედროვე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების .⁵

ასევე ძალზედ მნიშვნელოვნად მიმაჩნია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გერმანიაში განვითარებული მოვლენები, და არამარტო გერმანიაში. რეალურად, კონვენციის შექმნის მიზანი გახლდათ ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების მაღალი სტანდარტებით დაცვა და პიროვნების უზრუნველყოფა მთელი რიგი უფლებებით, რათა აღარ განმეორდეს ისეთი უხეში და საზარელი დარღვევები, რაც ახსოვს მრავალსაუკუნოვან კაცობრიობის ისტორიას. რადბრუხის არაჩვეულებრივი ნაშრომში „კანონიერი უსამართლობა და ზეკანონური სამართალი „⁶ განხილულია ისეთი საზარელი შემთხვევები, როგორცაა კლაინესა (Kleine) და როზეს (Rose) ქეისები, რომელთაც 931 სასიკვდილო განაჩენის აღსრულებაში მიიღეს ნებით მონაწილეობა. ეს და კიდევ უამრავი ქეისი მოწმობს, რომ სახელმწიფოები ხშირად ძალზედ სასტიკნი და დაუნდობელნი გახლდნენ ადამიანის სიცოცხლის და უფლებებისა და თავისუფლებების მიმართ. გ.რადბრუხს ასევე ვუმაღლივართ ბუნებითი და პოზიტიური სამართლის ერთგვარ შერწყმასა და მრავალსაუკუნოვანი დილემის გადაწყვეტას, ძირითადი უბლებები და თავისუფლებები ხომ სწორედ ბუნებითი სამართლის ყველაზე დიდი მიღწევაა, ვინაიდან ღირსების უფლება, სიცოცხლის უფლება და სხვა მრავალი უფლება ადამიანს აქვს იმიტომ, რომ ის ადამიანია და ბუნებით ენიჭება და არა იმიტომ, რომ კონკრეტულმა სახელმწიფომ მიანიჭა მას ეს. სწორედ აქედან გამომდინარე, აუცილებელი გახდა ამ უფლებების პირველ რიგში აღიარება, შემდგომ კი უფრო მაღალი გარანტიებით დაცვა, რისთვისაც რეალურად არის შექმნილი სწორედ რომ ევროპული კონვენცია და სასამართლო .

საბოლოოდ კი მოვდივართ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ევროპულ კონვენციამდე, რომელიც თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთ ღირსებას წარმოადგენს .

საქართველო ევროპულ კონვენციას 1999 წლის 27 აპრილს შეუერთდა, ხოლო რატიფიცირების შედეგად ძალაში შევიდა 1999 წის 20 მაისს .

კონვენცია გახლავთ „ცოცხალი დოკუმენტი“ , რომელიც მუდმივმოქმედ რეჟიმში იხვეწება და ერგება თანამედროვე ადამიანის შეგნებასა და გარემოს, ამიტომ მიღებულ იქნა 14 ოქმი, რომლებიც დამატებით ადგენენ როგორც მატერალურ უფლებებსა და თავისუფლებებს, ისე ევროპული სასამართლოს სტრუქტურასა და საზედამხედველო მექანიზმს. საქართველოს არ გაუკეთებია დათქმები ევროპული კონვენციის უფლებებისა და ოქმების მიმართ, გარდა 1-ლი , მე-12 და 13 -ე ოქმებისა.

1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ადგილი საქართველოს სამართლის სისტემაში

ევროპული კონვენცია არ ავალდებულებს ხელმომწერ მხარეებს კონვენციის იერარქიულად კონსტიტუციაზე მაღლა ან ქვემდგომად აღიარებას, ის მხოლოდდამხოლოდ მოითხოვს მასში არსებული მუხლების სახელმწიფოებისაგან უზრუნველყოფასა და დაცვას. აღსანიშნავია, რომ ხელმომწერი ქვეყნები რამოდენიმე ნაწილად იყოფიან :

- ქვეყნები სადაც კონვენციას მიენიჭა კონსტიტუციაზე მაღალი ან მისი თანაბარი იერარქიული სტატუსი. მისი ნათელი მაგალითია ნიდერლანდები, სადაც საერთაშორისო ხელშეკრულებას

⁵ ოქვე: 29

⁶ გ.რადბრუხი

https://www.academia.edu/35631610/გუსტავ_რადბრუხი_კანონიერი_უმართლობა_და_ზეკანონური_სამართალი_თარგ_მანი_

უპირატესი ძალა ენიჭება კონსტიტუციასთან კოლიზიის შემთხვევაში.⁷ ასევე მნიშვნელოვანია ავსტრიის მაგალითი, სადაც მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას (და არა ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებას), ნიდერლანდების მსგავსად, მაღალი იერარქიული ადგილი აქვს მინიჭებული.⁸

- თავის მხრივ კი, შეგვძლია გამოვყოთ ისეთი სახელმწიფოები, სადაც კონვენციას ენიჭება კონსტიტუციაზე დაბალი, თუმცა სხვა შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებზე მაღალი ძალა, ესეთი ქვეყნები გახლავთ: აზერბაიჯანი , ბელგია , ბულგარეთი , ესპანეთი , ესტონეთი, კვიპროსი და ა . შ .

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენი კანონმდებლობით, ნორმატიული აქტების იერარქია შემდეგნაირია :

- საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი;
- საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება;
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება;
- საქართველოს ორგანული კანონი;
- საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი.⁹

შესაბამისად, სავსებით ცხადია, რომ ევროპული კონვენციით უზრუნველყოფილი უფლებები და თავისუფლებები იერარქიულად უპირატესია ყველა ნორმატიულ აქტზე, გარდა საქართველოს კონსტიტუციისა და კონსტიტუციური შეთანხმებისა. თუმცა, ცალსახად ცხადია, რომ ევროპული კონვენციის სახელმწიფოს ნორმატიულ აქტად აღიარება არ არის საკმარისი მისი დამკვიდრებისათვის, თუკი თვალს გადავავლებთ ხელმომწერი ქვეყნების ისტორიას, აღმოვაჩენთ, რომ შიდასახელმწიფოებრივ დონეზე, კონვენციის დამკვიდრებას გარკვეული დრო სჭირდება. სწორედ ამიტომ, ჩემი აზრით, არ არის საგანგაშო ის ფაქტი, რომ მისი გამოყენებითობა ჩვენს სასამართლოებში შედარებით იშვიათია და ასევე, საკამათოა ევროპული სასამართლოების პრეცედენტების გამოყენების აუცილებლობა ქართველი იურისტებისათვის თუ მოსამართლეთათვის .

2. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლო პრეცედენტის გამოყენება შიდასახელმწიფოებრივ დონეზე

2.1 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება

ევროპული კონვენციის გამოყენება შიდასახელმწიფოებრივ დონეზე შესაძლებელია სამი სახით :

- როგორც შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის სწორი განმარტების საშუალება; მსგავს შემთხვევაში ევროპული კონვენცია და შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი ავსებენ ერთმანეთს, სასამართლო გადაწყვეტილების ძირითად ფუნდამენტად ამ შემთხვევაში გვევლინება შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი, ხოლო დამატებით ე.წ. განმარტებითად კონვენციის კონკრეტული მუხლი. თუმცა, ამ შემთხვევაში კონვენციის როლი სასამართლო პრაქტიკაზე არის ძალიან უმნიშვნელო.

⁷ კ.კორკელია, ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება, თბილისი, 2007, 4

⁸ იქვე: 5

⁹ საქართველოს კანონი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ, 16/10/1197, მუხლი 7 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33442?publication=16>

- ევროპული კონვენციის გამოყენება იერარქიულად ქვემდგომი ნორმატიულ აქტთან კოლიზიის შემთხვევაში, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს რომ კონვენციის მსგავსი სახით გამოყენება ძალზე იშვიათია.
- ევროპული კონვენციის გამოყენება, როგორც საქმის გადაწყვეტის ერთადერთი სამართლებრივი საფუძველი .

მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კონვენცია საქართველოს ნორმატიული აქტია, მისი გამოყენება, როგორც საქმის გადაწყვეტის ერთადერთი სამართლებრივი საფუძველი საქართველოში, საკმაოდ იშვიათია. ამის მიზეზი კი არის „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი ¹⁰, რომლის მიხედვითაც, „ოფიციალურად გამოქვეყნებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების დებულებები, რომლებიც ადგენს კონკრეტული ხასიათის უფლებებსა და მოვალეობებს და არ საჭიროებს დამაზუსტებელი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიღებას, საქართველოში მოქმედებს უშუალოდ“, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუკი ნორმა არის „თვითშემსრულებელი“ ხასიათის და არ საჭიროებს დამატებით რაიმე სახის ნორმატიული აქტის მიღებასა და გამოცემას მისივე ბუნდოვანების ან სიზოგადის გამო, მისი გამოყენება სასამართლო პრაქტიკაშიც, ჩვეულებრივ, დაშვებულია. ხოლო, თუ ნორმა არის „არათვითშემსრულებელი“ ხასიათის და არ ადგენს კონკრეტული სახის უფლებებსა და მოვალეობებს და საჭიროებს დამაზუსტებელ შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტის მიღებას, ის ვერ და არ იმოქმედებს უშუალოდ. ევროპული კონვენციაში არსებული ნორმათა საკმაოდ დიდი ნაწილი კი სწორედ რომ „არათვითშემსრულებელი“ ხასიათისაა“, რაც განპირობებულია პირველ რიგში იმით, რომ მიეცეს ევროპულ სასამართლოს საშუალება ნორმების განმარტებისათვის და დაზუსტებისათვის იმ კონკრეტული გარემო პირობებიდან გამომდინარე, რომელ დროსაც ხდება ესა თუ ის დავა. კონვენცია არ არის სტატიკური დოკუმენტი, არამედ პირიქით - ის საკმაოდ „ცოცხალია“ . მაგალითისათვის, ავიღოთ თაირერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (TYRER v. THE UNITED KINGDOM) (1978 წელი) ¹¹, რომელიც ეხებოდა არასრულწლოვანის გაწვევას. აღსანიშნავია, რომ 1950 წელს, როდესაც კონვენცია მიიღეს, უდაოა, რომ სწავლების პროცესში ფიზიკური სადამსჯელო ხასიათის მოქმედებები საერთოდ არ ითვლებოდა მართლსაწინააღმდეგო ქმედებად. თუმცა, ადამიანების თვითშეგნების ამაღლებასთან და ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად, ეს შეხედულებები საკმაოდ შეიცვალა და 1978 წლისათვის, როდესაც აღნიშნული ქეისი განიხილებოდა, გაწვევლა აღიარებულ იქნა ევროპული კონვენციის 3-ე მუხლის დარღვევად. ზემოთხსენებული ნათელი მაგალითია იმისა, რომ ევროპული კონვენციის მთავარ ღირსებას სწორედ ევროპული სასამართლოს მიერ არსებული ნორმის განმარტება წარმოადგენს, რომელიც მორგებულია იმ საზოგადოებრივ თვითშეგნებაზე, რაც არსებულ რეალობაშია; წინააღმდეგ შემთხვევაში, ფაქტიურად, შეუძლებელი გახდებოდა მისი ამ ფორმით და ასეთი წარმატებით არსებობა, როგორც დღევანდელ რეალობაშია. სწორედ „არათვითშემსრულებელი“ ნორმები იძლევა იმ თავისუფლებას, რასაც მოგვიანებით ევროპული სასამართლო იყენებს კონკრეტული ქეისის განხილვისას არსებულ რეალობაზე მოსარგებად. ამ თავისებურების და ღირსების უარყოფაზე და გამოუყენებლობაზე საუბარი, როდესაც ქართულ სასამართლო კულტურაში უარს ვაცხადებთ ევროპული სასამართლო პრეცედენტისა თუ „არათვითშემსრულებელი“ ნორმების გამოყენებაზე .

¹⁰ საქართველოს კანონი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ, 16/10/1197, მუხლი 6. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33442?publication=16>

¹¹ CASE OF TYRER v. THE UNITED KINGDOM (Application no. 5856/72). [https://hudoc.echr.coe.int/eng#{"itemid":\["001-57587"\]](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

2.2. ევროპული სასამართლო პრეცედენტის გამოყენება შიდასახელმწიფოებრივ დონეზე

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ევროპული სასამართლო პრეცედენტის გამოყენება საკმაოდ პრობლემატურია, ვინაიდან სიტყვა „პრეცედენტი“ თავისი მნიშვნელობით აზნევს არაერთ იურისტს და იწვევს აზრთა მწვავე სხვადასხვაობას. პირველი, რაც უნდა გაიმიჯნოს იმისათვის, რომ ნათლად აღიქვას, თუ რას მოიცავს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, არის ანგლოსაქსური სამართლის სისტემა. ევროპის სასამართლო პრეცედენტთან არანაირი კავშირი არ აქვს ანგლო-საქსურ სასამართლო პრაქტიკას. ანგლო-საქსური სამართლის სისტემისათვის დამახასიათებელი თავისებურებაა, რომ ზედა ინსტანციის გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა ყველა ქვედა ინსტანციისათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მაგალითზე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება განხილულ საქმეებზე რომ იყოს სავალდებულო სააპელაციო და საქალაქოსათვის. ხოლო რაც შეეხება ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, ის არ არის სავალდებულო სხვა ხელმომწერი ქვეყნებისათვის შიდასახელმწიფოებრივ დონეზე, გარდა უშუალოდ ვინც არის კონკრეტული საჩივრის მხარეები.¹² მაშინ ისმის სავსებით ლოგიკური კითხვა: არის თუ არა საერთოდ მნიშვნელოვანი ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები თუ ცალკეული განმარტებები. პასუხი ცალსახად მარტივია - რა თქმა უნდა, არის. ზემოთ ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, რომ ევროპული კონვენცია არის „ცოცხალი“ დოკუმენტი, რომლის ნორმებიც განმარტებულია ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში.

იმისათვის, რომ ნათლად დავინახოთ, თუ რატომ არის საჭირო ევროპული სასამართლოს პრეცედენტების გამოყენება საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში, გადავხედოთ რეალურად საქართველოს სასამართლო პრაქტიკას, სადაც გამოყენებულ იქნა ევროპული სასამართლოს პრეცედენტი. საქმე, რომელიც უზენაესმა სასამართლომ განიხილა 2001 წლის 22 ივნისს¹³, ეხება საქართველოს პარლამენტის წევრის სარჩელს პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფის შესახებ გაზეთ „ლანჩხუთი პლუსის“ ჟურნალისტების წინააღმდეგ. ლანჩხუთის რაიონიდან არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი სარჩელის საფუძვლად მიუთითებდა, რომ მოპასუხეებმა ხსენებულ გაზეთში გამოაქვეყნეს სტატია „კომან, რომან“, სადაც მის მიმართ გავრცელდა ცრუ მონათხრობი, რითაც მას მიაყენეს შეურაცხყოფა, განზრახ დაამცირეს მისი პატივი და ღირსება ამომრჩეველბსა და თანამოქალაქეების თვალში. გამოაქვეყნებულ სტატიაში პარლამენტის წევრი მოხსენიებულია, როგორც კაცი, რომელმაც თავი დაკარგა. მის მიმართ გამოყენებულია ფრაზები: „ვინ ხარ შენ და როგორ მოხვდი ამ გაუგებრობაში, რასაც პარლამენტის წევრობა ჰქვია? დავიჯერო, სამივე მოსმენის დროს გეძინა?!“ და სხვა... პარლამენტის წევრი, როგორც კასატორი, ითხოვდა გამოაქვეყნებული სტატიის ავტორებისაგან გავრცელებული ინფორმაციის უარყოფას და მორალური ზიანის ანაზღაურებას. პირველად სარჩელი განხილული იქნა ჩოხატაურის რაიონული სასამართლოს მიერ, მან ნაწილობრივ დააკმაყოფილა პარლამენტარის სარჩელი და დაავალა ჟურნალისტებს ბოდიშის მოხდა და 15000 ლარის გადახდა.

ჟურნალისტებმა გაასაჩივრეს აღნიშნული გადაწყვეტილება ქუთაისის საოლქო სასამართლოში, სადაც მათი საჩივარი დაკმაყოფილებული იქნა და გაუქმებულ იქნა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება. ამის შემდეგ მიმართა პარლამენტარმა უზენაეს სასამართლოს, რომელმაც ასევე არ დააკმაყოფილა მისი სარჩელი და გადაწყვეტილებაში მოიშველია ევროპული სასამართლოს

¹² ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, 04/11/1950, 46-ე მუხლი.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>

¹³ კ.კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბილისი, 2004, 194

პრეცედენტული სამართალი, კერძოდ, საქმე „კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ“ (Castells v Spain)¹⁴, რომლის მიხედვითაც, აზრის გამოხატვის თავისუფლების უფლება ასევე გულისხმობს ისეთი განცხადებებისა და გამოთქმების უფლებასაც, რომელიც შეურაცმყოფელი ან გამაღიზიანებელია. თუმცა, ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მომენტიდან გაჩნდა მეორე სავსებით ლოგიკური შეკითხვა: სად გადის ზღვარი პოლიტიკური ფიგურის თემნის ვალდებულებასთან და მისი უფლების „პატივისა და ღირსების ზღვარს შორის. სწორედ აქ გამოიყენა უზენაესმა სასამართლომ ქეისი „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“ (Lingens v Austria), სადაც ნათლად არის განმარტებული, რომ პოლიტიკოსის მიერ კრიტიკის თემნის ვალდებულება გაცილებით ფართოა, ვიდრე ჩვეულებრივი რიგითი მოქალაქისა.¹⁵

შესაბამისად, ლოგიკურად მივდივართ რა დასკვნამდე, რომ ევროპული სასამართლო, გარდა იმისა, რომ ახორციელებს ერთგვარ მონიტორინგს ხელმძღვრე მხარეთა მიერ კონვენციის დაცვასთან დაკავშირებით, ასევე იძლევა კონკრეტულ მითითებებსა და განმარტებებს მათ მნიშვნელობასთან დაკავშირებით.

ზემოთქმული მოსაზრების განსამტკიცებლად, მოვიყვანოთ კიდევ რამოდენიმე მაგალითი ევროპული სასამართლო პრაქტიკიდან, როგორცაა საქმე „მაკქანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, სადაც დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი, კერძოდ - „სიცოცხლის უფლება“ (1990)¹⁶. აღსანიშნავია, რომ ევროპული სასამართლო საქმის წარმოების დაწყებისთანავე განუმარტავს მხარეებს მეორე მუხლის პირველი ნაწილით დაცული „სიცოცხლის უფლების“ არსს და ასევე, მეორე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ მისი შეზღუდვისათვის დასაშვებ კრიტერიუმებს, როგორცაა „მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი“, „დემოკრატიული საზოგადოებისათვის აუცილებელი“, ასევე „თანაზომიერებისა“ და „ძალთა თანაფარდობის“ პრინციპები და სხვა მრავალი. შესაბამისად, რომ არა სასამართლოს განმარტებები, ნორმების მორგება კონკრეტულ ქეისებზე იქნებოდა შეუძლებელი, მიუხედავად მათი იპერატიულობისა.

3. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკა საქართველოს სასამართლო სისტემაში

საბედნიეროდ, 2001 წლიდან დღემდე საგრძნობლად იმატა ევროპული კონვენციის პრეცედენტის გამოყენებამ ქართულ სასამართლო პრაქტიკაში.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს პრაქტიკაში გვხვდება ისეთი საკმაოდ ცნობილი და რეზონანსული საქმე, როგორცაა ყოფილი კულტურის მინისტრისა და ტელეკომპანია „რუსთავი 2“- ის და გადაცემა „60 წუთის“ ტელეწამყვანს შორის, რაც ეხებოდა გადაცემის მიმდინარეობის დროს მიზანმიმართულად გავრცელებულ ცრუ ბრალდებებსა და პატივისა, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შემლახველ ქმედებებს. საოლქო სასამართლომ 2002 წლის 3 ივლისს დაადგინა როგორც კონსტიტუციით უზრუნველყოფილი მე-17 და 24-ე მუხლების, ასევე კონვენციის მე-8 და 10-ე მუხლების დარღვევა და მოსარჩელის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. ხოლო, გარდა კონსტიტუციისა და კონვენციის მუხლების დარღვევისა, სასამართლომ ასევე მოიშველია ევროპული სასამართლოს პრეცედენტი, კერძოდ „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“ (Lingens v Austria) და აღნიშნა, რომ „ზუსტად უნდა დადგინდეს ფაქტებსა და მოსაზრებებს შორის განსხვავება, ფაქტების არსებობა შეიძლება დემონსტრირებული იქნეს

¹⁴ Castells v. Spain [https://hudoc.echr.coe.int/tur#{"itemid":\["001-57772"\]}](https://hudoc.echr.coe.int/tur#{)

¹⁵ CASE OF LINGENS v. AUSTRIA [https://hudoc.echr.coe.int/tur#{"fulltext":\["CASE%20OF%20LINGENS%20v.%20AUSTRIA"\],"documentcollectionid2":\["GRANDCHAMBER","CHAMBER"\],"itemid":\["001-57523"\]}](https://hudoc.echr.coe.int/tur#{)

¹⁶ სიცოცხლის უფლება, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2008, 16-34

მაშინ, როდესაც მოსაზრებები არ ექვემდებარება მტკიცებულებას,¹⁷. ეს საქმე მხოლოდ იმით არ გახლავთ გამორჩეული, რომ სასამართლომ გამოიყენა ევროპული სასამართლოს პრეცედენტი. მან ასევე აღნიშნა გადაწყვეტილებაში, რომ შიდასახელმწიფოებრივი ნორმები და ასევე კონვენციის ნორმები არასაკმარისი იქნებოდა საქმის ასეთი ფორმით გადასაჭრელად და აღნიშნული პრეცედენტი ავსებს ზემოთ აღნიშნულს.

ძალიან მნიშვნელოვანია 2018 წლის სახალხო დამცველის ანგარიში, სადაც ის განიხილავს საქმეს „ჟანა ძებნიაური საქართველოს წინააღმდეგ“, სადაც ეროვნული მთავრობის მიერ წარდგენილ დეკლარაციაში მითითებულია, რომ სახელმწიფო აღიარებს აღნიშნულ საქმეზე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის ფაქტს; ასევე, გიორგი ძებნიაურის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის ფაქტის გამოძიებაში გამოვლენილ ფუნდამენტურ ხარვეზებს. აღნიშნული საქმე ევროპული სასამართლოს განჩინებით ამოირიცხა განსახილველი საქმეების სიიდან.¹⁸

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველი საქმეზე ლევან კორტელავას სიცოცხლის ხელყოფა, რომელიც მოხდა მე-14 პენიტენციალურ დაწესებულებაში აფასებს არა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი ნორმებით, არამედ ევროპული კონვენციის მეორე მუხლის დარღვევად აღიქვამს და აღნიშნავს, რომ მსგავს საქმეებს ევროპული სასამართლო პირდაპირ განიხილავს, როგორც სიცოცხლის უფლების ხელყოფას. ხოლო რაც შეეხება პენიტენციალური დაწესებულების თანამშრომლებს, რომლებსაც ევალებოდათ ქმედითი ღონისძიებების გატარება და სახელმწიფოს მიერ თავისუფლება აღკვეთილი პირის სიცოცხლისა და მთელი რიგი უფლებების დაცვა არაკეთილსინდისიერად მოეკიდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს.¹⁹

სამწუხაროდ არ შეიძლება არ განვიხილოთ ევროპული სასამართლოს მიერ განხილული ერთ-ერთი უმძიმესი საქმე „გირგვლიანი და ენუქიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (2011 წლის 26 აპრილი), რომელიც საუკუნეების მანძილზე დარჩება ისტორიას, როგორც ეროვნული სირცხვილი (მომიტევეთ ჩემი სუბიექტური შეხედულება). ამ ქეისის თავისებურებ კი გახლდათ ის, რომ ევროპულმა სასამართლომ ნათლად და მკაფიოდ აღნიშნა, რომ „სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიონალთა მაღალი დონის კომპეტენტობა“. შესაბამისად, საკმაოდ გავრცელებულ კითხვას - შესაძლებელია თუ არა საქმეში მონაწილე ბოროტმოქმედთა საქმე, რომლებიც ხელისუფლების მაღალჩინოსნებს წარმოადგენენ შეერაცხო სახელმწიფოს - სასამართლომ ცალსახად დადებითი პასუხი გასცა.²⁰

შემაჯამებელი დასკვნის სახით ავღნიშნოთ, რომ ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ვგონებ ნათელია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობის მატარებელია ევროპული სასამართლოს პრეცედენტი სახელმწიფოებისათვის, რათა სამართლიანად და ღირსეულად უზრუნველყონ ადამიანების ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ასევე, შიდასახელმწიფოებრივი სამართლის განვითარებისათვის და დახვეწისათვის, ვინაიდან ცივილიზაციასთან და ადამიანების თვითშეგნებასთან ერთად, სამართალიც ფეხდაფეხ უნდა მისდევდეს განვითარებას და ის რაც წარმოუდგენელი იყო გუშინ, დღეს უნდა დარეგულირდეს სამართლებრივად. ამის ნათელი მაგალითია ისეთი სამეცნიერო მიღწევები, როგორიცაა სუროგაცია, დონაცია და სხვა მრავალი, რისი რეგულირების გარეშეც სახელმწიფოში ქაოსი

¹⁷ კ.კორკელი, ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=samartal&cl=CL4.2&d=HASH257c7dd403d9300b13c4c5.5>

¹⁸ სახალხო დამცველის ანგარიში, 2018, 38

¹⁹ იქვე:

²⁰ ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ (განაცხადი № 25091/07) 26/04/2011

გარდაუვალია; ხოლო აღნიშნული ურთიერთობების სამართლებრივად დახვეწის ყველაზე ნათელი გზა ევროპული სასამართლოს მაღალი სტანდარტების დანერგვა და გამოყენებაა.

გარდა იმ უშუალო უფლებებისა, რაც გარანტირებულია კონვენციაში ასევე აღსანიშნავია ევროპული სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა, რომლითაც პირველად ისარგებლა ევროპულმა სასამართლომ 2019 წლის 10 აპრილს, აღნიშნული დასკვნები მოწმობს სასამართლოს უფლებამოსილებების გაფართოვებაზე და ასევე ხელმომწერ სახელმწიფოებს აქვთ შესაძლებლობა პირველად კონკრეტული ქეისების განხილვის გარეშე სხვადასხვა საკითხზე გაიგონ ევროპული სასამართლოს მოსაზრება. სასამართლოს ეს უფლებამოსილება გაწერილია კონვენციის მე-16 ოქმში, რომელიც 2013 წლის 2 ოქტომბერს მიიღეს, ხოლო საკონსულტაციო დასკვნების განსაკუთრებულობა კი მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლო მსგავს დასკვნებს გასცემს ისეთ საკვანძო საკითხებზე, რომლებიც ჯერ არ განხილულა სასამართლო პრაქტიკაში და ნოვტორული და ინოვაციურია .

**სამკვიდროს გაყოფის შესახებ სამოქალაქო კოდექსის ნორმები და
მისი სრულყოფის პერსპექტივა**

შესავალი

მემკვიდრეობის უფლება ადამიანის ერთ-ერთ უძველეს ძირითად უფლებას წარმოადგენს. მემკვიდრეობის სამართალი იმ ნორმათა ერთობლიობაა, რომელიც გარდაცვლილი პირის ქონების კანონით მემკვიდრეობაზე ან სხვა პირებზე გადასვლასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს.

სამართლის ეს დარგი იცავს მემკვიდრეობის უფლებას, განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, ვინც წარმოადგენს გარდაცვლილი პირის კანონიერ მემკვიდრეს, ანუ ვის აქვს უპირატესი უფლება მოითხოვოს მამკვიდრებლის სახელზე რეგისტრირებული ქონება.

მემკვიდრეობითი სამართალი წარმოადგენს სამართლის უძველეს დარგს, რაც მოწმობს იმას, რომ საზოგადოებისთვის ყოველ ეპოქაში მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რა ბედი ეწეოდა ერთის მხრივ მის ცხოვრებაში შექმნილ ქონებას და მეორეს მხრივ, ვინ იქნებოდა ის პირი, ვინც განაგრძობდა ამ მატერიალური ღირებულებების სწორად გაძღვლას. ადამიანები ზრუნავენ არა მარტო საკუთარი კეთილდღეობისთვის, არამედ ცდილობენ თავიანთი შთამომავლების მიმართ გარკვეული გარანტიების შექმნას. წარსულში ამ გარანტიებს ფეოდალიზმი უზრუნველყოფდა, ხოლო დღევანდელ რეალობაში ამას მემკვიდრეობით გარანტირებული უფლებები უზრუნველყოფს.

მემკვიდრეობითი სამართალი ერთ-ერთი ყველაზე მეტად სენსიტიური სფეროა, ვინაიდან, უმრავლეს შემთხვევაში, სამართალურთიერთობებიდან გამომდინარე უფლებების განსაზღვრა ხორციელდება „სისხლით ნათესავეებს“ შორის. მოცემული გარემოების გათვალისწინებით მეტად რთულია ამ წრეში წარმოშობილი უთანხობების გადაჭრა, რადგან საკითხი არა მხოლოდ ქონების განაწილებას, არამედ ისეთ უფლებებს ეხება, რაც ღირსებით დაცულ სფეროს წარმოადგენს და ადამიანის მორალურ უფლებათა წრეს განეკუთვნება.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულ იქნება ის სამართლებრივი ასპექტები, თუ ვინ არის კანონით მემკვიდრე. ქართულ კანონმდებლობაში არსებული ნორმები როგორ უზრუნველყოფენ მემკვიდრეებს შორის ქონების განაწილების ასპექტებს, შეთანხმების თუ დავის შემთხვევებში. კანონმდებლი ითვალისწინებს თუ არა იმ მორალურ ასპექტებს, რაც გამოიხატება კონკრეტული მემკვიდრის მიერ განსაკუთრებულ ზრუნვაში მამკვიდრებლის მიმართ. ასევე განხილული იქნება მემკვიდრეობითი სამართლის მოქმედება რეალურ დროში.

1. სამკვიდროს გაყოფის არსი და კლასიფიკაცია

იმისათვის, რომ მემკვიდრეობის უფლების რეალიზება მოხდეს, სამკვიდროს გახსნიდან აუცილებელია მემკვიდრეებმა ექვსი თვის განმავლობაში წარადგინონ მოთხოვნა სამკვიდროზე ან განახორციელონ სამემკვიდრეო ქონების ფაქტობრივი ფლობა. მას შემდგომ, რაც ყველა არსებული მემკვიდრე წარადგენს საკუთარ მოთხოვნას, განისაზღვრება მამკვიდრებლის საკუთრებაში არსებული ქონება. ქონებაში შემავალი ნივთების ნაწილი გაყოფადია, ნაწილი კი გაუყოფადი. ქონებაში შემავალი ნივთების ერთობლიობას, რომლებიც გაყოფადია ეწოდება სამკვიდრო მასა, რომელიც დადგენილი წესით

გაიყოფა მემკვიდრეთა შორის. „სამკვიდრო ქონების გაყოფა ნიშნავს თითოეული მემკვიდრისთვის საერთო მასიდან იმ ნაწილის განსაზღვრას, რაც მათ კანონით ან ანდერძით ერგებათ“.¹

სამკვიდროს გაყოფა მემკვიდრეობით სამართლაში არის ყველაზე მნიშვნელოვანი რეგულაცია, ვინაიდან სწორედ სამკვიდროს სამართლიანი განაწილება არის ის საბოლოო შედეგი ადამიანებისთვის, ვისთვისაც მოწესრიგებულია სამართლის ეს დარგი. იმ შემთხვევაში თუკი სამკვიდროს გაყოფა არ განხორციელდა თანაზომიერად, სხვა დანარჩენი ნორმები კარგავენ მნიშვნელობას, ვინაიდან მემკვიდრისთვის მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა ქონება მიიღო მან მამკვიდრებლისგან.

მემკვიდრეობითი სამართალი დამოკიდებულია ადამიანის განვლილი ცხოვრების განმავლობაში შექმნილი დოვლათის გადაცემაზე მისი შთამომავლობის მიმართ, აქედან გამომდინარე, თავს იჩენს ისეთი სენსიტიური საკითხები, როგორცაა თითოეული ნივთის მიმართ გარკვეული ნოსტალგიური ფაქტორები. სწორედ აღნიშნული რეალობის გათვალისწინებით საერთაშორისო ნორმატიული აქტები და მათ შორის ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს იმგვარ რეგულაციებს, რომლებიც ამცირებს ადამიანური გრძნობებით გამოწვეულ საკითხებს და გვთავაზობს იმ ნივთების ჩამონათვალს, რომლებიც არ შეიძლება სამემკვიდრეო მასაში შევიყვანოთ, შესაბამისად არ დაექვემდებარება გაყოფას. გაუყოფად ნივთებს განეკუთვნება საგვარეულო წიგნები (ან ჩანაწერები), ოჯახური მატანე, სულის მოსახსენიებელი, სხვა საკულტო საგნები და საფლავი. აღნიშნული საგნები ვინაიდან არ იყოფა ისინი გადაეცემა ერთ-ერთ მემკვიდრეს დადგენილი ტრადიციის მიხედვით, ამასთან სამკვიდროზე უარის თქმა არ აქარწყლებს ამ ჩვეულების დარღვევას. ქართულ კანონმდებლობაში არ გვხვდება განმარტება იმისა, თუ რა შეიძლება მივიჩნიოთ ამ შემთხვევაში დამკვიდრებულ ჩვეულებად, ქართული სამართლის ისტორიის თანახმად, პრივილეგია ყოველთვის უფროს ვაჟს ენიჭებოდა, რომელიც გვარის გამგრძელებლად მიიჩნეოდა². დღეის მდგომარეობით, რა თქმა უნდა, მხოლოდ აღნიშნული გარემოება ვერ იქნება გაზიარებული, თუმცა ფეოდალიზმის ხანასთან არც თუ დიდი დრო გვაშორებს და შესაბამისად დავის წარმოშობისას შესაძლოა დაუპირისპირდეს ფეოდალური პერიოდის ჩვეულება საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ პრინციპებს.

საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში ამ კატეგორიის დავების განხილვის არც თუ დიდი პრაქტიკა არსებობს, რაც მოწმობს იმას, რომ საზოგადოება ემორჩილება იმ დამკვიდრებულ ტრადიციას, რაც ოდითგანვე დამკვიდრებულია ოჯახში. განხილული დავების ფაქტობრივი გარემოებები დაკავშირებულია არა ცალკეული ნივთების განაწილებასთან, არამედ საფლავის კუთვნილების დადგენასთან. ეს ფაქტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანებისთვის კანონით გათვალისწინებული საგამონაკლისო ქონება, ვინაიდან ფაქტია, რომ საფლავი არ არის დაკავშირებული მატერიალურ სიმდიდრესთან, ეს ტერიტორია განკუთვნილია ადამიანთა სამუდამო განსასვენებლად, რაც პირისთვის არ არის გამდიდრების საგანი. განხილულ დავებში მხარეები აპელირებენ გარდაცვლილი ნათესავების სულიერ კავშირზე და ნებაზე გარდაცვალების შემდგომ დაიკრძალონ მათ გვერდით.³

საქართველოს უზენაესი სასამართლოს არქივში დაცული საქმეებიდან ნათლად იკვეთება მართლმსაჯულების მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა, რომელიც განსაზღვრავს „დამკვიდრებული ტრადიციის“ განმარტებას. ერთერთ საქმეში (#ას-346-676-05) მოსარჩელემ სადავოდ გახადა ფაქტი, რომ *მისი ბებია-ბაბუის საფლავზე პრეტენზია განაცხადა მოსარჩელის მამის დედინაცვლის დისშვილმა,*

¹ რ. შენგელია, ე. შენგელია, მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2011, გვ. 167

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, თბილისი, 1984 წელი, გვ.273;

³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 მარტის განჩინება #ას-61-57-2017;

რომელიც მოსარჩელის ბაბუის მეორე ცოლის დისშვილს წარმოადგენს და არის მეორე რიგის მემკვიდრე, ხოლო მოსარჩელე პირველი რიგის მემკვიდრე. მოცემულ დავაში საკითხი მოსარჩელის სასარგებლოდ გადაწყდა და მას მიეკუთვნა საფლავი. ამ და სხვა დავებში სასამართლომ ტრადიცია იმგვარად განმარტა, რომ რიგით წინ მყოფ მემკვიდრეს მიანიჭა უფლება გაუყოფლად ნივთებზე, ვინაიდან საქმის ფაქტობრივი გარემოებები ამგვარ დამკვიდრებულ წეს-ჩვეულებას მიუთითებდა.⁴

კანონმდებლობა განსაზღვრავს ნივთებს მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, რომელთა გაყოფა ან რომელიმე მემკვიდრისთვის მიკუთვნება დაუშვებელია და ის რჩება საერთო საკუთრებად, კერძოდ, დოკუმენტები, რომლებიც ეხება მამკვიდრებლის პიროვნებას ან მთელ სამკვიდროს. შესაბამისად ამ ნივთებზე ყველა მემკვიდრეს აქვს უფლება მოითხოვოს მათით სარგებლობა.

კანონმდებლობა ერთის მხრივ, ადგენს მამკვიდრებლის ქონებაში იმ ნივთებს, რომლებიც არ შედის სამკვიდრო მასაში მისი ბუნებიდან გამომდინარე და მეორეს მხრივ განსაზღვრავს ქონებას, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ არ არის მამკვიდრებლის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებული და წარმოადგენს სხვა პირის უფლებას, ჩაითვლება სამკვიდრო მასაში და დაექვემდებაროს გაყოფას ან გათვალისწინებულ იქნეს მემკვიდრის წილში. სამკვიდროს გაყოფისას თითოეული მემკვიდრის წილში ჩაითვლება იმ ქონების ღირებულება, რომელიც მან საჩუქრის სახით მიიღო მამკვიდრებლისაგან სამკვიდროს გახსნამდე ხუთი წლის განმავლობაში. აღნიშნული ერთის მხრივ უპირისპირდება მამკვიდრებლის ნებას. ვინაიდან მან გამოიჩინა ნება საჩუქრად გადაეცა ქონება მემკვიდრისთვის, რაშიც მოიაზრება, რომ სამკვიდროს გაყოფიდან განაცალკევა ქონება, თუმცა აღნიშნული დანაწესით გაჩუქებული ქონებაც ექცევა სამკვიდრო მასაში. ამ შემთხვევაში საგულისხმოა ისიც, რომ პირს უკვე წარმოეშვა საკუთრების უფლება ნივთზე, თუმცა ამის მიუხედავად აღნიშნული რეგულაციის თანახმად მიუხედავად იმისა, რომ საკუთრება ხელშეუვალი უფლებაა გარდა ექსპროპრიაციისა, იზღუდება კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლება. მეორეს მხრივ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნაჩუქარი ქონების ჩათვლა სამკვიდრო მასაში ნაკარნახევია სხვა მემკვიდრეთა ინტერესების დასაცავად, თუმცა ის საკითხი, რომ მემკვიდრეების ქონებრივი ინტერესი უფრო მნიშვნელოვანია თუ მამკვიდრებლის ნება წარმოადგენს შეფასების საგანს.

2. სამკვიდროს გაყოფის წესი და პირობები

მამკვიდრებლის ქონებიდან გაუყოფადი ნივთების გამოყოფის შემდგომ მემკვიდრეები განსაზღვრავენ სამკვიდრო მასას, სამკვიდრო მასის განაწილების საკითხი წამოიჭრება, თუკი სახეზეა რამდენიმე მემკვიდრე, ან ანდერძით ქონება დაყოფილია წილებად და განსაზღვრული არ არის წილის მიმართება სამკვიდრო მასის შემადგენლობასთან. სამკვიდროს გაყოფის წესის განსაზღვრა მნიშვნელოვანია, რადგან მემკვიდრეებმა შეძლონ ურთიერთშეთანხმებით სამკვიდროს სამართლიანი გადანაწილება, აღნიშნულ მიზანს ემსახურება ქართული მატერიალური კანონმდებლობით დადგენილი არაერთი რეგულაცია ხელი შეუწყოს მემკვიდრეებს სამკვიდროს გაყოფისას მათი სურვილისამებრ მოახდინონ განაწილება სამკვიდრო მასით განსაზღვრული ქონების.

სამკვიდროს გაყოფამდე შესაძლოა გამოიკვეთოს გარემოება, რომ გაუყოფადი ნივთების გარდა განსაზღვრული სამკვიდრო მასიდან გამოეყოს ქონება, რომელიც არ გაიყოფა დადგენილი წესით მემკვიდრეთა შორის. აღნიშნული გამოწვევის დადგენა ემსახურება მამკვიდრებლის ინტერესების დაცვას, კერძოდ, თუკი გადასახდელია გარდაცვლილი პირის უკანასკნელი მკურნალობის ხარჯები,

⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება- #ას-346-676-05, #ა-3197-ბ-44-05, ას-790-1112-ა-07;

დაკრძალვის ხარჯები, მამკვიდრებლის რჩენაზე მყოფი პირების მიმართ ყოველთვიური სარჩო, ხელფასის სახით გასასტუმრებელი თანხა, ან/და სამკვიდროს დაცვისა და მართვის საფასური. სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ეს გამონაკლისები იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნია კანონმდებელმა, რომ წარმოდგენილ ხარჯებს უპირატესი ძალა მიანიჭა უზრუნველყოფილ მოთხოვნებთან მიმართებით, როგორცაა იპოთეკა/გირავნობა. შესაბამისად ამგვარი აუცილებელი ხარჯების დაკმაყოფილება შესაძლებელია სამკვიდრო მასიდან სამკვიდროს გაყოფამდე უზრუნველყოფილ მოთხოვნებთან უპირატესად. მიუხედავად იმისა, რომ დადგენილია ამ ტიპის საგამონაკლისო წესი, არ არის განსაზღვრული უშუალოდ თუ სამკვიდრო მასიდან რომელი ქონება უნდა განიკარგოს აღნიშნული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. საზოგადოდ თუკი ქართული კანონმდებლობის პრინციპებს გავითვალისწინებთ, პირველ რიგში უნდა მოხდეს სამკვიდრო მასიდან არსებული ფულის გამოყოფა, ხოლო შემდგომ დარჩენილი არაუზრუნველყოფილი ნივთები და უკანასკნელად სანივთო უფლებებით უზრუნველყოფილი ქონებიდან მოხდეს გადახდევინება.

აღნიშნული ხარჯები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ამ საკითხზე 2002 წელს დიდმა პალატამ იმსჯელა და დაადგინა პრაქტიკა, რომ სავალდებულოა ანაზღაურდეს გარდაცვლილი პირის მიმართ გაწეული სამკურნალო თუ დაკრძალვის ხარჯები. დიდი პალატის განმარტებით მკურნალობაზე გადახდილი ხარჯების დაკისრებისთვის აუცილებელია განისაზღვროს საავადმყოფოს მიერ გაწეული მომსახურება სასყიდლიანი იყო თუ უსასყიდლო, რის შემდგომაც შესაძლოა მოთხოვნილ იქნეს გაწეული ხარჯი. ხოლო დაკრძალვის და სარიტუალო მომსახურების ხარჯებზე განმარტებულ იქნა, რომ მთავარია დასტურდებოდეს პირის მიერ ამ ქმედების განხორციელება. სარიტუალო მომსახურებაში გათვალისწინებულ იქნა, როგორც არამარტო დაკრძალვამდე არსებული მოქმედებები არამედ სასაფლაოს მოწყობა და გარდაცვალების მეორმოცე დღის ცერემონია. დიდმა პალატამ შეაფასა და დაადგინა იმ პერიოდისთვის სარიტუალო მომსახურების გონივრული ღირებულება, რა ნაწილშიც შესაძლოა მოთხოვნილ იქნეს ანაზღაურება⁵.

სამკვიდროს გაყოფისას თუ აღმოჩნდა, რომ ანდერძით განსაზღვრულ წილთა ჯამი აღემატება მთელ სამკვიდროს, მაშინ თითოეული მემკვიდრის წილი შემცირდება პროპორციულად. „მემკვიდრეთა შორის განაწილება რეალურად არსებული სამკვიდროს ღირებულება. კანონით მემკვიდრეობისას ასეთი რამ გამოიციხულია, რადგან სამკვიდრო თავიდან არ არის განსაზღვრული და მემკვიდრეებს შორის რეალურად არსებული სამკვიდრო ნაწილდება“⁶.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უპირველესად მემკვიდრეებს სთავაზობს მაქსიმალურად დისპოზიციურ ნორმებს, რათა ურთიერთშეთანხმებით განხორციელდეს სამკვიდროს გაყოფა. მემკვიდრეთა შეთანხმებით შესაძლებელია მოხდეს ქონების შეფასება და ცალკეული ნივთების ღირებულების პროპორციულად მათ მიმართ განაწილება, არსებული წილობრივი ოდენობით, რაც უნდა ეფუძნებოდეს სამართლიანობის პრინციპებს. კანონმდებლობა მემკვიდრეებს სთავაზობს მოითხოვონ თავისი წილის გამოყოფა ნატურით როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონებიდან. ნატურით გაყოფის შესაძლებლობა გულისხმობს ნივთის ისეთ გაყოფას, რომელიც ცალკეულ ნაწილებს არ დაუკარგავს დანიშნულებას, კერძოდ, საგანი შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე. ამასთან, მემკვიდრეობითი სამართალი ნატურით გაყოფის მექანიზმში მიუთითებს, რომ თუ სახეზეა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი გაყოფისას შესაძლებელი უნდა იყოს სიცოცხლისუნარიანი მეურნეობის არსებობა, რისი განმარტებაც მოიცავს არა ცალკეული მეურნეობის დაწყებას, არამედ მამკვიდრებლის მიერ დანატოვარი მეურნეობის გაგრძელების შესაძლებლობას. ნატურით გამოყოფის

⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 4 მარტის განჩინება #33/441-01

⁶ რ. შენგელია, ე. შენგელია, მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი 2011, გვ. 174

შეუძლებლობისას იმისათვის, რომ მხარეთა შორის არ წარმოიშვას უთანხმოება შესაძლებელია ქონება გაიყიდოს და წილის პროპორციულად მოხდეს ანაზღაურება ან გადაეცეს სრულად თანამემკვიდრეს და ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს დარჩენილი მემკვიდრეების მიმართ კომპენსაციის მიცემა. იმისათვის, რომ თანაბრად და სამართლიანად განხორციელდეს სამკვიდროს განაწილება კანონმდებელმა მემკვიდრეები აღჭურვა უფლებით შეაჩერონ სამკვიდროს გაყოფა, რაც მიმართულია მიზნისკენ, რომ ამ პერიოდში დადგინდეს შესაძლებელია თუ არა ერთობლივად იმართოს მიღებული სამკვიდრო ან განხორციელდეს იმგვარი გაყოფის შერჩევა, რომელიც თანამემკვიდრეების მიერ მიჩნეული იქნება სამართლიანად.

სამკვიდროს გაყოფას ადგენს სასამართლო ორ შემთხვევაში, თუკი მემკვიდრეებს შორის ვერ იქნა მიღწეული სამკვიდროს განაწილებასთან დაკავშირებით შეთანხმება, რაც გამორიცხავს სამკვიდროს მიღებას, ასეთ შემთხვევაში ერთ-ერთი მემკვიდრე მიმართავს სასამართლოს მართლმსაჯულების განხორციელებით მოხდეს სამართლიანი სამკვიდროს გაყოფის დადგენა. ხოლო რაც ეხება მეორე შემთხვევას, ამას წარმოადგენს მოანდერძის მიერ ანდერძში მესამე პირის განსაზღვრა, რომელსაც მინდობილი ექნება უზრუნველყოს სამკვიდროს გაყოფა, ხოლო მის მიერ დადგენილ წესს არ დაეთანხმება მემკვიდრე და მიმართავს სასამართლოს, ვინაიდან მესამე პირის მიერ გაყოფილი სამკვიდრო შეუსაბამოა სამართლიანობის პრინციპებთან.

3. სამკვიდრო წილის გათანაბრების უფლება

სამკვიდროს გაყოფისას წილის გათანაბრების რეგულაცია მიმართულია შთამომავლების მიმართ, რომელსაც კანონი განსაზღვრავს დამავალი ხაზის მემკვიდრეებად, ერთი შეხედვით მხოლოდ ამ ჩანაწერით თითქოს ირღვევა კანონიერი რიგითობა მემკვიდრეობის და სხვა რიგის მემკვიდრესაც შესაძლოა ჰქონდეს ამ მოთხოვნის დაყენების უფლება, თუმცა ამ განმარტებას ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან ასევე აღნიშნულია, რომ სამკვიდროს გაყოფისას მოწვეულ მემკვიდრეს წარმოეშობა ეს უფლება, შესაბამისად სამკვიდროს გაყოფისას მოწვეულია მემკვიდრე რომელიც რიგის მიხედვით არის პირველ ადგილას მდგომი და სწორედ მას აქვს სამკვიდროს მიღების უფლება.

მემკვიდრეობითი სამართალი წილის გათანაბრების ორ სახეს გვთავაზობს. პირველ სახედ წარმოდგენილია შემთხვევა, როდესაც მამკვიდრებელმა მემკვიდრეს მისი ქონებიდან გადასცა რაიმე ნაწილი ისე, რომ მამკვიდრებლის მიერ არ გამოვლენილა საკუთრებაში გადაცემის ნება, შესაბამისად სახეზეა დროებით სარგებლობაში გადაცემის მოტივი. აღნიშნულის განმარტების საფუძველს გვადლევს ჩანაწერი კანონში „თუ მამკვიდრებელს სხვა რამ არ დაუდგენია“⁷. წარმოდგენილი წესის გათვალისწინებით „სხვა რამის დადგენაში“ შესაძლოა მოვიაზროთ გადაცემისას ან მის შემდგომ მამკვიდრებლის სურვილი საკუთრების უფლებით გადაცემის ან სამომავლო ნება მისი გარდაცვალების შემდგომ საკუთრების მოპოვების, რაც უკვე თავის მხრივ მოიაზრებს ანდერძს.

გათანაბრების მეორე სახედ წარმოდგენილია შემთხვევა, რომელიც ითვალისწინებს კეთილსინდისიერი, გულისხმიერი მემკვიდრის, მიერ განსაკუთრებული წვლილის არსებობას მამკვიდრებელთან ერთად ქონების გაზრდაში. განსაკუთრებული წვლილის შეტანაში კანონმდებელი მოიაზრებს დამავალი ხაზის ნათესავს, რომელმაც საოჯახო მეურნეობაში გაწეული უსასყიდლო შრომით, მამკვიდრებლის პროფესიულ და კომერციულ საქმიანობაში ანაზღაურების გარეშე მონაწილეობით,

⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1473-ე მუხლი (2018.05 მდგომარეობით)

თავის მხრივ მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევით ან სხვა სახით მამკვიდრებლის ქონება გაზარდა ან შეინარჩუნა. შესაბამისად ასეთ შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს გათანაბრება იმ ნათესავებთან, რომლებიც მასთან ერთად კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან და ითხოვენ სამკვიდროს, ანუ წარმოდგენენ ერთი რიგის მემკვიდრეთა წრეს.

იმის მიუხედავად, რომ არსებული რეგულაცია მიმართულია სამართლიანობის დასაცავად გაურკვეველია, რატომ ავიწროებს მემკვიდრეთა წრეს კანონი, თუ ვინ შეიძლება მოითხოვოს გათანაბრების უფლება. გათანაბრების მოთხოვნის უფლების მქონე პირები არიან - დამავალი ხაზის კანონისმიერი მემკვიდრეები, ვინაიდან კანონი ერთ შემთხვევაში ადგენს შთამომავალს, რომელიც იქვე განმარტებულია დამავალი ხაზის ნათესავად, ხოლო მეორე შემთხვევაში მემკვიდრეს წილი მიღებული უნდა ჰქონდეს მშობლისგან, რაც კვლავ დადმავალ შტოზე უთითებს. შესაბამისად ადმავალი შტოს მემკვიდრეები რჩებიან ამ უფლების გარეშე, თუმცა სავარაუდოა და შესაძლებელიც არის წარმოდგენილი რეგულაცია ფართოდ განიმარტოს, ვინაიდან შესაძლოა ამგვარი ჩანაწერი მიუთითებდეს საკანონმდებლო ხარვეზზე, რადგან უმრავლეს შემთხვევაში მშობელი ზრუნავს შვილზე და ბუნების კანონზომიერების თანახმად მშობელი ხდება მამკვიდრებელი.

უზენაესმა სასამართლომ საქმეზე #ას-321-306-2013 განმარტა, რომ წილთა გათანაბრებისას დაუშვებელია გამოყენებულ იქნეს ანალოგიის სახით სავალდებულო წილი. ვინაიდან კანონის ანალოგია გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი სახეზე არ არის სადავო საკითხის გადასაწყვეტად ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა. მოცემულ შემთხვევაში კი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებით სრულად რეგულირდება სამკვიდრო ქონების გაყოფის ინსტიტუტი, რაც არ იწვევს სამკვიდრო წილის დაკარგვას ან შემცირებას, შესაბამისად სახეზე არ არის ანალოგიის გამოყენების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, გათანაბრების უფლება მიმართულია სამკვიდროს სამართლიანი განაწილების, გაყოფის პრინციპის უზრუნველყოფისაკენ. ამ პრინციპის დაცვით უფლებამოსილ პირს ეძლევა შესაძლებლობა, დაიცვას საკუთარი ქონება და არ დაუშვას ამ ქონებით სხვა მემკვიდრეების უსაფუძვლო გამდიდრება. გათანაბრების უფლება ითვალისწინებს არა წილის შემცირების და შესაბამისად, წილის მიმატების სამართლებრივ რეგულაციებს, არამედ სამკვიდროს საერთო თანხიდან გამოკლებული გათანაბრების თანხის გათანაბრების უფლების მქონე მემკვიდრის წილზე მიმატების წესს. ამრიგად ამ ქონების შენარჩუნებისა და გაზრდის ღირებულების გამოკლებით უნდა გაიყოს სამკვიდრო ქონება, ხოლო გამოკლებული თანხა უნდა მიეცეს გათანაბრების მოთხოვნის უფლების მქონე პირს, ანუ მიემატება იმ თანამემკვიდრის წილს, რომელსაც გათანაბრების მოთხოვნის უფლება აქვს.⁸

4. სამკვიდროს მიღების უფლების მქონე პრივილეგირებული მემკვიდრე

ქართული მემკვიდრეობითი სამართალი ითვალისწინებს ცალკეული მემკვიდრეების მიმართ პრივილეგირებული მდგომარეობის მინიჭებას, რაც გამოიხატება უპირატესი მოთხოვნის უფლების მინიჭებით. არსებული უფლებრივი მდგომარეობის მინიჭება განპირობებულია მამკვიდრებელთან ყველაზე მეტად დაკავშირებული მემკვიდრის მნიშვნელობის აღნიშვნასთან. საკითხის ამგვარად რეგულირება მიმართულია სამართლიანობის საკანონმდებლო მოწესრიგების პრინციპთან, ვინაიდან

⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 16 ოქტომბრის განჩინება #ას-321-306-2013;

მნიშვნელოვანია პირველ რიგში მოთხოვნა ქონებაზე გააჩნდეს იმ მემკვიდრეს, ვინც უშუალო შემხებლობაშია ქონებასთან და მამკვიდრებელთან.

სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა პირისთვის უპირატესი უფლების მინიჭება, ვინაიდან აღნიშნული რეგულაცია არაპირდაპირ ზღუდავდა მესაკუთრის ნებას თავისუფლად განეკარგა მისი წილი საკუთრება საერთო საკუთრების მიუხედავად, რადგან წილის გასხვისების შემთხვევაში მცირდებოდა მყიდველთა წრე. ამის მიუხედავად კანონმდებელმა მიიჩნია, რომ საერთო საკუთრების შემთხვევაში, თუკი პირი არის გარდაცვლილის მემკვიდრე მას უნდა მიეცეს პრივილეგია უპირველესად მიიღოს აღნიშნული ქონება. მიუხედავად იმისა, რომ განხორციელებული ცვლილების თანახმად საზიარო უფლების არსებობისას უპირატესი შესყიდვის უფლება აღარ არის იმპერატიული და წარმოადგენს მხოლოდ მხარეთა შეთანხმების საგანს. სამკვიდროს გაყოფისას საზიარო საგნის არსებობის შემთხვევაში საზიარო საგნის უფლების უპირატესი მიღების უფლება ეკუთვნის მამკვიდრებელთან თანასაკუთრებაში არსებულ მემკვიდრეს.

პრივილეგირებულ მემკვიდრედ, რომელსაც ასევე აქვს უპირატესი მოთხოვნის უფლება წარმოდგენილია პირი (პირველი რიგის მემკვიდრე), რომელიც მამკვიდრებელთან ერთად ცხოვრობდა, მის გარდაცვალებამდე უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში მემკვიდრეს აქვს უფლება მოითხოვოს, როგორც საცხოვრებელი სახლის ასევე საოჯახო მოხმარების საგნების მიღებაც.

მემკვიდრეობითი სამართალი ნორმატიული ჩანაწერით უპირატეს უფლებას არ ანიჭებს სასოფლო სამეურნეო მიწის გაყოფისას მემკვიდრეს, რომელიც მამკვიდრებელთან ეწეოდა მეურნეობას ან აქვს ცოდნა უნარი და სურვილი განაგრძოს საქმიანობა. თუმცა თუკი სასოფლო სამეურნეო მიწის განაწილების რეგულაციებს სწორად განვმარტავთ მისი შინაარსი გულისხმობს უპირატესი უფლების მინიჭებას. ვინაიდან თუ წამოიჭრა საკითხი ამ ტიპის ქონების გაყოფაზე, ასეთი ქონება გაიყოფა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მემკვიდრეები აპირებენ გაუძღვნენ მეურნეობას, ხოლო თუ აღნიშნული სურვილი არ იკვეთება, მაშინ იმ მემკვიდრეს ენიჭება პრივილეგია, რომელსაც გააჩნია უნარი და სურვილი გაუძღვეს მეურნეობას.

უპირატესი უფლების მქონე მემკვიდრეებს კანონით განსაზღვრული ქონების თავის წილში ჩართვის შესაძლებლობა გააჩნიათ. რაც არ გულისხმობს იმას, რომ თანამემკვიდრეებს ამით თავიანთი წილი უმცირდებათ. წარმოდგენილი რეგულაციით პრივილეგირებული მემკვიდრე უპირველესად თავის წილში მიითვლის ქონებას, რომელზეც ვრცელდება უპირატესი უფლება, ხოლო თანამემკვიდრეები დარჩენილი სამკვიდრო მასიდან გაიყოფენ ქონებას. იმ შემთხვევაში, თუ პრივილეგირებული მემკვიდრის მიერ მიღებული ქონებამ შეამცირა თანამემკვიდრეთა წილი და მათ სრულად ვერ მიიღეს ის სამკვიდრო, რაც მათ კანონით ეკუთვნოდათ უპირატესი უფლების მქონე მემკვიდრე ვალდებულია თანამემკვიდრეებს მისცეს კომპენსაცია.

5. სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე და ანდერძით მემკვიდრეთა უფლებამოსილების მიმართება სამკვიდროს გაყოფისას

მემკვიდრეობითი სამართალი პირს უფლებას აძლევს მის სიცოცხლეშივე განსაზღვროს საკუთარი ქონების გადაცემა მესამე პირების მიმართ მისი გარდაცვალების შემდეგ, ამგვარი ნების გამოხატვას ეწოდება ანდერძი. ანდერძით შესაძლებელია მამკვიდრებელმა საკუთარი ქონება დაუტოვოს ნებისმიერ პირს თავისი შეხედულებისამებრ. სამოქალაქო კოდექსი იმგვარი ანდერძის შემთხვევაში, როდესაც მამკვიდრებელი მთელ თავის ქონებას უტოვებს მესამე პირს ან თუნდაც ერთ მემკვიდრეს და თანამემკვიდრეები შესაძლოა დარჩნენ მამკვიდრებლის მიერ ქონების დატოვების გარეშე, კანონი

განსაზღვრავს, რომ ასეთ მემკვიდრეებს უფლება აქვთ მოითხოვონ სავალდებულო წილის მიღება სამკვიდრო მასიდან, რაც შეადგენს იმ წილის ნახევარს, რაც კანონით ერგება, როგორც მემკვიდრეს.

სავალდებულო წილი თითქოს ზღუდავს მამკვიდრებლის ნებას თავად განსაზღვროს პირი ვისაც დარჩება მთელი მისი ქონება და განაგრძობს მართვას. თუმცა აღნიშნული არ წარმოადგენს უფლების შეზღუდვას, ვინაიდან ადამიანთა ურთიერთობები მიუხედავად იმისა, რომ დადგენილია კანონით, კანონი კი ეფუძნება იმ მორალურ ეთიკურ ღირებულებებს, რაც ადამიანს გამოარჩევს სხვა ცოცხალი არსებებისგან. დაუწერელი ნორმები, რომელიც გამოხატულებას პოვებს ცალკეულ კანონებში არასდროს არ არის მავალდებულებელი მხოლოდ ერთი პირის მიმართ, შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუკი მამკვიდრებელს აქვს შესაბამისი საფუძველი იმისა, თუ რატომაც არ უნდა დაუტოვოს მის მემკვიდრეს ქონება ამისთვის სამოქალაქო კოდექსი გვთავაზობს პირის უღირს მემკვიდრედ აღიარებას, რაც თავის მხრივ იწვევს სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევას.

სავალდებულო წილის არსებობა ნიშნავს, რომ ანდერძით გათვალისწინებული მემკვიდრეებს მოუწევთ სამკვიდროს გაყოფისას გაითვალისწინონ კანონით მემკვიდრე, რომელსაც ეკუთვნის სავალდებულო წილი. კანონიერი მემკვიდრის მიმართ გასაცემი წილი შესაძლოა, გაიზარდოს კიდევ მიუხედავად ანდერძისა ან სამკვიდრო მასისა. ასეთ შემთხვევას წარმოადგენს გარემოება, როდესაც მამკვიდრებელმა ანდერძით განსაზღვრა მემკვიდრის წილი, თუმცა ეს უკანასკნელი ნაკლებია კანონით მემკვიდრეობის შემთხვევაში მისაღები წილის ნახევარზე, სავალდებულო წილზე. ამ ვითარებაში ანდერძით განსაზღვრულ კანონიერ მემკვიდრეს უფლება აქვს მოითხოვოს სავალდებულო წილის ოდენობამდე მემკვიდრეობით მისაღები ქონების გაზრდა.

ანდერძით განსაზღვრულ პირებს კიდევ ერთ შემთხვევაში შესაძლოა მამკვიდრებლის მიერ ანდერძით გათვალისწინებული წილი შეუმცირდეთ, კერძოდ, თუკი სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირმა მოითხოვა მამკვიდრებლის მიერ ათი წლის განმავლობაში მესამე პირზე გაჩუქებული ქონების სამკვიდრო მასაში ჩათვლა. მოცემულ შემთხვევაში გაჩუქებული ქონება ვერ ჩაითვლება სამკვიდრო მასაში, თუმცა კანონის დანაწესიდან გამომდინარე უნდა განვსაზღვროთ, რომ იმ შემთხვევაში ეს ქონება, რომ არ გაჩუქებულიყო და ჩათვლილიყო სამკვიდრო მასაში რა წილითაც გაეზრდებოდა თანხა კანონიერ მემკვიდრეს ის ოდენობა უნდა აუნაზღაურდეს არსებული სამკვიდრო მასიდან. მესამე პირების მიმართ გადაცემული ქონების ღირებულების გათვალისწინება უნდა მოხდეს სამკვიდრო მასაში, რადგან აღნიშნული ნორმის ტელეოლოგიური განმარტებიდან გამომდინარე შეუძლებელია ვიგულისხმოთ, რომ საჩუქრის მიმღები მოვიწვიოთ სამკვიდროს გაყოფისას და წარმოშობილი საკუთრების უფლება შევუზღუდოთ.

ანდერძით განსაზღვრული პირების მიმართ სამკვიდროს გაყოფისას სავალდებულო წილის უფლების მქონე მემკვიდრეების მიერ მოთხოვნის წარმოშობა მიჩნეულ უნდა იქნეს სამართლიანად, ვინაიდან როგორც უკვე აღინიშნა მამკვიდრებელს აქვს შესაძლებლობა კანონიერი მემკვიდრე სცნოს უღირს მემკვიდრედ და თუკი ეს უკანასკნელი არ არის სახეზე ასეთ შემთხვევაში კანონიერ მემკვიდრეს უფლება უნდა ჰქონდეს მიიღოს სამართლიანად ის წილი, რაც კანონით განსაზღვრულია სავალდებულო წილად.

დასკვნა

იურისპრუდენციაში მემკვიდრეობით სამართალს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ვინაიდან მემკვიდრეობის არსიდან გამომდინარე სამართლის ეს დარგი არის ადამიანის მატერიალური ცხოვრების დასასრული და მის მიერ შექმნილი უფლება-მოვალეობების გადაცემა შთამომავლისთვის (მემკვიდრისთვის), რომლებიც უზრუნველყოფენ ყოფიერი ცხოვრების გაგრძელებას.

ქართული მემკვიდრეობითი სამართალი ითვალისწინებს არსებითად მნიშვნელოვან ფაქტორებს ადამიანების ცხოვრებისეული ყოფიდან და ადგენს იმგვარ რეგულაციებს, რომლითაც საკანონმდებლო დონეზე არსებული ნორმებიდან გამომდინარე მამკვიდრებლის მიერ დანატოვარი სამკვიდრო განაწილებულ იქნეს სამართლიანობის პრინციპების დაცვით. ნორმატიულ მოწესრიგებაში წარმოდგენილია იმგვარი წესები, რომლებიც ამ სამართალ ურთიერთობიდან გამომდინარე აღარ საჭიროებს ცალკეული დავების წარმოებას.

მიუხედავად იმისა, რომ ნორმატიული მოწესრიგებით ბევრი დეტალია გათვალისწინებული, ცალკეული ნორმები ბუნდოვანია და საჭიროებს სისტემურ შეფასებას, რათა სწორად იქნეს განმარტებული. თემაში არაერთი ასეთი ნორმა იქნა განხილული. ნორმის ბუნდოვანებას ხშირ შემთხვევაში იწვევს მუდმივი ევოლუცია და სამართალ ურთიერთობების მრავალფეროვნება.

საგულისხმოა, რომ ქართულ სასამართლო სისტემაში წარმოებული დავები დაკავშირებულია არა მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობის მიღების სურვილით, რაც გულისხმობს სამკვიდრო მასიდან ქონების განაწილების დავას, არამედ მამკვიდრებელთან არამატერიალური კავშირებით გამოწვეულ ფაქტორებზე, რაც არაქონებრივ უფლებებს წარმოადგენს.

საბოლოო ჯამში, დღეს არსებული ქართული მემკვიდრეობითი სამართლის, ქონების გაყოფის რეგულაციები მიმართულია თანასწორუფლებიანობის და სამართლიანობის პრინციპების დაცვისკენ.

ირაკლი ბუთურიშვილი, ნუგზარ გრიგალაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული

ფაკულტეტის სტუდენტები

ქალაქის არქიტექტურული მონაცემი, როგორც დანაშაულის ჩადენის გამომწვევი გარემოება

შესავალი

დღევანდელ რეალობაში, როდესაც კაცობრიობა სისტემატურად აშენებს და ქმნის. კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში შევხვდებით ისეთ გაბატონებულ შეხედულებებს, რომლის მიხედვითაც დანაშაულის ჩადენა პირდაპირ კავშირშია დანაშაულის ადგილთან და შესაბამისად, გამომდინარეობს ქალაქის არქიტექტურული მოწყობიდან. არქიტექტურულ მოწყობაში უნდა ვიგულისხმოთ არამარტო შენობა-ნაგებობები, არამედ, უყურადღებოდ დატოვებული ქალაქები, უკონტროლო უბნები, დაბინძურებული ქუჩები, გრაფიტი კედელზე, მოუწესრიგებელი ტრანსპორტი, კილომეტრიანი საცობები და ასე შემდეგ.

დანაშაულის ადგილს მეტად მნიშვნელოვანი როლი უნდა მიენიჭოს ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში. ერთი მხრივ, მისი შესწავლა ეხმარება სამართალდამცავ ორგანოებს საქმის გახსნის, ხოლო კრიმინოლოგებს, დამნაშავისა და მსხვერპლის პიროვნების შესწავლის, კრიმინოგენული საფრთხეების განსაზღვრისა და დანაშაულის პრევენციის დროს.¹ ამ საკითხის უკეთ გასააზრებლად, დამკვიდრებულია ტერმინი „დანაშაულის გეოგრაფია“ (ან „დანაშაულის ეკოლოგია“), რომელიც იკვლევს დანაშაულს რეგიონების, ქალაქების, უბნების მიხედვით და შესაბამისად, აინტერესებს თუ რატომ ხდება კონკრეტულ ადგილას ესა თუ ის დანაშაული. ქალაქის არქიტექტურული მოწყობის შესწავლა კი, დანაშაულის გეოგრაფიის ერთ-ერთი ნაწილია.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 2018 წლის იანვარი-აგვისტოს თვეში სისხლისამართლებრივი დევნა დაწყებულია 11.782 (თერთმეტი ათას შვიდას ოთხმოცდაორი) პირზე, მათ შორის, თბილისში 3.648 და აჭარის რეგიონში 1.434 პირზე.² საკითხავია, რეგიონებს შორის კრიმინალური დონის ასეთი მკაფიო განსხვავება დამოკიდებულია თუ არა მხოლოდ მოსახლეობის რიცხვოვნობის მაჩვენებელზე?! ამ კითხვაზე პასუხის გაცემა განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს. აუცილებელია იმის გააზრება, რომ დანაშაულის ჩადენის რიცხვი, აპრიორი პირდაპირპროპორციული არ არის ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობასთან, არამედ თავს იჩენს მრავალი სხვა ფაქტორი, რომელთა შორის ერთ-ერთია ყოველდღიური გარემო ჩვენს ირგვლივ.

¹ შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, თბილისი, 2017 წელი, გვ. 243.

² < http://www.geostat.ge/?action=page&&p_id=2725&lang=geo >.

ადამიანთა უმრავლესობისთვის რთულია იმის დაჯერება, რომ ქალაქის არქიტექტურული მოწყობა შესაძლოა პირდაპირ კავშირში იყოს დანაშაულის ჩადენასთან. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამიანის ქცევას გარემო პირობები განსაზღვრავს, ხოლო არქიტექტურული მოწყობა ამ გარემო პირობებთან ერთ-ერთია, ნათელი გახდება, თუ რატომ შეიძლება ქალაქის არქიტექტურული მოწყობა კავშირში იყოს დანაშაულის ჩადენასთან.³

წინამდებარე ნაშრომში კრიმინოლოგიური კუთხით განხილული იქნება ქალაქის არქიტექტურის ზეგავლენა, როგორც პირდაპირი განმაპირობებელი ფაქტორი დანაშაულის ჩადენაზე, პოტენციურ დამნაშავეზე. პოზიციის გასამყარებლად შევხებით სხვადასხვა საინტერესო კვლევებსა და მოსაზრებებს; დღევანდელი გარემოს, ძირითადად დედაქალაქის, რეალობას; ვისაუბრებთ ქალაქის სწორი დაგეგმარების როლზე დანაშაულის პრევენციისთვის და დასკვნის სახით წარმოვადგენთ საკუთარ შეხედულებას.

1. არქიტექტურული მოწყობა, როგორც დანაშაულის ადგილის შეფასების კრიტერიუმი

არქიტექტურისა და დანაშაულის კავშირზე საუბრისას, თავდაპირველად მნიშვნელოვანია მოკლედ ვისაუბროთ დანაშაულის ცნებაზე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით (სსსკ) გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. ამასთანავე, დანაშაული წარმოადგენს კომპლექსურ მოვლენას. მას ძირითადად ოთხი კომპონენტის თანხვედრა განაპირობებს: 1) სისხლის სამართლის ნორმა, რომლის დარღვევის გარეშე არ არსებობს დანაშაული; 2) დამნაშავე, რომელიც ჩადის ამ დანაშაულს; 3) დანაშაულის ობიექტი (მსხვერპლი); 4) დანაშაულის ადგილი (ადგილი სადაც მოხდა დანაშაულის ჩადენა). ეს უკანასკნელი კი კრიმინოლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი ასპექტით: ა. ადგილი, სადაც მოხდა დანაშაული (რატომ ხდება ამ ადგილას ეს კონკრეტული დანაშაული); ბ. ადგილი, სადაც ცხოვრობს დამნაშავე; გ. ადგილი, სადაც ცხოვრობს დანაშაულის მსხვერპლი (რატომ ცხოვრობს ამ კონკრეტულ ადგილას დამნაშავე, მსხვერპლი; ხომ არ განაპირობებს მათი საცხოვრებელი ადგილი (უბანი, რაიონი, ქალაქი) მათ დამნაშავეობას, მსხვერპლობას?).⁴ ამ საკითხზე საინტერესოა ვიქტიმოლოგიაში (მოდერნული დანაშაულის მსხვერპლის შესახებ) არსებული „ცხოვრების წესის“ თეორია („lifestyle model“), რომლის თანახმადაც პირის ვიქტიმიზაცია გამომდინარეობს მისი ცხოვრების წესიდან.⁵ მსხვერპლად გახდომის მნიშვნელოვანი ფაქტორია როგორც პირის საქმიანობა, ასევე მის მიერ შერჩეული ქუჩა, უბანი, ქალაქი.⁶

1.1. “Broken Windows” თეორია

³ შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, თბილისი, 2017 წელი, გვ.244.

⁴ იქვე, გვ. 243.

⁵ Hindeland, M.J., et al. Victims of Personal Crime: An Empirical Foundation for a Theory of Personal Victimization. Cambridge 1978. P. 121.

⁶ შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, თბილისი, 2017 წელი, გვ. 195.

რაც შეეხება კონკრეტულ ადგილს, თუ რატომ ხდება დანაშაულის ჩადენა ხშირად, ან დამნაშავეს, თუ რატომ ჩადის იგი დანაშაულს, ამ საკითხზე კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში ჩატარებულია მრავალი კვლევა. მაგალითისთვის განვიხილოთ ამერიკელი სოციოლოგების ჯეიმს ვილსონისა და ჯორჯ კელინგის მიერ 1982 წელს ჩამოყალიბებული “Broken Windows”-ს თეორია, რომელიც დაეფუძნა 1969 წელს ფსიქოლოგ ფილიპე ზიმბარდოს მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტს.⁷ აღნიშნულ ექსპერიმენტზე დაყრდნობით ვილსონმა და კელინგმა შეიმუშავეს სამი თეზისი: 1. ქალაქის რომელიმე უბანში არსებული უწყესრიგობა და ქუჩების „უპატრონოდ მიტოვება“ (ნაგვიანი ქუჩები, გრაფიტი კედელზე, ნარკომანია, პროსტიტუცია, ალკოჰოლიზმი და ა.შ) მიუთითებს, რომ ეს უბანი უკონტროლოდ არის დატოვებული; 2. უბანში არსებული ამგვარი მდგომარეობა უბნის მცხოვრებლებში წარმოქმნის დაუცველობის გრძნობას; 3. უბანში არსებული უწყესრიგობა და ქუჩების „უპატრონოდ მიტოვება“ ხელს უწყობს დამნაშავეებს ოპტიმალურად განახორციელონ თავიანთი უკანონო ქმედებები. ვინაიდან, უბნის მოსახლეობის უმრავლესობა თავს დაუცველად გრძნობს, დამნაშავეების მიერ არის დაშინებული, ხოლო დამნაშავეები სახელმწიფო კონტროლის ნაკლებობის გამო თავს ადგილობრივ მოსახლეობაზე „მაღლა აყენებენ“ და მათზე დიდ გავლენას ახდენენ.⁸

ვილსონისა და კელინგის კვლევის მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქალაქის უბნის უწყესრიგობა ჩადენილ დანაშაულებთან პირდაპირ კავშირში მოდის. “Broken Windows” თეორიის სიტყვა-სიტყვითი განმარტებით, შენობის ერთი ჩამსხვრეული ფანჯარა, რომელიც არ იქნება აღდგენილი, იწვევს ამ შენობის სხვა ფანჯრის ჩატეხვას. მაშასადამე, დანაშაული, რომელიც არ იქნება აღკვეთილი სახელმწიფო ორგანოების მიერ, გამოიწვევს ახალი დანაშაულის პროვოცირებას. აქვე, შეგვიძლია პარალელი გავავლოთ აიზენკის კრიმინალურ თეორიასთან, კერძოდ „ოპერანტულ განპირობებულობასთან“ (სწავლება წარმატების მეშვეობით), რომლის მიხედვითაც ქცევა გარე სამყაროს ზემოქმედებით შეისწავლება. ადამიანი ისეთ ქცევას იმეორებს, რომელმაც მას წარმატება მოუტანა ე.წ. „გამარჯვებაზე სწავლის პრინციპი“. ეს ეხება არამარტო მართლზომიერ, არამედ კრიმინალურ მიზნებსაც. ამის ნათელი მაგალითია ქურდი, რომლის ქმედებაც დაუსჯელი დარჩა. მოგვიანებით მას ადვილად „აღებურება მადა“, რომ მსგავსი დანაშაულებრივი ქმედება გაიმეოროს, ანუ სახეზე გვაქვს წარმატების შედეგად განმეორებით დანაშაულის ჩადენის ეფექტი.⁹ ნახსენები საკითხები კარგად იქნა გათვალისწინებული 1994 წელს ნიუ-იორკის პოლიციის უფროსის ვილიამ ბერტონის მიერ, რომელმაც ქალაქში მაშინდელ

⁷ კერძოდ, მან ბრონქსის ერთ-ერთ ქუჩაზე (ნიუ-იორკი) და კალიფორნიის შტატის პატარა, წყნარ ქალაქ პალო ალტოში ავტომობილი დააყენა სანომრე ნიშნის გარეშე და ახდილი „კაპოტი“. ექსპერიმენტის მიზანი იყო დაკვირვება და მოსახლეობის კონკრეტული ქმედებების აღწერა მიტოვებულ მანქანასთან მიმართებით. მცდელობამ თავისი შედეგი გამოიღო და ორი, ერთმანეთისგან სრულყოფილი განსხვავებული სიტუაცია შეიქმნა. კერძოდ, ბრონქსის ქუჩაზე დაყენებულ ავტომობილს გაჩერებიდან 10 წუთის შემდეგ მიუახლოვდა ერთი ოჯახი (მამა, დედა და მათი რვა წლის ბიჭი) და დაიწყო მისი გაქურდვა. მოგვიანებით, 26 საათის განმავლობაში სხვადასხვა პირების მიერ მთლიანად გაიდარცვა იგი, ხოლო სამ დღეში ავტომობილისგან მხოლოდ „რკინის ჩონჩხი“ დარჩა, სადაც ქუჩის მოსახლეობა ნაგავს აწყობდა. რაც შეეხება ვითარებას პალო ალტოში, ზიმბარდოს მიერ დაყენებული ავტომობილი ერთი კვირის შემდეგ ისევ უვნებელი იდგა, ხოლო წვიმის დროს, ერთ-ერთმა მაცხოვრებელმა მისი „კაპოტიც“ კი დახურა. მოგვიანებით, ზიმბარდომ, თავის ჯგუფთან ერთად, მანქანის მინა განზრახ ჩატეხა და გასაოცარი შედეგის წინაშე დადგა. ადგილობრივმა მოსახლეობამ მათ მიბაძა და მეორე დღეს, ავტომობილი გადარცვულ-განადგურებული და სახურავზე ამოტრიალებული დახვდათ.

⁸ Goppinger, H., Kriminologie. 6. Vollständig neu bearbeitete und erweiterte Auflage. Munchen 2008. S. 148.

⁹ Schwind, H-D., Kriminologie. Eine praxisorientierte Einführung mit Beispielen. 17. Auflage 2007. S. 122.

კრიმინალურ დონეს „ნულოვანი ტოლერანტობის“ სტრატეგია დაუპირისპირა. მისი ერთ-ერთი ძირითადი ასპექტი იყო საზოგადოების თავშეყრის ადგილების დასუფთავება და დალაგება (ყოველდღიურად ირეცხებოდა უხამსი შინაარსის კედლის მხატვრობა, წესრიგდებოდა ქუჩები, ავტობუსის გაჩერებები და მეტროს სადგურები), რამაც საგრძნობლად შეამცირა დანაშაულის მაჩვენებელი.

1.2 ეკოლოგიური ანუ სოციალური დეზორგანიზაციის თეორია

კრიმინოლოგიის მეცნიერების განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ჩიკაგოს სკოლის საქმიანობამ, რომელიც ჩამოყალიბდა ჩიკაგოს უნივერსიტეტში პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში.¹⁰ ჩიკაგოს სკოლის გამოკვლევის მთავარ ნაწილს წარმოადგენდა ზონობრივი ჰიპოთეზა, რომელიც მოიცავდა იდეას, რომ ქალაქი ვითარდება კონკრეტული წრეების მეშვეობით, რომელთაგანაც თითოეული წარმოადგენს სოციალური და კულტურული ცხოვრების ზონას. ამ ზონების ხასიათი ძირითადად გამოწვეულია მისი მაცხოვრებლების ხასიათით, და პირიქით, ზონების არქიტექტურული მოწყობა უშუალოდ განაპირობებს მაცხოვრებლების ყოველდღიურ ქცევას. ამ თვალსაზრისით, შეიქმნა ჩიკაგოს სოციალური რუკა,¹¹ რომლის მიხედვითაც ქალაქი ჩიკაგო (სადაც მოსახლეობის რაოდენობა იყო დიდი, ნახევარზე მეტი წარმოადგენდა ემიგრანტებს, გავრცელებული იყო უმუშევრობა, დანაშაულებრივი ქმედებები, ავადმყოფობა და სხვა.) კრიმინალური კუთხით პირობითად დაიყო 5 ზონად. *პირველი ზონა* არის ბიზნეს წრე, ანუ ის ადგილი სადაც ცხოვრობს შედარებით ნაკლები ხალხი, თუმცა საკუთრების ფასი მაღალია. *მეორე ზონა* არის კრიმინოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი. აქ ცხოვრობს დროებითი მოსახლეობა, რომლებიც ღარიბები არიან და იმყოფებიან ცუდ პირობებში. *მესამე ზონაში* გადადის შედარებით ფეხზე მყარად მდგარი ნაწილი ღარიბი საზოგადოებისა ანუ მუშახელი. მესამედან *მეოთხეში* საშუალო შეძლების ადამიანები (საცხოვრებელი ზონა), ხოლო *მეხუთეში* კი, შედარებით მდიდარი ადამიანები (ქალაქის გარე უბნები).¹²

მეორე ზონა წარმოადგენდა სოციალური პრობლემების კერას: იქ იყო დანაშაული, პროსტიტუცია, ამორალური ცხოვრება, ჯანმრთელობის პრობლემები და სიღარიბე, ამასთანავე, აღნიშნული ზონა გამოირჩეოდა მაცხოვრებლების მაღალი მაჩვენებლით, სიმჭიდროვით. ამის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად შეგვიძლია ქალაქის ცუდი არქიტექტურული მოწყობა დავასახელოთ.

2. პირდაპირი კავშირი აგრესიასთან?!

სანამ არქიტექტურისა და აგრესიის ურთიერთკავშირზე ვისაუბრებთ, მნიშვნელოვანია განვმარტოთ თავად აგრესიის ცნება, თუ რას მოიცავს იგი თავის თავში.

¹⁰კოდუა ე., და სხვ. (სარედ. ჯგუფი), სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი - ცნობარი, თბილისი, 2004 წელი, გვ. 329.

¹¹ Schwind, H-D. Kriminologie. Eine praxisorientierte Einführung mit Beispielen. 18 Auflage 2008. S. 139.

¹² შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, თბილისი, 2017 წელი, გვ. 67.

ეტიმოლოგიურად აგრესია ლათინური წარმოშობის სიტყვაა (Aggredi) და ნიშნავს მიახლოებას, ვინმესთვის მიმართვას, ვინმეზე თავდასხმას. დამოუკიდებელ ლიტერატურაში,¹³ აგრესიად მოიხსენიება სპეციფიკურად ორიენტირებული ქცევა, მიმართული ყველა იმ დაბრკოლების მოსაცილებლად ან დასაძლევად, რომელიც ფიზიკური ან/და ფსიქიკური ორგანიზმის მთლიანობას უქმნის საფრთხეს. აგრესიის მოტივად გვევლინება ისეთი ზიანის მიყენება სხვისთვის ან სხვისი ინტერესებისთვის, რომელიც უკუაგდება ფრუსტრაციის (აგრესიის ჰიპოთეზა) წყაროს. შედეგად კი სასიამოვნო ემოციურ ძვრას ელის. სწორედ ასეთი ძვრის მიღწევა არის აგრესიით მოტივირებული ქცევის მიზანი. დღესდღეობით გავრცელებულია აგრესიის არა მარტო ერთი, არამედ სხვადასხვა ფორმა. ჰერმან ფემზახმა გამოყო *ექსპრესიული, მტრული და ინსტრუმენტული აგრესიის სახეები*. *ექსპრესიული* აგრესია მოკლედ იწოდება, როგორც რისხვისა და სიბრაზის ემოციათა უეცარი აფეთქება, რომელიც არ არის მიზანმიმართული და სწრაფად განიმუხტება. ამასთან, როგორც წესი ფრუსტრაციის გამომწვევის მიმართ ზიანის მიყენება არ ხდება ხოლმე. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აპრიორი იგი არ არის სახიფათო. *მტრული* აგრესია სხვისთვის ზიანის მიყენების განზრახვასა და ამ განზრახვის ქცევაში გამოხატვას გულისხმობს (მაგ. სხვისი ცემა). *ინსტრუმენტული* აგრესიის დროს კი აგრესია საშუალებაა მიზნის მისაღწევად (მაგალითად, ბავშვმა ხელი ჰკრა მეგობარს, რათა წაერთვა ბურთი).

რაც შეეხება იმ გარემოებებს, რომლებსაც მივყავართ აგრესიის გამოწვევამდე და მათ კავშირს ქალაქის არქიტექტურასთან, აღნიშნულის საილუსტრაციოდ შევხებით ჩვენს დედაქალაქში არსებულ რამდენიმე კონკრეტულ პრობლემას. კერძოდ, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე თვალმისაცემია ის არაერთი გარემო-პირობა, რომელიც მართალია აგრესიას შეიძლება პირდაპირ არ იწვევდეს, თუმცა ირიბად იყოს მისი მაპროვოცირებელი ფაქტორი. მაგალითად, ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს გადატვირთული სატრანსპორტო მოძრაობა ქალაქში და ზოგადად, უმინაარსოდ დამონტაჟებული საგზაო ნიშნები სავალ გზებზე. თუ სულ რაღაც ერთეული წლის წინ საცობები წარმოიქმნებოდა მხოლოდ ე.წ პიკის საათებში და ცენტრალურ უბნებში, ახლა თითქმის მთელი დღის განმავლობაში შევხვდებით შეზღუდვას ადგილიმდებარეობისდა მიუხედავად. ეს, ერთი მხრივ, გამოწვეულია ავტომობილთა რაოდენობის არანორმალური ზრდითა და მეორე მხრივ, მოუწესრიგებელი საგზაო მდგომარეობით, რაც გამოხატულებას ჰპოვებს არასაკმარის სავალ სივრცეში (ვიწრო ქუჩები, არასაკმარისი სამანქანო გზა); არასწორი ხედვით შექმნილ ესტაკადებში; საგზაო ნიშნების გაუმართაობაში; ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელების (ე.წ ზებრები) მოხმარების წესების დარღვევაში (ხალხი პირდაპირ მთავარ გზაზე გადადის, არ იცავს ელემენტარულ უსაფრთხოების ნორმებს); ავტობუსის გაჩერებების „გადაჭედით“ მდგომარეობაში და მრავალი სხვა. რეალურად, არავის, მითუმეტეს, სამსახურიდან დადლილ-დაქანცულ პიროვნებას, რომელსაც სახლში მიეჩქარება, ან პირიქით აგვიანდება სამუშაოზე, არ სურს თავისი ცხოვრების ძვირფასი 1 საათი დაკარგოს, უბრალოდ, საცობში დგომით, საბოლოო ჯამში, კი არაფერში. ავტომანქანის არც ერთი მძღოლი არ არის მომხრე, როდესაც

¹³<<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90>>.

სასწრაფო სამედიცინო მანქანას გზას ვერ უთობს, რამდენადაც ფიზიკურად არ არის ამის ადგილი. არავის სურს იმგზავროს შემოვლითი გზებით და საბოლოო ადგილას დაგვიანებით მივიდეს და ა.შ.

ყველაფერ ზემოთ ნახსენების შესაბამისად, საზოგადოებაში წარმოიქმნება ნეგატიური ემოციები, ფრუსტრაციის განცდა, რაც საკმაოდ ცუდად მოქმედებს არამარტო მძღოლების, არამედ მგზავრებისა და დანარჩენ პირთა ფსიქიკაზე. სწორედ ამიტომაც შევხვდებით ქუჩებში, საკმაოდ ხშირად, იმპულსურ ქმედებებს დაწყებულს მრავალშინაარსიანი გინებებით და დამთავრებულს ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებამდე, ვუდგებით რა გინების ტერმინოლოგიას საკმაოდ სერიოზულად. გარდა ამისა, აღნიშნული პრობლემა პირდაპირ უკავშირდება ჰაერის დაბინძურებას. კერძოდ, როდესაც ავტომობილთა დიდი რაოდენობა ერთ კონკრეტულ ადგილას არის გაქედული გამონაბოლქვის რაოდენობა მკვეთრად იზრდება და შესაბამისად, ჰაერის დაბინძურების დონე საგრძნობლად მატულობს. ამასთანავე, ჰაერის დაბინძურება იწვევს ჟანგბადში რკინის შემცველობის წარმოქმნა-მომატებას, რაც აისახება სიცოცხლისა თუ ჯანმრთელობისათვის სახიფათო დაავადებების გავრცელებაში. ეს ყველაფერი კი მოსახლეობაში იწვევს სამართლიანი პროტესტის გრძნობას და მამასადამე, წარმოქმნის აგრესიულ ფონს.

კიდევ ერთ ძალზედ მნიშვნელოვან და წინა პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხს წარმოადგენს პარკირების სისტემის გაუმართაობა. მოგვეხსენება, დედაქალაქში არ არსებობს იმ რაოდენობის საპარკირე ადგილები, რომელიც მოსახლეობის მოთხოვნას, თუნდაც 50%-ს, დააკმაყოფილებს. აღნიშნულის საპირწონედ, გაჩერებულ ავტომანქანებს შევხვდებით ისეთ ადგილებზე, როგორცაა მაგალითად ფეხით მოსიარულეთა სავალი ბილიკი, ტროტუარი. შედეგად, ქვეითებს ექმნებათ დიდი უსიამოვნებები როგორც უსაფრთხოების, ისე გადაადგილების მხრივ. ასეთ დროს განსაკუთრებულად ცუდ ვითარებაში არიან შშმ პირები, მშობლები ჩვილის საბავშვო ეტლით გასეირნებისას, ან უბრალოდ პირი, რაიმე მძიმე ნივთის გადატანისას. ეს ყველაფერი კი იწვევს დაუკმაყოფილებლობის, არასრულფასოვნების, წინააღმდეგობის განცდებს, რისი საწყისი ეტაპი ფრუსტრაციაა გადაზრდილი აგრესიაში.

აქვე, სახსენებია მდგომარეობა საზოგადოებრივ ტრანსპორტში, რაზეც დეტალურად არ შევჩერდებით და მხოლოდ ჩამოთვლით შემოვიფარგლებით. მაგალითად, საკმარისი დასასხდომი ადგილების არქონა; გადაჭედული ავტობუსები, სამარშრუტო ტაქსები; კონდიციონერების სისტემა, უჰაერობა (გაუმართაობა, მძღოლების მიერ მათი შეგნებულად არ ჩართვა და მისთ.); სიბინძურე ტრანსპორტში და სხვა. ბუნებრივია, მსგავსი თემებით გამოწვეული უარყოფითი ემოციები იწვევს დაგროვებას, ჩაკვლას საკუთარ თავში, რამდენადაც არ ხდება მათი სათანადო გამოდევნა სხეულიდან, „ემოციებისგან დაცლა“. ამის ერთ-ერთ მიზეზად კი არასრულფასოვანი გარემო-პირობები უნდა დასახელდეს.

ზიგმუნდ ფროიდს მიაჩნია, რომ აგრესიის ენერგია რაღაც ფორმით უნდა გამოვლინდეს, ანუ უნდა მოხდეს მისი განტვირთვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება მისი დაგროვება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მთელი რიგი ფსიქიკური დარღვევები. მის თეორიას უწოდებენ აგრესიის “ჰიდრავლიკურ თეორიას”, რომელიც დახურულ ქვაბში დუდილის მსგავსად მოქმედებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ აგრესიას არ მიეცა გამოვლენის საშუალება, ადრე თუ გვიან “აფეთქდება.” შესაბამისად, ფროიდის აზრით

საზოგადოების მნიშვნელოვანი ფუნქცია მდგომარეობს იმაში რომ შეძლოს ამ ენერჯის რეგულირება, სუბლიმირება, დამანგრეველი ენერჯია მიმართოს საზოგადოებისათვის სასარგებლო ქცევის განხორციელებისაკენ.¹⁴ მოზღვავებული ენერჯიებისგან გამოთავისუფლების მხრივ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რეკრეაციული ზონა და ჯანსაღი გარემო ჩვენს ირგვლივ. მიმოვიხედოთ რა ვითარებაა ქალაქში, ყველგან მშენებლობაა, ყველგან ხდება მწვანე საფარის განადგურება და ერთ დროს გამწვანებული ქალაქისგან დღითიდღე ნაცრისფერ ბეტონის ჩონჩხებს ვიღებთ. ქრება ეზოები, იჩეხება ხეები, ახლის შექმნა კი რატომღაც არავის მოსდის აზრად. რეალურად, მოქალაქეთა უმეტესობას ახალშობილის სუფთა ჰაერზე გასასეირნებლად უწევს რამდენიმე კილომეტრის გავლა. ათეულ მრავალსართულიან კორპუსზე ერთი სტადიონი მოდის, სადაც მოზარდს შეუძლია დრო ჯანსაღად და ნაყოფიერად გამოიყენოს, გაიცნოს ახალი მეგობრები, განვითარდეს, დაიცალოს მოზღვავებული ემოციებისგან და ასე შემდეგ, სულ რომ თავი დავანებოთ ზრდასრული თაობის განტვირთვას. შედეგად ვიღებთ ოთხ კედელში „გამომწყვდეულ“ ადამიანს, რომელსაც შესაძლებლობა არ აქვს თავისუფალი დრო თვითრეალიზაციას, განტვირთვას მოახმაროს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახეზე გვაქვს მძიმე ემოციური ფონი, რასაც ა. აგრესიამდე მივყავართ; ბ. თავად აგრესია ძალადობის წარმოშობის წინაპირობაა; მართალია აგრესია და ძალადობა ხშირად სინონიმებადაც გამოიყენება, თუმცა მათ შორის განსხვავება ქმედების მოტივაციაშია. თუ აგრესია იმპულსური ქმედებაა, ძალადობა ორიენტირებულია მოგების, უპირატესობის მიღებაზე, მოპოვებაზე.¹⁵ გ. ხოლო ძალადობა დანაშაულის ჩადენას განაპირობებს. რობერტ ეგნუს დამაბულობის ზოგადი თეორიის მიხედვით, საზოგადოებაში არსებული სოციალური ზეწოლა და წნეხი უწყობს ანომიური (ბერდ. – „უკანონობა“) გრძობების: ფრუსტრაციის, გაბრაზების, შიშის, ზიზღისა და სხვა ნეგატიური გამოვლინებების, აღნიშნულ ადამიანში წარმოქმნის მოთხოვნილებას გაანეიტრალოს ან შეეწინააღმდეგოს ზეწოლას, წნეხს (რაც მეტია ზეწოლა, მით მეტია წინააღმდეგობის პრინციპი). დანაშაული წინააღმდეგობის ერთ-ერთი საშუალებაა.¹⁶ მაშასადამე, დანაშაულებრივი ქმედებაც ერთგვარი დაცლაა ნეგატიური ენერჯიისა, პროტესტი ზეწოლაზე.

3. კვლევები ქალაქის არქიტექტურული მოწყობისა და დანაშაულის შესახებ

3.1. ოსკარ ნიუმანის კვლევა

ოსკარ ნიუმანმა ჩაატარა კვლევა,¹⁷ რითაც სურდა არქიტექტორებისთვის დაენახებინა თუ რა მნიშვნელოვანი იყო შენობის დაგეგმარების დროს დანაშაულთან ბრძოლის საკითხის, კრიმინოგენური მდგომარეობის გათვალისწინება. ნიუმანმა კვლევის დროს ერთმანეთს შეადარა მსხვერპლად გახდომის მაჩვენებელი 150 000 საცხოვრებელ სახლში, სადაც მთლიანობაში 528 000 ადამიანი ცხოვრობდა. კვლევამ აჩვენა მსხვერპლად გახდომის საგრძნობლად დიდი განსხვავება მაღალსართულიანი სახლების (5 სართულზე მეტი) მაცხოვრებლებში, ვიდრე სამსართულიან სახლებში, სადაც რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა. ნიუმანის თანახმად, დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი იზრდება სახლების სართულების

¹⁴<https://psychocity.wordpress.com/2010/09/22/%E1%83%90-%E1%83%92-%E1%83%A0-%E1%83%94-%E1%83%A1-%E1%83%98-%E1%83%90/> >.

¹⁵ შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, თბილისი, 2017 წელი, გვ. 231.

¹⁶ Goppinger, Kriminologie, 6, vollstandig neu bearbeitete und erweiterte Auflage, Muncen 2008, s, 155.

¹⁷ Newman, O, Design Guidelines for Creating Defensible Space, Washington 1976.

მაჩვენებლის მიხედვით, თუმცა, ამავე დროს გასათვალისწინებელია მცხოვრებლების სოციალური სტრუქტურა, მდგომარეობა. ნიუმანის მიხედვით, მსხვერპლად გახდომის რისკი იზრდება მაღალსართულიანი სახლების შემთხვევაში, რადგან: ა). ასეთ სახლებს ერთზე მეტი შესასვლელი (გასასვლელი) აქვს და რთულია დანაშაულის კონტროლი; ბ). მცხოვრებლებს შორის არასაკმარისი კომუნიკაცია. აქ მცხოვრებლების დიდი ნაწილი ანონიმურად ცხოვრობს და მეზობლებს არ იცნობს; გ). საერთო სარგებლობის ლიფტები, კორიდორები და შესასვლელები, სადაც დანაშაულის დიდი ნაწილი ხდება (მაგ. ნიუმანის კვლევა აჩვენა, რომ ამ ადგილებში ყაჩაღური თავდასხმების 84% ხდებოდა, ხოლო მარტო ლიფტში მათი ნახევარი).¹⁸ აღნიშნულისგან საპირისპიროდ, ნიუმანის აზრით, საცხოვრებელი ადგილები, რომლებიც გარეშე პირებისთვის (მათ შორის დამნაშავეებისთვისაც) დაკეტილი და კონტროლირებული გამოიყურება, ნაკლებად ხდება დანაშაულის ჩადენის ადგილი.¹⁹ ერთ საცხოვრებელ ადგილას რამდენიმე ოჯახის ცხოვრება ამალღებს აქ მცხოვრებლების სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობას. ნიუმანი ფიქრობს, რომ რამდენიმესართულიანი სახლები, სადაც 6-9 ოჯახი ცხოვრობს, ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს პასუხისმგებლობა იგრძნონ აქ არსებულ მდგომარეობაზე.²⁰

3.2. კვლევა „სტალინური“ და „ტოტალიტარული“ არქიტექტურის შესახებ

გასული საუკუნის ბოლოს ფსიქოლოგიის პროფესორის ლალი სურმანიძის მიერ ქ. თბილისის არქიტექტურული სიმბოლოების აღქმადობის შესახებ ჩატარდა ექსპერიმენტი.²¹ ცდისპირებს აჩვენეს გასული საუკუნის 30-50-იან წლებში აშენებული ე.წ „სტალინური“ და 60-80-იან წლებში აშენებული „ტოტალიტარული“ არქიტექტურული ნაგებობის ფოტოსურათები.²² ცდაში მონაწილე პირს ევალებოდა შენობის ფოტოსურათის ნახვისთანავე დაუფიქრებლად ამოერჩია ექსპერიმენტატორის მიერ ფურცელზე დახატული ფიგურებიდან ერთ-ერთი: წრე ან ტეხილი. ²³

იუნგის კონცეფციის თანახმად, წრე მიჩნეულ იქნა ისეთ არქიტექტურულ ფიგურად, ხელოვნურად შექმნილ ობიექტად, „არაცნობიერ ხატად“, რომელიც ამთლიანებს და უკონფლიქტოს ხდის ადამიანის ფსიქიკას („ადამიანის სასიცოცხლო ველში პოზიტიურად არის ჩართული“), ხოლო ტეხილი, „მიშველი ბოლოებითა და ასიმეტრიული წახნაგებით, გაუმთლიანებლობის, დაუსრულებლობის, და შესაბამისად, ფსიქიკური დისკომფორტის, ადამიანის ფსიქიკური მთლიანობის დარღვევის არაცნობიერ ასახვად“. ²⁴

¹⁸ Schwind, H-D/. Kriminologie. Eine praxisorientierte Einführung mit Beispielen. 23. Auflage, Heidelberg 2016, s. 370.

¹⁹ Newman, O, Architectural design for crime prevention. Washvington 1976, p. 188.

²⁰ Schmit, K, stadtebau und kriminalitat: Untersuchung des Einflusses von kriminalpravemtiven Erkenntnissen im Rahmen stadtebaulicher projekte in Mecklenburg-Vorpommern, Monchengladbach 2016, s. 87.

²¹ სურმანიძე ლ. / ლომინიევილი ლ., ადამიანის აღქმაში არქიტექტურული არტეფაქტისადმი მიმართების შესახებ, „ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი“ N.3, 2000 წელი, გვ. 9-28.

²² ცდისპირებმა „სტალინური“ არქიტექტურის ნიმუშად ნახეს თბილისში რუსთაველის გამზირზე „იმელის“ და ყოფილი საქართველოს ფოსტის, მარჯანიშვილზე თბს - ბანკის და სხვა შენობის სურათი, ხოლო „ტოტალიტარული“ არქიტექტურის ნიმუშად კი ნახეს მრავალსართულიანი (8 სართულიანი) კორპუსის სურათები.

²³ შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, თბილისი, 2017 წელი, გვ. 245.

²⁴ სურმანიძე ლ. / ლომინიევილი ლ., ადამიანის აღქმაში არქიტექტურული არტეფაქტისადმი მიმართების შესახებ, „ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი“ N.3, 2000 წელი, გვ. 19.

აღნიშნული ექსპერიმენტით შესაძლებელი გახდა დადგენილიყო ექსპერიმენტში მონაწილე პირების ასოციაციები და შესაბამისად, მათ მიმართ არაცნობიერში მიმდინარე (არსებული) დადებითი თუ უარყოფითი პროცესები მოცემული ნაგებობების მიმართ. ექსპერიმენტის შედეგად დადგინდა, რომ გასული საუკუნის 30-50-იან წლებში აშენებული ე.წ „სტალინური“ შენობები ცდისპირებში აღძრავს პოზიტიურ ემოციებს, „ადამიანის სასიცოცხლო ველში პოზიტიურად არის ჩართული“, ხოლო 60-80-იან წლებში აშენებული „ტოტალიტარული“ არქიტექტორული ნაგებობები - უარყოფით ემოციებს. ისინი „ადამიანის სასიცოცხლო ველში ნეგატიურად არის ჩართული“.²⁵

3.3. მაღალსართულიანი სახლები და სოციალური კონტროლი

სოციალური კონტროლი საზოგადოებრივი წესრიგის ნაწილია. იგი შეიძლება იყოს ფორმალური და არაფორმალური. ფორმალურ სოციალურ კონტროლს ახორციელებენ სამართალდამცავი ორგანოები, ხოლო არაფორმალურს, მოქალაქეები.²⁶ მოქალაქე, რომელიც დაინახავს დანაშაულებრივ ქმედებას ატყობინებს სამართალდამცავ ორგანოებს და ამით ცდილობს დანაშაულის კონტროლში თავისი წვლილი შეიტანოს. გერმანელ კრიმინოლოგთა აზრით, ჩადენილ დანაშაულთა მხოლოდ 10% ხდება სამართალდამცავი ორგანოებისათვის საკუთარი სამსახურებრივი საქმიანობიდან ცნობილი, ხოლო ჩადენილი დანაშაულის 90% მოქალაქეთა შეტყობინების შედეგია. თუ მაღალსართულიან სახლებში მცხოვრებლები ცდილობენ ანონიმურად იცხოვრონ, როგორც ამას კვლევები ადასტურებენ, მაშინ მათი მხრიდან დანაშაულის შეტყობინება ნაკლები იქნება. სამართალდამცავი ორგანოებისათვის რთულია ისეთ ადგილებში მუშაობა, სადაც მოსახლეობა ანონიმურად ცხოვრობს და არ თანამშრომლობს გამოძიებასთან. ქართული რეალობიდან გამომდინარე კი ასეთ მაღალსართულიან საცხოვრებელ სახლებში ხშირია სიახლოვე თავად დამნაშავესთან, რაც ასევე ხელს უშლის დანაშაულის მოწმეს ითანამშრომლოს გამოძიებასთან.²⁷

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია საცხოვრებელი გარემოს კავშირი დანაშაულთან. ადამიანის სოციალიზაცია მიმდინარეობს ოჯახში. სოციალიზაციის თვალსაზრისით, საცხოვრებელი გარემოს მნიშვნელოვანი ფაქტორებია: მისი ადგილმდებარეობა, ინფრასტრუქტურა და სოციალური გარემო, მაცხოვრებლების რაოდენობა, საცხოვრებლის მოწყობა (ოთახების განაწილება).²⁸ პირველ რიგში, საინტერესოა იმის გარკვევა თუ როგორ არის საცხოვრებელ ადგილას მაცხოვრებლების (ოჯახების) რაოდენობა განაწილებული.²⁹ თუ ოჯახების რაოდენობა მაღალია, ხოლო საერთო სარგებლობაში არსებული ფართის მოცულობა მცირე, ამან შესაძლოა გამოიწვიოს მშობლების დამაბულობა და უკმაყოფილება, რაც უარყოფითად აისახება ბავშვების აღზრდაზე (მშობელი იქნება მუდმივად გაღიზიანებული და აგრესიული, მათ შორის საკუთარი ოჯახის წევრების მიმართ). ამ მხრივ

²⁵ იქვე, გვ. 24.

²⁶ Muller, N, kriminalpravention durch Baugestaltung. Berlin 2015, S. 35,36.

²⁷ შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია. თბილისი. 2017 წელი, გვ. 27, 246.

²⁸ Kube. E, stadtebau, wohnarchitektur und kriminalitat, prevention statt reaction, Heidelberg 1982, s. 66.

²⁹ Flade, A, Jugendkriminalitat in Neusidlungen, Eine empirische Untersuchung, Belitz Forschungsberichte, Weinheim 1984 s. 88.

მეტად საინტერესოა ქ. თბილისის სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიის დასახლება, სადაც ოჯახების რაოდენობა მაღალია, ხოლო მათ მიერ გამოსაყენებელი ფართის (სასეირნო ადგილის, ავტოსადგომის, სპორტული აქტივობის) ძალიან ცოტა, რაც ხშირად ხდება კონფლიქტური სიტუაციების წარმოშობის მიზეზი. ასევე მნიშვნელოვანია, თავად საცხოვრებელ ბინებში მცხოვრები პირების რაოდენობა. კაუფმანის კვლევამ დაადგინა, რომ რაც უფრო პატარაა საცხოვრებელი ბინა მით უფრო ნაკლებია მშობლების (დედების) მხრიდან შვილებზე მზრუნველობა. და ბოლოს, აღსანიშნავია, ინფრასტრუქტურული თვალსაზრისის არსებობაც.

დასკვნა

ზემოთ ნახსენებ ნაშრომში განვიხილეთ ქალაქის არქიტექტურის ზემოქმედება უშუალოდ დანაშაულის ჩადენაზე. ამასთან, ზეგავლენა შესაძლოა არ გამომდინარეობდეს პირდაპირ, არამედ ირიბად იწვევდეს დანაშაულის პროვოცირებას.

როგორც ვხედავთ, ქალაქის არქიტექტურასთან კავშირში განიხილება არა მხოლოდ შენობა-ნაგებობები, არამედ ყოველდღიური გარემო ჩვენს ირგვლივ, რომელიც განაპირობებს ემოციური განწყობის წარმოქმნას. მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრებისა და დროის ნაყოფიერად გამოყენების საკითხზე. შესაბამისად უნდა შეიქმნას რეკრეაციული ზონები (და არსებული მოწესრიგდეს), სადაც პიროვნებას შეეძლება, სულ ცოტა, განიტვირთოს; ამასთან, აუცილებელია, მკაცრად გაკონტროლდეს მაღალსართულიანი შენობების აშენების საკითხი. კერძოდ, მხედველობაში იქნას მიღებული მშენებლობის ადგილმდებარეობა, ბუნებრივი საფარის გაჩეხვა-განადგურების რისკი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოხდეს შენობის აშენებით მიღებული სარგებლისა და გამოწვეული ნეგატიური შედეგების შეპირისპირება; გარდა ამისა, ძირფესვიანად შესაცვლელია ქალაქის პარკირებისა და საგზაო მოძრაობის სისტემა (მაგალითად, არ იქნება ურიგო აშენდეს მიწის ზედა მაღალსართულიანი პარკირების შენობა-ნაგებობები, მოწესრიგდეს მდგომარეობა გზებსა და ტროტუარებზე, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ დონეზე). მოქალაქე დროს საკუთარ განვითარებას, ოჯახს, მომავლის უზრუნველყოფას უნდა ახმარდეს და არა საცობში დგომას, უარყოფითი ენერჯის შეძენა-გაცემას და ასე შემდეგ; ამ ყველაფერთან ერთად, საჭიროა დასუფთავდეს როგორც ცენტრალური, ისე პერიფერიული ქუჩები, უბნები, სანქციონირებულ იქნას ეკოლოგიური დანაშაული, გაკონტროლდეს ისეთი რაიონები, სადაც მაღალია კრიმინოგენული მაჩვენებელი. შედეგად, საზოგადოება უფრო დაცულად იგრძნობს თავს და გააცნობიერებს, რომ სახელმწიფო ზრუნავს მოქალაქეთა კეთილდღეობაზე და ქალაქი უპატრონოდ არ არის დატოვებული.

ზემოთ დასახელებულ პრობლემებთან შედარებით კი ყველაზე მნიშვნელოვანია რეალურად საზოგადოებაში ყურადღება მიექცეს არქიტექტურის (ფართო გაგებით) კავშირის გაანალიზებას დანაშაულის ჩადენასთან. ერთი შეხედვით უპრობლემო და უმნიშვნელო თემამ შესაძლოა სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანოს უახლოეს მომავალში. შესაბამისად, ქმედითი ზომები დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს.

კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის პრობლემები საქართველოში

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი შეეხება სააღსრულებო სისტემის ბოლოდროინდელ ცვლილებებს, კერძოდ კი კერძო სააღსრულებო სისტემის, როგორც ახალ ინსტიტუტს შემოღებას საქართველოში, მისი განვითარების ეტაპებსა და არსებულ პრობლემებს. ინსტიტუტის უკეთ გაანალიზების, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების უკეთ წარმოჩენის მიზნით ნაშრომში განხილულია ევროპის რამდენიმე ქვეყნის მაგალითიც. ნაშრომი ასევე მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი, მისი ადგილი აღსრულების სისტემაში და კერძო აღმასრულებლის უფლებების სამართლებრივი საფუძვლები. ნაშრომში ასევე განხილულია ის ასპექტები, რომლებიც მისი საქმიანობის მიმართულებებსა და უფლებებს განაპირობებს.

კერძო აღმასრულებელი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ (შემდგომში- სააღსრულებო წარმოებათა შესახებ) საქართველოს კანონის თანახმად არის ფიზიკური პირი, რომელიც საჯარო უფლებამოსილებას – სააღსრულებო საქმიანობას, ახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული სააღსრულებო საქმიანობის, ლიცენზიის საფუძველზე, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი საქართველოში 2009 წელს ევროპული პრაქტიკის გაზიარების საფუძველზე შეიქმნა, რომელიც მიზნად ისახავდა აღსრულების ისეთი ალტერნატიული მექანიზმის ჩამოყალიბებას, რომელიც საჯარო აღსრულებასთან შედარებით იქნებოდა უფრო იაფი, სწრაფი და ეფექტიანი, თუმცა შექმნისთანავე დაიწყო მისი საკანონმდებლო თუ ფაქტობრივი შეზღუდვები. კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის მიმართ შექმნისთანავე დაწესდა გარკვეული ტიპის ბარიერები, რომლებიც ცხადყოფს, რომ ამ ტენდენციის შენარჩუნება გამოიწვევს კერძო აღსრულების ფუნქციის დაკნინებასა და მის არაფორმალურ გაუქმებას.

მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ აღნიშნული ბარიერების შექმნით კერძო აღმასრულებელი თავის მოვალეობას ვეღარ ასრულებს ისე ეფექტიანად, როგორც ეს თუნდაც ევროპის სხვა ქვეყნებში ხდება, რადგან მას საბოლოოდ მაინც აღსრულებისათვის ესაჭიროება აღსრულების პოლიციის დახმარება და ჩარევა, რაც დროში იწელება და ემსგავსება საჯარო აღსრულებას, ვინაიდან აღსრულების პოლიცია ჯერ მაინც საჯარო აღსრულების საკითხებითა უმეტესწილად დაკავებული და შემდგომ ხდება კერძო აღმასრულებლის მოთხოვნათა დაკმაყოფილება. ეს კი ხელს უშლის და აკნინებს კერძო აღმასრულებლის არსს, ზოგადად, ვინაიდან კერძო აღმასრულებლის ერთ-ერთ დადებით მხარედ ხომ მისი სწრაფი და ეფექტიანი აღსრულების ღონისძიებები ითვლება და თუ ესეც დროში გაიწელება და გაუტოლდება საჯარო აღსრულების ღონისძიებებს მისი არსებობაც აზრს მოკლებული იქნება საბოლოოდ. ამიტომ აუცილებელია სახელმწიფომ, რომელმაც ერთ დროს, თავის თავზე აიღო ამ ინსტიტუტის შემოღება ვალდებულია შექმნას ისეთი პირობები და მოუხსნას მას ამ ეტაპისათვის დაწესებული ისეთი ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის მის ეფექტიან საქმიანობას.

1. კერძო აღმასრულებელი

2008 წლის 19 დეკემბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით შეიქმნა კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი, რომელმაც გარკვეულწილად გაინაწილა ე.წ საჯარო აღმასრულებლის ფუნქციები. მისი უფლება-მოვალეობები, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის გარდა მოწესრიგებულია იუსტიციის მინისტრის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

კერძო აღმასრულებელი ფიზიკური პირია, რომელიც სააღსრულებო საქმიანობას, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე, ახორციელებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.¹ ლიცენზიის გაცემით მას მიენიჭება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების უფლება. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი იცნობს სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის ცნებას.² სწორედ იგი გაიცემა კერძო აღმასრულებელზე. რამ გამოიწვია აღნიშნული საკითხის სწორედ ამ კანონით მოწესრიგების საკითხი, ამის შესახებ პასუხს თავად კანონის მე-2 მუხლში ამოვიკითხავთ. საქმიანობა ლიცენზიით ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ იგი ეხება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების სფეროს.³ კერძო აღმასრულებლის დანიშვნამდე გასავლელია ლიცენზირების, ხოლო შემდეგ რეგისტრაციის პროცედურა სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, გასცემს აღსრულების ეროვნული ბიურო ფიზიკური პირის განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.⁴ ლიცენზიის თაობაზე განცხადების წარდგენა ხდება ფიზიკური პირის მიერ, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: არის ქმედუნარიანი საქართველოს მოქალაქე, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, ჩაბარებული აქვს აღმასრულებლის საკვალიფიკაციო გამოცდა ან მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო ან სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალობით, აქვს „კერძო აღმასრულებლის სამუშაო ადგილის მოწყობის წესის დამტკიცების თაობაზე“ იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 29 ივნისის №116 ბრძანების შესაბამისად აღჭურვილი სამუშაო ადგილი და ამ მოთხოვნების დამადასტურებელ დოკუმენტაციას განცხადებასთან ერთად წარადგენს აღსრულების ეროვნულ ბიუროში. აღნიშნულ დოკუმენტებთან ერთად ფიზიკურმა პირმა ასევე უნდა წარადგინოს ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძველების არარსებობის თაობაზე ხელმოწერილი დოკუმენტი, ასევე სამუშაო ადგილის მისამართი და საჯარო რეესტრიდან ამონაწერი იმ უძრავი ქონების საკუთრების თაობაზე, სადაც უნდა განთავსდეს კერძო აღმასრულებლის სამუშაო ადგილი, ან ამ უძრავი ქონების მესაკუთრის თანხმობა სააღსრულებო საქმიანობის განხორციელებაზე.⁵ სააღსრულებო საქმიანობის დაწყების მომენტი პირდაპირ კავშირშია კერძო აღმასრულებლის რეესტრაციასთან კერძო აღმასრულებელთა რეესტრში, რომელსაც ახორციელებს აღსრულების ეროვნული ბიურო. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონით სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზიის შეჩერების ორი საფუძველი გვაქვს: პირველი, სამუშაო ადგილის შეცვლა, ვიდრე იგი ამის თაობაზე აცნობებს აღსრულების ეროვნულ ბიუროს და მეორე, ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილება გამოვა.

სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 146 მუხლის მე-3 და 3 3 პუნქტებით შესაძლებელია კერძო აღმასრულებელთა ურთიერთ-თანამშრომლობა და გაერთიანება. ორ ან ორზე მეტ

¹ სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონი, 1999 წ. მუხლი 146

² საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ, 26/04/2005, მე-6 მუხლი, 86-ე პუნქტი <https://matsne.gov.ge/document/view/26824?publication=78>

³ იქვე: მუხლი 2 <https://matsne.gov.ge/document/view/26824?publication=78>

⁴ სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონი, 1999 წ. მუხლი 148

⁵ სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონი, 1999, მუხლი 149

კერძო აღმასრულებელს შეიძლება ჰქონდეს საერთო სამუშაო ადგილი, ხოლო უფლება-მოვალეობები განსაზღვრონ მათ შორის დადებული ხელშეკრულებით. ასეთ შემთხვევაში თითოეული მათგანი სააღსრულებო საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. კერძო აღმასრულებელს ასევე უფლება აქვს გაერთიანდეს სხვა კერძო აღმასრულებელთან, ადვოკატთან, აუდიტორთან და ნოტარიუსთან ერთად ისე, რომ ჩამოაყალიბოს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სამეწარმეო სუბიექტთაგან ერთ-ერთი, გარდა სააქციო საზოგადოებისა.⁶ მაგალითად: შეიძლება არსებობდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შპს) ფორმით, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების (სპს) ფორმით და ა.შ. ნოტარიუსის მონაწილეობა კი ასეთ გაერთიანებაში სავალდებულოა.

რაც შეეხება კერძო აღმასრულებლის საქმიანობის ადგილს, კერძო აღმასრულებლის ოფისის მოთხოვნებთან დაკავშირებით არსებობს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 29 ივნისის №116 ბრძანებით დამტკიცებული „კერძო აღმასრულებლის სამუშაო ადგილის მოწყობის წესი“. ამ „წესის“ მე-4 პუნქტის თანახმად, კერძო აღმასრულებლის ოფისი (ბიურო) უნდა იყოს არანაკლებ 20 მ2 კაპიტალური ფართობის, სათანადოდ დაცული (ხმოვანი სიგნალიზაციით ან სპეციალური დაცვით) და საკომუნიკაციო-საოფისე ტექნიკით (ტელეფონი, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერი, რომელშიც აგრეთვე განთავსებულია სააღსრულებო საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამა, პრინტერი, სკანირების აპარატი, დოკუმენტაციის განთავსებისა და სათანადო შენახვისათვის აუცილებელი სხვა ინვენტარი) აღჭურვილი. კერძო აღმასრულებელს ოფისში აუცილებლად უნდა ჰქონდეს დოკუმენტაციის განთავსებისა და სათანადო შენახვისათვის აუცილებელი ინვენტარი, მათ შორის დასრულებული სააღსრულებო წარმოების შესაბამისი დოკუმენტაციის შესანახად, ვიდრე იგი მიმართავს აღსრულების ეროვნული ბიუროს არქივს. ამკრძალავი ხასიათის ნორმას წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრის №220 ბრძანება.⁷ ბრძანების მე-5 პუნქტის მიხედვით არ შეიძლება ბიურო განთავსებული იყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის, სანოტარო ბიუროს, საგანმანათლებლო ან გასართობი დაწესებულების შენობაში. რაც შეეხება აბრას, რომელიც წარმოადგენს ინფორმაციას, რომ იქ მდებარეობს კერძო აღმასრულებლის ოფისი, ოფისის შესასვლელში უნდა იყოს განთავსებული აბრა, სააღსრულებო საქმიანობისა და კერძო აღმასრულებლის (საერთო ოფისის შემთხვევაში, თითოეულის) სახელისა და გვარის აღნიშვნით. აბრა შეიძლება შეიცავდეს დამატებით აღნიშვნებსაც. კერძო აღმასრულებლის ოფისში ასევე თვალსაჩინო ადგილას უნდა იყოს გამოკრული სააღსრულებო საქმიანობის ლიცენზია. კერძო აღმასრულებელს არ ეკრძალება სააღსრულებო საქმიანობის რეკლამირება.⁸

2. მონიტორინგი, კონტროლი და პასუხისმგებლობა

კერძო აღმასრულებლის საქმიანობაზე მონიტორინგის განხორციელება და პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 21 ივლისის №140 ბრძანების საფუძველზე. პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 1441 მუხლის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტების დარღვევა, კერძოდ, კანონის და შესაბამისი ნორმატიული აქტის მნიშვნელოვანი და სისტემური დარღვევა, რაც არსებით ზიანს აყენებს

⁶ საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, 28/10/1994, მუხლი 2, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/36958?publication=0>

⁷ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №220 . „დასრულებულ სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შენახვის წესისა და პირობების“ შესახებ

⁸ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 29 ივნისის №116 ბრძანება

კერძო და საჯარო ინეტერსებს და კერძო აღმასრულებლისათვის შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება, რომელშიც შეიძლება მოვიპოვოთ ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. ბრძანების მე-2 მუხლის თანახმად, კერძო აღმასრულებლის მიმართ პასუხისმგებლობის ზომის სახით შეიძლება გამოყენებული ქნეს გაფრთხილება ან სააღსრულებო წარმოების ლიცენზიის გაუქმება. კერძო აღმასრულებლის საქმიანობაზე მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია, რომელიც ამავე ბრძანების მე-5 მუხლის მოთხოვნათა დაცვით უზრუნველყოფს შესაბამის დასკვნას აღსრულების ეროვნულ ბიუროს და იგი იღებს გადაწყვეტილებას კერძო აღმასრულებლის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრების მიზანშეწონილობის თაობაზე. დარღვევის დადასტურების ან არარსებობის შემთხვევაში აღსრულების ეროვნული ბიურო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც გასაჩივრდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით. კერძო აღმასრულებლის მიმართ გაფრთხილების გამოყენებისას, თუ წლის განმავლობაში ისევ განმეორდება დარღვევა, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ლიცენზიის გაუქმების ზომა. ბრძანებით დადგენილია ასევე პასუხისმგებლობის დაკისრების ხანდაზმულობის ვადა და იგი მე-7 მუხლის მიხედვით შეადგენს 3 წელს.

კერძო აღმასრულებლისათვის ლიცენზიის შეჩერების ან გაუქმების შემთხვევაში სააღსრულებო წარმოებას აგრძელებს აღსრულების ეროვნული ბიურო ბოლო განხორციელებული მოქმედებიდან სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს 1445 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით. ასეთ შემთხვევაში კრედიტორი თავისუფლდება აღსრულების საფასურის წინასწარ გადასახდელი თანხის გადახდისაგან, ხოლო კერძო აღმასრულებლისათვის წინასწარი საზღაურის სახით გადახდილი თანხა დაბრუნდება აღსრულების შედეგად ამოღებული თანხის პროპორციულად.

3. საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა

კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი ყველაზე ადრე 2002 წელს ლიტვაში და ყველაზე გვიან 2012 წელს სერბეთში ჩამოყალიბდა. კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის ჩამოყალიბების მიზეზები შეიძლება უკავშირდებოდეს როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს, ისე ქვეყნის შიგნით სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ეფექტიანი სისტემის შექმნას აღსრულების პროცედურის გამარტივებას, აღსრულების ეფექტიანობის წახალისებასა და სამართალწარმოების გამარტივებას.⁹

ლიტვაში სახელმწიფო აღმასრულებლების ინსტიტუტი კერძო აღმასრულებლების ინსტიტუტმა ჩაანაცვლა 2002 წელს. მისი შექმნის მიზანს წარმოადგენდა საბიუჯეტო ხარჯების შემცირება. შედეგად, თუ 2002 წლამდე სახელმწიფო აღმასრულებლებზე ლიტვის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 10 მილიონი ლიტვური ლიტი გამოიყოფოდა, დღეს ამ ინსტიტუტის არსებობა სახელმწიფო ბიუჯეტის დანახარჯებს აღარ მოითხოვს. ლიტვაში კერძო აღმასრულებელთა ინსტიტუტის წარმატებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ, თუ სახელმწიფო აღმასრულებელთა აღსრულების ეფექტიანობა 5,5% შეადგენდა, დღეს კერძო აღმასრულებელთა აღსრულების ეფექტიანობა 6-ჯერ მაღალია. თუმცა, კერძო აღმასრულებლებთან დაკავშირებით მთავარ პრობლემად მათი მომსახურების მაღალი განაკვეთი სახელდება, რომელიც ამოსაღები თანხის 4-დან 20 პროცენტამდე შეადგენს.¹⁰

⁹ კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი საერთაშორისო მიმოხილვა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. ანალიტიკური დეპარტამენტი, 2014

¹⁰ Lithuania Law on the Bailiff

სერბეთში კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი ევროპის საბჭოს და მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) რეკომენდაციის საფუძველზე 2012 წლის 17 მაისს შეიქმნა, აღსრულებისა და უზრუნველყოფის შესახებ სერბეთის კანონის საფუძველზე. კერძო აღმასრულებლის იურისდიქცია თავისი სააღსრულებლო კომპეტენციაში არსებული ტერიტორიის სასამართლო იურისდიქციას ემთხვევა. კანონმდებელი განსაზღვრავს ყოველ 25000 მცხოვრებზე ერთი კერძო აღმასრულებლის დანიშვნას, რასაც საფუძველად უდევს ქვეყანაში საოლქო სასამართლოების დანაწილების პრინციპი ტერიტორიული ოლქების მიხედვით. შესაბამისად, აღმასრულებელთა საერთო ოდენობა სახელმწიფოში, დაახლოებით, 334-ს უნდა შეადგენდეს, თუმცა, ეს რიცხვი 130-ით შემოიფარგლება – სერბეთის ზოგიერთ რეგიონს არცერთი კერძო აღმასრულებელი არ ჰყავს, ხოლო კერძო აღმასრულებელთა დიდი ნაწილი ბელგრადისა და სერბეთის სხვა რამდენიმე დიდი ქალაქის ირგვლივ არის კონცენტრირებული, რომლის მიზეზადაც შეიძლება დასახელდეს ის ფაქტი, რომ სასამართლო იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნით აცხადებს აღმასრულებელთა კონკურსს მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიულ ერთეულებზე. სერბეთში კერძო აღმასრულებლის პარალელურად სასამართლო აღმასრულებლის ინსტიტუტი მოქმედებს, რომელიც, ასევე, ტერიტორიული ოლქის სასამართლოს იურისდიქციაზეა მიბმული. 45 კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის უპირატესობაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ მათ მიერ აღსრულება გაცილებით სწრაფად ხორციელდება, ვიდრე სასამართლო აღმასრულებლების მიერ. 46 კერძო აღმასრულებელთა მიერ საქმეების აღსრულების მაჩვენებელი 30%-ს შეადგენს, სასამართლო აღმასრულებლების კი მხოლოდ 5%-ით შემოიფარგლება.¹¹

რაც შეეხება **დიდ ბრიტანეთს**, აქ არსებობს ორი სახის აღმასრულებლის ინსტიტუტი: ეროვნული და კერძო. ეს უკანასკნელი დღეს მოქმედი სახით ფუნქციონირებს 2004 წლის 1 აპრილიდან. კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის დაარსების ძირითად მიზანს წარმოადგენს გადაწყვეტილებების აღსრულებისა და ფიზიკური თუ იურიდიული პირის დავალიანებების დაფარვის ეფექტიანი სისტემის შექმნა. დიდ ბრიტანეთში 2004 წლის 1 აპრილიდან არსებობს ყველა სერტიფიცირებული აღმასრულებლის რეესტრი (certificated bailiff register), რომელიც განთავსებულია იუსტიციის სამინისტროს საიტზე.¹² ამჟამად დარეგისტრირებულია 1 592 სერტიფიცირებული აღმასრულებელი. მოსახლეობის მეტი ინფორმირებულობისათვის, ასევე, არსებობს უმაღლესი სასამართლოს აღმასრულებლების ცალკე ცნობარი (The Directory of High Court Enforcement Officers). დიდ ბრიტანეთში საქმიანობის სფეროს მიხედვით განასხვავებენ 4 ტიპის აღმასრულებლებს: კერძო აღმასრულებელი (**სპეციალური სერტიფიკატის გარეშე**) – მოვალისთვის ვალის გადახდევინებაზე მოლაპარაკებების წარმოების გარდა არ არის აღჭურვილი სხვა უფლებებით (მაგ.: არ შეუძლია ქონების ჩამორთმევა და მისი გაყიდვა). ინიშნება მოვალის მიერ.

სერტიფიცირებული კერძო აღმასრულებელი – საოლქო სასამართლოს მიერ ავტორიზებული აღმასრულებელი, რომელიც უფლებამოსილია, უზრუნველყოს კომერციული ფართის იჯარით აღებასთან დაკავშირებული დავალიანების გადახდევინება. ამ ჯგუფში შემავალ აღმასრულებლებს, ასევე, შეუძლიათ კერძო სექტორში წარმოშობილი სხვა დავალიანებების გადახდევინება. მათ კომპეტენციაში შედის საგადასახადო დავალიანებების, მანქანის არასწორი პარკირებისათვის გადაუხდელი ჯარიმების, არასრულწლოვნის მოვლასთან დაკავშირებული ხარჯებისა და სამეფო კარის შემოსავლების ამოღება.

საოლქო სასამართლოს აღმასრულებელი – სახელმწიფო მოხელე, რომელიც სამეფო კარის სასამართლოებისა და ტრიბუნალის სამსახურის თანამშრომელია. ის აღსრულებს სასამართლო

¹¹ https://arhiva.mpravde.gov.rs/images/Law%20on%20enforcement%20proceedings_180411.pdf
Serbian Law on Enforcement and Maintenance 2008.

¹² <https://www.gov.uk/government/organisations/the-national-archives>

გადაწყვეტილებებს ფულადი ვალდებულებების დაკისრებისა და საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით ან კერძო პირების დავალიანებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს 5000 ფუნტ სტერლინგზე ნაკლები თანხის ოდენობით.

უმაღლესი სასამართლოს აღსრულების ოფიცრები – აღსრულებენ იმავე ტიპის სასამართლო გადაწყვეტილებებს, რასაც – საოლქო სასამართლოს აღმასრულებლები. ისინი მოქმედებენ სააღსრულებო ბრძანების (writ of execution) ფარგლებში და აღსრულებენ უმაღლესი სასამართლოსთვის (High Court) აღსრულების განსახორციელებლად გადაცემულ საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებებს. კერძო აღმასრულებელსა და აღსრულების ეროვნულ სამსახურში მომუშავე აღმასრულებლებს შორის სხვაობა ანაზღაურებაშია. კერძო აღმასრულებლის ანაზღაურება დამოკიდებულია ამოღებული თანხის ოდენობაზე, მაშინ, როცა აღსრულების ეროვნულ სამსახურში არის ფიქსირებული განსაზღვრული ყოველთვიური სარგო.¹³

როგორც აღნიშნული ანალიზიდან ჩანს, კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი საკმაოდ წარმატებულად მოქმედებს ევროპის წამყვან ქვეყნებში და აღსრულების საკითხებთან მიმართებაში დიდი პრიორიტეტით სარგებლობს რაზეც მის მიმართ მაღალი მიმართვიანობა და ინტერესი მიუთითებს.

4. საქართველოს პრაქტიკა

როგორც ზემოთ აღვნიშნე საქართველოში კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი საკმაოდ მკაფიო შეზღუდვებს განიცდის, რითაც მისი ფუნქციონირებისა და ზოგადად არსებობის საკითხიც კი ეჭვქვეშ შეიძლება დადგეს.

ევროკავშირის რეკომენდაციების, მისი ფინანსური და ტექნიკური დახმარების მეშვეობით, კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი საქართველოში 2009 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა. შესაძლო ხარვეზების თავიდან აცილების მიზნით, ახალშექმნილი ინსტიტუტი დაკვირვებას, დახვეწას და ნდობის დამსახურებას საჭიროებდა. აქედან გამომდინარე, კერძო აღმასრულებლებს იმთავითვე დაუწესდათ რამდენიმე საკანონმდებლო შეზღუდვა:

- აუქციონის ჩატარების ექსკლუზიური უფლება მიეცა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს;
- ბანკებში საინკასო დავალების გაგზავნისას ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით სავალდებულო იყო სააღსრულებო ფურცლის სანოტარო წესით დამოწმება, განსხვავებით ბიუროსაგან.

კერძო აღსრულების ინსტიტუტის შექმნა ევროპული ქვეყნების გამოცდილების და მათი კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით მოხდა, რასაც ლოგიკურად უნდა მიეყვანა ქვეყანა მთლიანად კერძო აღმასრულებელთა მომსახურების გადასვლაზე. იგივე ტენდენციები იკვეთება ევროპის ქვეყნებშიც სააღსრულებო ორგანოების სამართლებრივი სტატუსის თვალსაზრისით. ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობას კერძო ან შერეული აღსრულების ორგანოები გააჩნიათ (იგივე ვითარებაა ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობაშიც). კერძო აღმასრულებელთა ინსტიტუტის არსებობა სახელმწიფოს ათავისუფლებს ხარჯებისაგან, ახდენს კონკურენციის სტიმულირებას, ხელს უწყობს მომსახურების ხარისხის ზრდას და მის გაიაფებას, რაც მნიშვნელოვანია სტაბილური ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებისა და სახელმწიფოს ეკონომიკური ზრდისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად. ეს ასევე

¹³https://www.gov.uk/search/all?parent=&keywords=&level_one_taxon=&manual=&public_timestamp%5Bfrom%5D=&public_timestamp%5Bto%5D=&topical_events=&order=most-viewed

თანხვედრაშია იმ პრინციპთან, რომ მომსახურებას რომლის მიწოდება კერძო სექტორს შეუძლია სახელმწიფო არ უნდა აწვდიდეს.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი უპირატესობებისა, კერძო აღსრულების ინსტიტუტის სასარგებლოდ მეტყველებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი - მისი მომსახურების საფასური ნაკლებია, ვიდრე აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაწეული მომსახურება. აღსრულების ბიუროს შემთხვევაში, თანხის გადახდევინების საქმეებზე საფასური შეადგენს გადასახდელი თანხის 7%-ს (ხოლო კრედიტორისთვის 2%-ს), აღსანიშნავია, რომ ეს საფასური მთლიანად მიემართება აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე. კერძო აღმასრულებლების შემთხვევაში საფასური გაცილებით ნაკლებია (როგორც წესი ჯამში 5%-ის ფარგლებში), რაც უდავოდ სასარგებლოა როგორც კრედიტორისთვის, ასევე მოვალისათვის.

რამდენიმე წლის განმავლობაში კერძო აღსრულების ინსტიტუტმა ეფექტიანად იმუშავა, რაზეც მეტყველებს კერძო აღმასრულებლების სასარგებლოდ ათიათასობით კრედიტორის მიერ გაკეთებული არჩევანი (საქართველოში მოქმედი მსხვილი საფინანსო ინსტიტუტების აბსოლუტური უმრავლესობა, მათ შორის ბანკები, სააღსრულებო წარმოებისას თანამშრომლობს კერძო აღმასრულებელთან). ამის მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან დაიწყო კერძო აღმასრულებელთა შევიწროება და მათ მიზანმიმართული შეზღუდვა, რაც თანდათან დიდ მასშტაბებში გადაიზარდა. გამოიკვეთა როგორც **სამართლებრივი ისე პრაქტიკული ბარიერები.**

სამართლებრივი ბარიერების საკმაოდ ვრცელი სია იკვეთება კერძო აღმასრულებლებთან მიმართებაში, კერძოდ:

- 2010 წელს 500 000 ლარს ზემოთ არსებულ მოთხოვნებზე კერძო აღმასრულებელს ჩამოერთვა სააღსრულებო წარმოების განხორციელების უფლება, რითაც ხელოვნურად მოხდა აღსრულების ეროვნული ბიუროს უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენება
- 2012 წელს საფრანგეთის სააღსრულებო სისტემიდან გადმოღებული ფაქტების კონსტატაციის მომსახურების განხორციელების უფლება არ მიეცათ კერძო აღმასრულებლებს და მხოლოდ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებელთა უფლებამოსილებად იქცა, რაც განსაკუთრებით ალოგიკურია იმის გათვალისწინებით, რომ თავად საფრანგეთში ეს ფუნქცია მხოლოდ კერძო აღმასრულებლებს აქვთ;
- მხარეთათვის აღსრულების პროცესში საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებისათვის დაწესებული იქნა საფასური და აღმასრულებელი დავალდებულებული იქნა საჯარო გამოქვეყნების პუბლიკაცია განხორციელოს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ვებგვერდზე. ამასთანავე, ვებგვერდზე თითოეული საჯარო გამოქვეყნებისათვის კერძო აღმასრულებელს უწევს 50 ლარის გადახდა, რაც არაადეკვატურად მაღალი საფასურია;
- აუქციონის გამოცხადებამდე სააუქციონო განაცხადის უკან გამოთხოვისას კერძო აღმასრულებლის მიერ გადახდილი მომსახურების საფასურიდან ბრუნდება მხოლოდ ნახევარი, ხოლო აუქციონის გამოცხადების შემდეგ საერთოდ არ ბრუნდება მაშინ, როცა სასამართლოებში სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების წარმოებისას, თუნდაც მოსამართლეს დასრულებული ჰქონდეს საქმის განხილვა, სარჩელის გამოხმობის დროს სახელმწიფო ბაჟი ბრუნდება სრულად;
- კერძო აღმასრულებლისთვის ლიცენზიის გაცემის, მისი შეწყვეტის, ასევე დისციპლინური სახდელის დაკისრების საკითხები დაექვემდებარა აღსრულების ეროვნულ ბიუროს, რომელიც ამასთან ერთად კერძო აღმასრულებლის კონკურენტს წარმოადგენს, რაც ეჭვქვეშ აყენებს მის მიუკერძოებლობას;

- განსხვავებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებიც კერძო აღმასრულებლისა და აღსრულების ეროვნულ ბიუროში დასაქმებული პირებისათვის, კერძოდ, კერძო აღმასრულებლისათვის არის გაფრთხილება და შემდეგ - ლიცენზიის შეწყვეტა, ხოლო ბიუროში დასაქმებულთათვის სამსახურიდან დათხოვნამდე (როგორც უკიდურეს სახდელამდე) 7 სახის სახდელის გამოყენება მაინც არის შესაძლებელი;
- განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, რომლის შესახებაც არ მომხდარა კერძო აღმასრულებელთა ინფორმირება, აღსრულების ეროვნულ ბიუროს მიეცა უფლება ჩაერიოს კერძო აღმასრულებლის სააღსრულებო წარმოებაში და განახორციელოს სექვესტრი იმ სააღსრულებო საქმეზე, რომელიც ბიუროს წარმოებაში საერთოდ არ არის;
- 2013 წელს ყოველგვარი საფუძვლის გარეშე მოხდა კერძო აღმასრულებელთა მასობრივი შემოწმება, რამაც გამოიწვია კერძო აღმასრულებელთა პროტესტი. ამ შემოწმებებს შედეგად მოჰყვა კერძო აღმასრულებელთათვის დისციპლინური სახდელის სახით გაფრთხილებების დადება, რაც შემდგომ გასაჩივრებულ იქნა და სასამართლომ დაადასტურა შემოწმებებისა და სახდელის დადების არამართებულობა. წაგებული პროცესების ფონზე 2013 წლის საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მიეცა შესაძლებლობა შეამოწმოს კერძო აღმასრულებელთა წარმოებაში არსებული საქმეები საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით ისე, რომ ამისათვის სპეციალური საფუძველი აღარ სჭირდება
- კერძო აღმასრულებლისათვის სააუქციონო მომსახურების ფარგლებში აღსრულების ეროვნული ბიურო საკუთრებაში სრულად იტოვებს ჩაშლილი აუქციონის დროს (როცა აუქციონში გამარჯვებული აღარ იხდის საბოლოო თანხას) გამარჯვებულის მიერ გადახდილ საგარანტიო თანხას, რომლის ოდენობა აუქციონზე სარეალიზაციო ქონების საბაზრო ღირებულების 5%-ს შეადგენს. ამდენად, ეს თანხა არც კრედიტორის და არც კერძო აღმასრულებლის ინტერესებს არ ხმარდება.

რაც შეეხება პრაქტიკულ ბარიერებს აღსანიშნავია, ისიც, რომ 2011 წლიდან კერძო აღმასრულებლის ლიცენზიის მისაღებად საკვალიფიკაციო გამოცდა არ ჩატარებულა. კერძო აღმასრულებლებს არ ეძლევათ შესაძლებლობა ჩაერთონ და ისარგებლონ დოკუმენტ-ბრუნვის ელექტრონული სისტემით (დეს); აღსრულების ეროვნული ბიურო, მიუხედავად კანონის მოთხოვნისა, ერთთვიან ვადაში არათუ არ უწევს კერძო აღმასრულებლებს სააუქციონო მომსახურებას, არამედ ხშირ შემთხვევაში ერთი თვის ვადაში არც კი იწყებს აუქციონების ჩატარებას; კერძო აღმასრულებლებმა არაერთხელ მიმართეს იუსტიციის სამინისტროს და აღსრულების ეროვნულ ბიუროს კანონში შესატან ცვლილებებზე, რომელთა მიხედვითაც, კერძო აღმასრულებელს მიეცემოდა საშუალება, ესარგებლა კონსტიტუციით და შრომის კოდექსით გათვალისწინებული შვებულებით, დეკრეტით ან ბიულეტენით (მგავსად ნოტარიუსებისა), მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ამ პრობლემის მოგვარება დღემდე ვერ მოხერხდა.¹⁴

¹⁴ საერთაშორისო სემინარის თემატიკა: კერძო აღმასრულებლების როლი და კომპეტენცია აღსრულების ეფექტიან პროცედურასთან მიმართებით, 2016

დასკვნა

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი საკმაოდ მნიშვნელოვანი და საჭირო ინსტიტუტია, ვინაიდან მისი მოქნილი, სწრაფი იაფიანი და ხარისხიანი მომსახურება დიდ დახმარებას გაუწევს საერთო ჯამში ქვეყნის ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარებას.

კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტის შემოღება სერიოზული ნაბიჯი იყო პროგრესისკენ. თუმცა მართო შემოღება ბევრს ვერაფერს შემატებს ქვეყანას, თუ არ მოხდება მთელი ამ პერიოდის გამოცდილების გაანალიზება და დადებითი მხარეების სტიმულირება საკანონმდებლო დონეზე.

დადებითი მთელი ამ ხნის მანძილზე არის ის, რომ კერძო აღმასრულებელი უფრო მოქნილი და მოტივირებულია, ვიდრე სახელმწიფო სტრუქტურაში დასაქმებული მისი კოლეგა. ამიტომ, სახელმწიფომ უნდა წახალისოს კერძო აღმასრულებელი და არა პირიქით, როგორც ეს დღეს არის.

დიპლომატიური იმუნიტეტი

დიპლომატია საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რომელიც უცხო ქვეყნებთან ურთიერთობებში სახელმწიფოს მიზნების შესრულებას ემსახურება. დიპლომატიის, როგორც საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტის მთავარი ფუნქცია მხარეებს შორის საერთო ინტერესების მოძებნა და კონფლიქტური საკითხების გამორკვევაა მათი მშვიდობიანი გადაწყვეტის მიზნით. დიპლომატიური საქმიანობა ხორციელდება მოლაპარაკებების მეშვეობით, რომელსაც დიპლომატიური წარმომადგენელი, ელჩი ახორციელებს. მუდმივი ელჩის ინსტიტუტი პირველად XV-ის იტალიაში წარმოიშვა და მთელს მსოფლიოში გავრცელდა. დიპლომატიური წარმომადგენლობების მთავარ ფუნქციებს დღემდე ინფორმაციის მოპოვება და მისი ინტერპრეტირება, წარმგზავნი სახელმწიფოს სამხედრო და ეკონომიკური ინტერესების დაცვა და სავაჭრო კავშირების ხელშეწყობა წარმოადგენს. დიპლომატია საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტის ფუნქციის გარდა საერთაშორისო საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის როლსაც ასრულებს. ხშირად ამ სიტყვით ზოგადად საერთაშორისო ურთიერთობებსაც აღნიშნავენ.¹

წინამდებარე ნაშრომში საუბარი გვექნება დიპლომატიურ იმუნიტეტებზე - ანუ განვიხილავთ თუ რომელი და როგორი პრივილეგიებით სარგებლობენ დიპლომატიური იმუნიტეტების მატარებლები, რა უფლებები და მოვალეობები აქვთ მათ, როგორ უნდა მოიქცნენ კონკრეტულ სიტუაციებში და სხვა.

მოკლედ, თუ რა არის დიპლომატიური პრივილეგია და დიპლომატიური იმუნიტეტი:²

დიპლომატიური პრივილეგიის არსი მდგომარეობს განსაკუთრებული შეღავათების, უფლებებისა და უპირატესობების ერთობლიობაში, რომელიც ენიჭებათ უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობას, მათ პერსონალსა და სხვა პირებს, რომლებიც, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაცვით სარგებლობენ. დიპლომატიური პრივილეგიები და იმუნიტეტი იყოფა ორ ჯგუფად:

1. მთლიანად წარმომადგენლობის, როგორც სახელმწიფო ორგანოს პრივილეგიები და იმუნიტეტი;
2. წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის პრივილეგიები და იმუნიტეტი.³

დიპლომატიური იმუნიტეტი უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს პირად ხელშეუხებლობას. ასეთი უფლებით აღჭურვილთა დაპატიმრება, პასუხისგებაში მიცემა და მოწმის სახით სასამართლოში გამოძახება არ შეიძლება. ხელშეუხებელია მათი საცხოვრებელი ბინა, სამუშაო ადგილი, გადაადგილების საშუალება (ავტომანქანა, თვითმფრინავი და სხვა). ამ ადგილებში ჩხრეკა აკრძალულია, მაგრამ დიპლომატიური იმუნიტეტი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ისეთი მიზნებისათვის, რომლებიც შეუთავსებელია დიპლომატიური წარმომადგენლობის ფუნქციებთან, კერძოდ, არ შეიძლება თავშესაფარი მიეცეს ადამიანს, რომელიც დანაშაულის ჩადენისათვის დევნილია სახელმწიფოს მიერ; არ შეიძლება, აგრეთვე, ძალდატანებით ვინმეს დაკავება დასახელებულ ადგილებში. დიპლომატიური იმუნიტეტი არ

¹ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=3694>

² <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=790>

³ ლეგაშვილი ნ., დიპლომატიური პრივილეგიები და იმუნიტეტი, აღმანახი N 9, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 1999

გულისხმობს სრულ უპასუხისმგებლობას. თუ იმუნიტეტით აღჭურვილი პირი დანაშაულს ჩაიდენს საქართველოს ტერიტორიაზე, მისი პასუხისმგებლობის საკითხი დიპლომატიური გზით გადაწყდება. საქართველოს სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს საქართველოდან მისი დაუყოვნებლივ გაძევება, როგორც არასასურველი პირისა (persona non grata). საქართველოს იურისდიქციას ასეთი პირი მხოლოდ მაშინ შეიძლება დაექვემდებაროს, თუ ამის შესახებ არსებობს იმ სახელმწიფოს აშკარად გამოთქმული თანხმობა, რომელსაც იგი წარმოადგენს.⁴

1961 წლის 18 აპრილს, ვენაში, დადეს „ვენის კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“⁵, აღნიშნული კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით: „სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება და მუდმივ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა დაფუძნება ხდება ურთიერთშეთანხმებით“. მოცემული კონვენციის მე-3 მუხლი გვამცნობს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ფუნქციებს, კერძოდ:

- ა) მაკრედიტებული სახელმწიფოს წარმომადგენლობა ადგილსამყოფელ სახელმწიფოში;
- ბ) მაკრედიტებული სახელმწიფოს და მისი მოქალაქეების ინტერესების დაცვა ადგილსამყოფელ სახელმწიფოში საერთაშორისო სამართლით დაშვებულ ფარგლებში;
- გ) გამოლაპარაკება ადგილსამყოფელ სახელმწიფოს მთავრობასთან;
- დ) ადგილსამყოფელ სახელმწიფოში პირობებისა და ამბების გაორკვევა ყოველგვარი კანონიერი საშუალებებით და მაკრედიტებული სახელმწიფოს მთავრობისათვის მათი შეტყობინება;
- ე) მაკრედიტებული სახელმწიფოს და ადგილსამყოფელ სახელმწიფოს მეგობრული ურთიერთობის წახალისება და ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების დარგში მათი ურთიერთობის განვითარება.

ვენის კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ 22-ე მუხლში საუბრობს დიპლომატიურ იმუნიტეტებზე, კერძოდ:

1. წარმომადგენლობის ნაგებობანი ხელშეუხებელია. ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ხელისუფალთ უფლება არა აქვთ შევიდნენ შენობებში, თუ არ ექნებათ წარმომადგენლობის მეთაურის თანხმობა.
2. ადგილსამყოფელ სახელმწიფოს საგანგებოდ ევალება ყველაფერი იღონოს იმისათვის, რომ დაიცვას წარმომადგენლობის შენობები ყოველგვარი შეჭრისა თუ დაზარალებისაგან და არ დაუშვას წარმომადგენლობის სიმშვიდის რაიმე დარღვევა ან მისი ღირსების შელახვა.
3. წარმომადგენლობის შენობებს, ავეჯს და სხვა იქ არსებულ ქონებას, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებებს აქვს იმუნიტეტი და არ შეიძლება მათი გაჩხრეკა, რეკვიზიცია, ყადაღის დადება და სააღმსრულებლო მოქმედება.

ამავე კონვენციის 23-ე მუხლში საუბარია დიპლომატთა პრივილეგიებზე, კერძოდ:

1. მაკრედიტებული სახელმწიფო და წარმომადგენლობის მეთაური თავისუფლდებიან ყოველგვარი სახელმწიფო, რაიონული თუ მუნიციპალური გადასახადებისაგან, წარმომადგენლობის საკუთარი თუ დაქირავებული ნაგებობებისათვის მოსაკრებელი ბაჟისაგან, რომელიც კონკრეტული მომსახურების გადასახდელია.
2. სახაზინო შეუვალობა, რომელზეც ლაპარაკია ამ მუხლში, არ ვრცელდება იმ გადასახადებზე მოსაკრებლებსა და ბაჟზე, რომლებიც, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონების თანახმად,

⁴ ნამჩევანძე დ., სისხლის სამართლის კანონის სივრცეში მოქმედების პრინციპის ისტორიული მიმოხილვა, აღმანახი N 12, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 1999

⁵ <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi39.pdf>

უნდა გადაიხადონ იმათ, ვინც კონტრაქტებს დებს მაკრედიტებელ სახელმწიფოსთან ან წარმომადგენლობის მეთაურთან.

ვენის კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ 29-ე და 31-ე მუხლებში ასევე საუბრობს დიპლომატიური იმუნიტეტების შესახებ, კერძოდ, 29-ე მუხლის თანახმად: „დიპლომატიური აგენტის პიროვნება ხელშეუხებელია. არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან დაკავება არავითარი ფორმით. ადგილსამყოფელი სახელმწიფო ვალდებულია ჯეროვანი პატივისცემით ექცეოდეს მას და ყველაფერს ღონებდეს იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს მისი პიროვნების თავისუფლებისა და ღირსების რაიმე ხელყოფა.

ხოლო, 31-ე მუხლის თანახმად:

1. დიპლომატიურ აგენტს აქვს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სისხლის სამართლის იურისდიქციის იმუნიტეტი. მას აქვს აგრეთვე სამოქალაქო და ადმინისტრაციული იურისდიქციის იმუნიტეტი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა
 - ა) აღძრულია სანივთო სარჩელი, რომელიც შეეხება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებულ კერძო უძრავ ქონებას წარმომადგენლობის მიზნებისათვის;
 - ბ) აღძრულია სარჩელი, რომელიც შეეხება მემკვიდრეობას, რომლის მიმართაც დიპლომატიური აგენტი გვევლინება ანდერძის აღმსრულებლად, სამემკვიდრო ქონების მზრუნველად ან საანდერძო დანაკისრის მიმღებად, როგორც კერძო პირი, და არა მაკრედიტებელი სახელმწიფოს სახელით;
 - გ) აღძრულია სარჩელი, რომელიც შეეხება ყოველგარ პროფესიულ და კომერციულ საქმიანობას, რომელსაც დიპლომატიური აგენტი თავისი ოფიციალური ფუნქციების ფარგლებს გარეთ ეწევა ადგილსამყოფელ სახელმწიფოში.
2. დიპლომატიური აგენტი ვალდებული არ არის მისცეს ჩვენება როგორც მოწმემ.
3. დიპლომატიური აგენტის მიმართ არ შეიძლება განხორციელდეს არავითარი სააღმსრულებლო ღონისძიებანი, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც ექვემდებარება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებს, და მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს ღონისძიებანი არ დაარღვევს მისი პიროვნების ან მისი რეზიდენციის ხელშეუხებლობას.
4. ადგილსამყოფელი სახელმწიფოს იურისდიქციის მიმართ დიპლომატიური აგენტის იმუნიტეტი არ ათავისუფლებს მას მაკრედიტებელი სახელმწიფოს იურისდიქციისგან.

დიპლომატიურ პრივილეგიებზე საუბრობს ასევე 35-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც: ადგილსამყოფელი სახელმწიფო მოვალეა დიპლომატიური აგენტები გაათავისუფოს ყოველგვარი შრომითი და სახელმწიფო ბეგარისაგან, მათი ხასიათის მიუხედავად, აგრეთვე სამხედრო ბეგარისაგან, როგორც არის რეკვიზიცია, კონტრიბუცია და ბინის ჯარის სადგომად გადაქცევა.

დიპლომატიური იმუნიტეტების შესახებ მხოლოდ თეორიული მასალით რომ არ შემოვიფარგლოთ, მოგაწვდით პრაქტიკული მასალიდან სხვადასხვა საქმეს, მაგალითად, ვისაუბროთ დომენიკ სტრეუს-კანის დიპლომატიური იმუნიტეტის⁶ შესახებ. 2011 წლის მაისში, IMF⁷-ის ფრანგი უფროსი დომენიკ სტრეუს-კანი ჩავიდა ნიუიორკში და სეირნობდა სასტუმროში, როდესაც, როგორც ამბობენ, თავს დაესხა და გააუპატიურა მანდილოსანი გვინეიდან. მან გამოიყენა საკუთარი დიპლომატიური იმუნიტეტი ამ საქმის მოსაგვარებლად და თავი აარიდა სასჯელს. მიუხედავად იმისა რომ, ამ ამბავმა გავლენა ვერ მოახდინა მის ბიზნესზე, აღნიშნულმა ფაქტმა შეიწირა მისი პოლიტიკური კარიერა.

⁶ <https://www.bbc.com/news/magazine-38576257>

⁷ <https://www.imf.org/external/index.htm>

ვისაუბროთ ლონდონში გადასახადებისგან თავის არიდებაზე.⁸ ლონდონი არის ცნობილი დაგროვილი გადასახადებით, ლონდონის ცენტრში გადასახადების გადახდა ხდება ორმაზათიდან პარასკევის ჩათვლის, დილის შვიდი საათიდან საღამოს ექვსი საათის ჩათვლით. ჩვეულებრივ ლონდონელებს არ შეუძლიათ თავი აარიდონ ამ პასუხისმგებლობას (გადასახადების გადახდას) არასასურველი შედეგის გარეშე, განსხვავებით დიპლომატებისგან. ისინი ვალში არიან ლონდონთან 95 მილიონ ფუნტზე მეტით 2003 წლიდან, რომელიდაც უცხოური ოფისით. ბრიტანელი დიპლომატები არიან საშინელი დამნაშავეები, რომლებსაც 6 მილიონ ფუნტზე მეტი აქვთ გადაუხადელი. დანარჩენი ქვეყნების დიპლომატებიც უარს ამბობენ გადასახადების გადახდაზე, მაგალითად გერმანია, ნიგერია, იაპონია, ინთოეთი, რუსეთი, პოლონეთი და გვინე - 2015 წლის ანგარიშის მიხედვით. ისინი, ყველა ამბობენ, რომ დიპლომატიური იმუნიტეტი ათავისუფლებს მათ ამ გადასახადებისგან.

არსებობს ასეთი წოდება „პერსონა ნონ გრატა“, რომელიც არასასურველი პიროვნების სახელით არის ცნობილი. თუ სახელმწიფო სხვა სახელმწიფოს დიპლომატს აღნიშნულ სახელს უწოდებს, ამ სახელმწიფოს უფლება აქვს ეს პირი გააბრუნოს აღნიშნული გამგზავნ სახელმწიფოში, ხოლო გამგზავნ სახელმწიფოს უფლება აქვს, როგორც მიიღოს ეს პირი და საკუთარი კანონმდებლობით გაასამართლოს, ასევე უარი თქვას ამ დიპლომატის მიღებასა და გასამართლებაზე, და დაუტოვოს გასასამართლებლად იმ სახელმწიფოს რომელშიც იმყოფება. 1997 წელს საქართველოდან გაგზავნილი დიპლომატი ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი დაეჯახა თექვსმეტი წლის გოგოს მერილენდიდან.⁹ ის გაასამართლეს გაუფრთხილებლობით მკვლელობისათვის და სამ წლიანი სასჯელი მოიხადა ჩრდილოეთ კაროლინას ციხეში, მანამ სანამ დააბრუნებდნენ საქართველოში, საქართველოში ორი წელი კიდევ მოიხადა, შემდეგ კი თავდებობით გამოუმეცს.

⁸ <https://www.bbc.com/news/magazine-38576257>

⁹ https://slate.com/news-and-politics/2010/04/how-far-does-diplomatic-immunity-go.html?fbclid=IwAR2y2HfrUQlD8lolKurwCO84t-2azBUrmpA2D1JZwUy-XM_PwrUi6rZ7O3c

**მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების ფარგლები
პრეცედენტულ სამართალში**

შესავალი

პლურალიზმი დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების მნიშვნელოვან ქვაკუთხედს წარმოადგენს, რომელიც თვის მხრივ, ეფუძნება თითოეული მოქალაქის თვითრეალიზაციას,¹ რაც მიიღწევა სახელმწიფოს მიერ გამოხატვის თავისუფლების, როგორც უზენაეს და წარუვალ ღირებულებად აღიარებით და მისგან მომდინარე ნეგატიური პასუხისმგებლობის ადებით, ლეგიტიმური საჯარო მიზნის გარეშე და თანაზომიერების პრინციპის დაუცველად არ ჩაერიოს თავისუფლებით დაცულ სფეროში.² გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმაციის გავრცელებას ანდა კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფისათვის მისაღები კონტენტისა თუ ფორმის გამოხატვას, არამედ, აგრეთვე კონკრეტული ადამიანისათვის აღმამოთებელსა თუ მიუღებელს. ეს არის ფასი, პლურალიზმისა.³ გამოხატვის თავისუფლება მისი არსიდან გამომდინარე უმნიშვნელოვანესია, თუმცა იგი არ წარმოადგენს პირველი კატეგორიის უფლებას, რომელიც პიროვნების ფიზიკურ უსაფრთხოებას იცავს.⁴ მისი ონტოლოგიური ბუნებიდან გამომდინარე, წარმოშობს რა, საფრთხეს სხვათა უფლების დარღვევისა, სწორედ აღნიშნულია საფუძველი იმის, რომ გამოხატვის თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურად დაცულ სფეროს და მასში ჩარევა დასაშვებია⁵ ამ უფლების გამოყენების შემზღუდავი ნორმებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწყსრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.⁶ მიუხედავად, კონვენციის მე-10 მუხლის მეორე პუნქტის ამგვარი კონკრეტული ჩამონათვალისა, ძნელია ხშირად განისაზღვროს უფლების გამოყენების ფარგლები. მაგალითად, მორალის დაცვის მიზნით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა შესაძლოა ბუკვალურად იქნეს გაგებული ადამიანთა ჯგუფის მიერ, როდესაც მრავალი ადამიანი შესაძლოა არ ცნობდეს კონვენციონალურ მორალს⁷ და მისი პირადი მსოფლალქმის გათვალისწინებით სრულ წინააღმდეგობაში მოდიოდეს უმრავლესობასთან, რაც აპრიორი არ კმარა იმისათვის, რომ მისი თავისუფლების შეზღუდვა მოხდეს. მეორე მხრივ, რიგ შემთხვევებში გამოხატვის

¹ იხ. Case of Baka v. Hungary, no. 20261/12, § 158, ECHR Grand Chamber, 2016VI

² იქვე

³ იხ. Case of Morice v. France, no. 29369/10, § 124, ECHR Grand Chamber, 2015IV; Case of Stoll v. Switzerland, no. 69698/01, § 101, ECHR Grand Chamber, 2007XII; Case of Steel and Morris v. The United Kingdom, no. 68416/01, § 87, ECHR Fourth Section, 2005II.

⁴ იხ. Case of Merabishvili v. Georgia, no. 72508/13, § 199, ECHR Grand Chamber, 2017XI.

⁵ შეადარე კონვენციის მესამე მუხლს (წამების აკრძალვა) ღირსების აბსოლუტურად დაცულ უფლებას, როდესაც სასამართლო არ უშვებს უფლებით დაცულს სფეროში ჩარევის საგამონაკლისო შემთხვევას. იხ. Case of Bouyid v. Belgium, no. 23380/09, §1, ECHR Grand Chamber, 2015IX; Gafgen v. Germany, no. 22978/05, § 87, ECHR Grand Chamber, 2010VI.

⁶ იხ. Case of Lindon, Otchakovsky-Laurens and July v. France, no. 21279/02 36448/02, ECHR Grand Chamber, 2007X

⁷ იხ. გ. ხუბუა „სამართლის თეორია“ თბ., 2015, 77.

თავისუფლების შეზღუდვის საფუძველია საჯარო თანამდებობა, რომელსაც პირი იკავებს და რომლის გამოც მას ეკრძალება კონკრეტული განცხადების კეთება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო ხელისუფლებაში მოღვაწე საჯარო თანამდებობის პირებისგან მოსალოდნელია გამოხატვის თავისუფლების მხრივ თავშეკავების გამოჩენა ყველა შემთხვევაში, როდესაც შესაძლოა ეჭვქვეშ დადგეს სასამართლოს ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა.⁸ ამდენად, ნაშრომი მოიცავს გამოხატვის თავისუფლების ფარგლებზე მსჯელობას, რაც უპირატესად შეეხება მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, რამდენადაც მისი მაღალი მანდატიდან გამომდინარე, პირი სამოსამართლო ეთიკითაა შეზღუდული, თუმცა მეორე მხრივ მას იცავს ინდემნიტეტი.⁹ რაც იმას გულისხმობს, რომ მოსამართლე პასუხს არ აგებს მის მიერ გამოთქმული მოსაზრებათა გამო. მესამე მხრივ კი, დაცული სფეროს შეზღუდვა, მოტივირებული სასამართლოს რეპუტაციითა და ავტორიტეტით დაბალანსებული უნდა იყოს და არაპროპორციულად არ უნდა ზღუდავდეს მოსამართლის, როგორც გამოხატვის თავისუფლების სუბიექტის უფლებით დაცულ სფეროს. ნაშრომი სწორედ ამ ბალანსის გაანალიზებას შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით. თუ როგორ წესრიგდება და რა ფარგლები დგინდება პრეცედენტულ სამართალში.

უფლებათა და თავისუფლებათა გაცნობის, გააზრებისა და პოპულარიზაციის კვალდაკვალ, სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება გამოხატვის თავისუფლება, განსაკუთრებით, საქართველოში, განვითარებადი დემოკრატიის სახელმწიფოში, სადაც პროგრესი პირდაპირ დამოკიდებულია დემოკრატიულ ღირებულებებზე, რომელსაც აფუძნებს სწორედ გამოხატვის თავისუფლება. აღნიშნულ პროცესში განსაკუთრებული როლი უჭირავს სასამართლოს. ერთი მხრივ, მის ირგვლივ განვითარებული მოვლენების გამო, რაც თავისთავად აღუძრავს მოსამართლეებს სურვილს პოზიციონირებისა, ხოლო, მეორე მხრივ, კონკრეტულ გადაწყვეტილებათა ლეგიტიმაციის კუთხით დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის მხრივ. ამ პროცესში კი, განსაკუთრებით საინტერესოა თუ რა ფარგლებითა და ფორმით აქვს მოსამართლეს უფლება გამოხატოს აზრი.

1. მოსამართლის სტატუსი დემოკრატიულ საზოგადოებაში

თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოთა მმართველობის მოდელები ეფუძნება ხელისუფლების დანაწილების¹⁰ ფუნდამენტურ პრინციპს და ერთმანეთისგან მკაცრად მიჯნავს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას. ამავე პრინციპს განამტკიცებს საქართველოს კონსტიტუციის მეოთხე მუხლი.¹¹ ხელისუფლების დანაწილების პრინციპი უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოთა ძალაუფლების დეცენტრალიზაციას, სახელმწიფო ფუნქციების გონივრულ დიფერენციაციასა და ინსტიტუციურ გამიჯვნას.¹² *Check and Balance*, რომელსაც ეფუძნება თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო, თავის მხრივ, დამყარებულია დამოუკიდებელ და

⁸ *ob. Case of Wille v. Liechtenstein*, no. 28396/95, § 64, ECHR Grand Chamber, 1999X; *Kudeshkina v. Russia*, no. 29492/05, § 86, ECHR First Section, 2009II

⁹ *ob. ვ. გონაშვილი* შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, (ავტორთა კოლექტივი) თბ., 2016, 479.

¹⁰ კონსტიტუციის დანაწესის მიუხედავად, უმჯობესი იქნება დოქტრინაში გაბატონებული ტერმინი „ძალაუფლების დანაწილება“ ინგლისურენოვანი ტერმინიდან *“The Principle of Separation of Power”*, *ob. Steven H. Gifis, Law Dictionary, Sixth Edition, 496.*

¹¹ საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 4, პუნქტი მე-3, სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.

¹² *ob. „საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები“*, რედ.: გიორგი ხუბუა, კარლ-ჰეტერ ზომერმანი, თბ., 2016, 65-66.

მიუკერძოებელ სასამართლოზე, რამეთუ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სამოსამართლო კონტროლი (*Judicial Review*).¹³ სწორედ ამიტომ, სასამართლოს დამოუკიდებლობა დაცულია ყოველგვარი გარე ჩარევისა და ხელისუფლების სხვა შტოთა ზეწოლისაგან.¹⁴ შესაბამისად, ხელისუფლების განხორციელებისას თითოეული ორგანო ვალდებულია იხელმძღვანელოს კონსტიტუციური პრინციპებით და დაიცვას საზღვრები, რომელსაც აღნიშნული დანაწესი ავლებს. ერთი მხრივ, კანონმდებელს ეკრძალება განახორციელოს მართლმსაჯულება, ხოლო, მეორე მხრივ მოსამართლე ვალდებულია მკაცრად გაემიჯნოს პოლიტიკას, აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო ხელისუფლების შტოებს. რაც მათ შორის პოლიტიკური განცხადებების გაკეთებისგან თავის შეკავებას გულისხმობს, აღნიშნული კი, იმთავითვე წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში ჩარევას, რომლის ლეგიტიმური მიზანიც, სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა, ფაქტობრივად საყოველთაო ლეგიტიმაციისაა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბებული და დასავლური ცივილაზიებისათვის კარგად ცნობილი პრინციპი *Judicial self-restraint* უკრძალავს მოსამართლეს პოლიტიკის კეთებას.¹⁵ მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური პარტიის წევრობა ან საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებულ პოლიტიკურ განხილვებში მონაწილეობა ვერ ჩაითვლება უკანონოდ, თავი უნდა შეიკავოს ისეთი პოლიტიკური საქმიანობისაგან, რომელმაც შეიძლება შეარყიოს მისი დამოუკიდებლობა ან ეჭვქვეშ დააყენოს მისი მიუკერძოებლობა.¹⁶

განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო კონსტიტუცია მომეტებულად იცავს მოსამართლეს მისი საქმიანობის განხორციელებისას, ასევე განამტკიცებს მის სრულ დამოუკიდებლობას და პასუხისმგებლობას აკისრებს მას, ვინც ჩაერევა მოსამართლის საქმიანობაში. ამასთან, სახელმწიფო განსაკუთრებულ სამართლებრივი დაცვის პირობებს უქმნის მოსამართლეს და საქართველოს კონსტიტუციით განამტკიცებს მის ხელშეუვალობას.¹⁷ გარანტირებულია იმუნიტეტი, რომელიც იცავს მას სისხლის სამართლის დევნისა და სხვა პროცესუალური ქმედებების განხორციელებისგან. ამასთან, როგორც აღინიშნა, მოსამართლე სარგებლობს ინდემნიტეტით. თუმცა, გამოხატვის თავისუფლების ფარგლები მჭიდროდ დაკავშირებულია სამოსამართლო ეთიკასა და ვალდებულებებზე.¹⁸ თავის მხრივ, სამოსამართლო ეთიკა განმტკიცებულია არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ საერთაშორისო კანონმდებლობითაც.¹⁹

საჯარო მოხელეებს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით, რომ შეზღუდული აქვთ რიგ საკითხებზე გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა,²⁰ ეს ცალსახაა. თუმცა, უნდა განიმარტოს, რამდენად არის მოსამართლე საჯარო მოხელე და შეგვიძლია თუ არა მასზეც გავავრცელოთ საჯარო მოხელეებისათვის არსებული უფლების შემზღუდავი დანაწესები. მოცემულ საკითხზე მსჯელობისას საჯარო მოხელის ცნება გაგებულ უნდა იქნეს არა მისი მომწესრიგებელი ნორმის ადექვატური, გრამატიკული განმარტებით, არამედ შეზღუდვის დაწესების მიზნებითა და მისი დამაფუძნებელი პრინციპებით. ესე იგი, რა მიზნით აქვს შეზღუდული პირს თავისუფლება გამოხატოს აზრი რიგ საკითხებზე. მიზნები კი, კონვენციის მე-10 მუხლის მეორე პუნქტში დეტალურადაა გაწერილი.

¹³ იხ. Encyclopedia of the Supreme Court, David Schultz, 2005, 239.

¹⁴ იხ. The notion of the separation of powers is relevant for judicial appointments, Judicial Seminar 2018 The Authority of the Judiciary, European Court of Human Rights, 3-4.

¹⁵ იხ. გ. ხუბუა „სამართლის თეორია“ თბ., 2015, 127.

¹⁶ იხ. „მოსამართლეთა ქცევის ზანგალორის პრინციპები“ და მისი კომენტარი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბ. 2015, 15.

¹⁷ საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 87.

¹⁸ იხ. International Principles on the Independence and Accountability of Judges, Lawyers and Prosecutors, Geneva, 2007, 38-39.

¹⁹ იხ. Resolution on Judicial Ethics, European Court of Human Rights, Adopted by the Plenary Court on 23 June 2008

²⁰ იხ. Case of Vogt v. Germany, no. 17851/91, § 53, ECHR Grand Chamber, 1995IX

შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლოს მნიშვნელოვანი ადგილის გათვალისწინებით, სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო მოხელეებისადმი არსებული მიდგომა ეხება აგრეთვე მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევას, მისი ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებით, იმის მიუხედავად, რომ სასამართლო არ წარმოადგენს ჩვეულებრივი საჯარო სამსახურის ნაწილს.²¹

2. ბალანსი გამოხატვის თავისუფლებასა და სამოსამართლო ეთიკას შორის პრეცედენტული სამართლის მიხედვით

მოსამართლისათვის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მოქალაქისათვის, გარანტირებულია გამოხატვის, აღმსარებლობის, შეკრებებსა და ასოციაციებში მონაწილეობის თავისუფლება, თუმცა ამ უფლებების რეალიზაციისას მოსამართლე ყოველთვის ზრუნავს მოსამართლის თანამდებობის მაღალი სტატუსის დაცვაზე და თავს იკავებს სასამართლოს მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობასთან შეუთავსებელი ქმედებებისაგან.²² ამ პრინციპის შეფასებისას, არც თუ მარტივადაა განჭვრეტადი გარემოებანი, რის გამოც მოსამართლეს თმენის ანდა აზრის გამოხატვისგან თავის შეკავების ვალდებულება ეკისრება. ერთ შემთხვევაში მაშინ, როდესაც ისეთი საკითხები იხილება, რომელიც შეეხება საკუთრივ მოსამართლის სტატუსს, მართლმსაჯულებას ანდა კონსტიტუციურ რეფორმას. ხოლო, მეორე შემთხვევაში, მოსამართლის პირადი შეურაცხყოფისას, ანდა სასამართლოსადმი მიმართული განცხადებებისას. ასევე, მიმდინარე განსახილველ საქმესთან დაკავშირებული კითხვებისას. თითოეული შემთხვევა, ცალკე საჭიროებს განხილვას.

სამართალწარმოების დროს სასამართლო განხილვაში მყოფი საქმე ყოველთვის ატარებს მხარეთა ინტერესს, რომელსაც ხშირად ემოციები მართავს. მხარეებისთვის კი, მოსამართლე კონკრეტული იურიდიული შედეგის დამყენებელი პირია, რომელიც ცვლის მათთვის არსებულ გარკვეულ წესრიგს. რეზონანსული საქმის შემთხვევაში კი, ცხადია, გაცილებით მაღალია საზოგადოებრივი ინტერესი სამართალწარმოებისა და საქმეზე გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილების მიმართ. ამ პრიცესში, ხშირია მოსამართლის მიმართ გაკეთებული, მათ შორის არაკორექტული განცხადებები, შესაძლოა ადამიანები კონკრეტულ ანგარიშს ითხოვდნენ მოსამართლისგან. რაც შესაძლოა ზღუდავდეს სამოსამართლო დამოუკიდებლობას, რაც ეწინააღმდეგება სასამართლო ხელისუფლების გამართულ ფუნქციონირებას და აუცილებელია დაცულ იქნეს მოსამართლის დამოუკიდებლობის ფარგლები.²³ შესაბამისად, კონსტიტუციური დათქმის საფუძველზე დაუშვებელია მოსამართლეს მოეთხოვოს კონკრეტულ საქმეზე ანგარიში. მოსამართლემ დამოუკიდებლად და თავისუფლად შინაგანი რწმენის საფუძველზე უნდა განახორციელოს სამართალწარმოება, გამოიყენოს რა, მისეული ინდივიდუალური განმარტება და ამის გამო მხოლოდ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს უნდა შეეძლოს სამართლებრივი შედეგის დაყენება გადაწყვეტილების გაუქმებისა და სამოტივაციო ნაწილში მისი გაკრიტიკების ფორმით და არ უნდა არსებობდეს ორგანო ან პირი ვინც, კონკრეტულ გადაწყვეტილებაზე ანგარიშს მოთხოვს მოსამართლეს.

არამხოლოდ მოთხოვნა, თავად მოსამართლეს მოკლებულია შესაძლებლობას ისაუბროს განსახილველ საქმეზე. მართალია ცალკეული განცხადებები შესაძლოა არ იყოს საზიანო, მაგრამ ამგვარი

²¹ იხ. Case of Albayrak v. Turkey, no. 38406/97, § 42, ECHR Third Section, 2008I

²² იხ. „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და მისი კომენტარი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბ. 2015, 39.

²³ იხ. International Principles on the Independence and Accountability of Judges, Lawyers and Prosecutors, Geneva, 2007, 18.

პრეცედენტი ქმნის საფრთხეს, რომ ცალკეულ მოსამართლეთა მიერ განსახილველ საქმეებზე საუბარი ექვემდებარება დააყენებს მისაღები გადაწყვეტილების კანონიერებას და თავად მოსამართლის მიკერძოებულობასთან მიმართებით გაჩნდება კითხვები, რაც საბოლოოდ დააზიანებს მართლმსაჯულების ინტერესებს. იმ შემთხვევაში, თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და საზოგადოების დაინტერესებული წევრები სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების კრიტიკით გამოდიან, მოსამართლემ არ უნდა უპასუხოს ამგვარ კრიტიკას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი წერილობითი სახის მიმართებით ან სასამართლო სხდომის მსვლელობისას კომენტარებით. სასამართლოს განსახილველ საქმეებთან დაკავშირებით მოსამართლე მხოლოდ არგუმენტების ენაზე საუბრობს, რომლებზეც დამყარებულია მისი გადაწყვეტილება. მოსამართლე არ უნდა ეწეოდეს მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების იურიდიული მოტივირების საჯარო დაცვას.²⁴

მსგავსად განსახილველ საქმეზე საჯარო განცხადებებისა, მოსამართლე ასევე მოკლებულია შესაძლებლობას პასუხი გასცეს სასამართლოსადმი არსებულ კრიტიკას და საჯაროდ გააკეთოს განცხადებანი, რაცამ შესაძლოა კიდევ უფრო დააზიანოს სასამართლოს მიუკერძოებლობა და საზოგადოებისათვის დააკნინოს სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტი. მეორე მხრივ, ამგვარმა განცხადებებმა მოსამართლე შესაძლოა საჯარო დისკუსიაში თავად იქცეს მხარედ, რაც ასევე დაუშვებელია ხსენებულ მიზეზთა გამო. თმენის ვალდებულება აპრიორი არ გულისხმობს ყოველგვარი განცხადებების შეწყნარებას, რამეთუ მოსამართლე, როგორც უფლებათა და თავისუფლებათა სუბიექტი უფლებათაუნარიანია პატივისა და ღირსების შემლახველი განცხადებების გამო საერთო სასარჩელო წარმოების გზით მიმართოს სასამართლოს²⁵ და დააყენოს კონკრეტული მოთხოვნანი, გავრცელებული ცნობების უარყოფა, ბოდიშის მოხდა, მორალური ან მატერიალური ზიანის ანაზღაურება და სხვა. თუმცა, მისი მაღალი სამოსამართლო მანდატიდან გამომდინარე, იგი მოკლებულია შესაძლებლობას ნაცვლად ან პარალელურად ამ სამართლებრივი გზისა, საჯაროდ გააკეთოს სასამართლოს დამაზიანებელი განცხადებები, რომელიც შესაძლოა გარკვეულ შემთხვევებში არც იყოს მყისიერი ეფექტის, თუმცა ამგვარი პრეცედენტი თავისთავად დაუშვებელია.

განსხვავებით განხილული წინა ორი საკითხისაგან, სხვაგვარი მოწესრიგებაა შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება მართლმსაჯულების რეფორმის, სასამართლო ინსტიტუციის ანდა საზოგადოებისათვის არსებითად მნიშვნელოვანი საკითხის განხილვას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლოს დიდმა პალატამ 2016 წელს გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე ბაკა უნგრეთის წინააღმდეგ.²⁶ განმცხადებელი განმცხადებელი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, აირჩიეს უნგრეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ექვსი წლის ვადით, რომელიც 2015 წელს იწურებოდა. სასამართლოს თავმჯდომარის და იუსტიციის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ ყოფნის დროს, მან არაერთხელ გამოხატა საკუთარი შეხედულება სასამართლო ხელისუფლებაზე გავლენის მქონე სხვადასხვა საკანონმდებლო რეფორმების შესახებ, როგორც მედიასთან, ასევე პარლამენტში მაღალი ტრიბუნლიდან. რასაც მოჰყვა გარდამავალ დებულებებში ცვლილება და სრულად გარდაიქმნა უზენაესი სასამართლო, შედეგად, განმცხადებლის, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მანდატი, დასრულდა 2012 წლის 1 იანვარს. ახალი უზენაესი

²⁴ იხ. „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და მისი კომენტარი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბ. 2015, 102-103.

²⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-591-591-2018, რომლის მიხედვითაც, საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ვ.კ.-მ მიმართა სასამართლოს მოქალაქე ფ.ა-ის მიმართ ამ უკანასკნელისგან გაკეთებული მოსარჩელის აზრით პატივისა და ღირსების შემლახველი განცხადებების გამო.

²⁶ იხ. Case of Baka v. Hungary, no. 20261/12, § 158, ECHR Grand Chamber, 2016VI

სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის კრიტერიუმების მიხედვით, კანდიდატებს მოეთხოვებოდათ უნგრეთში მოსამართლედ მუშაობის ხუთწლიანი გამოცდილება. საერთაშორისო სასამართლოში მოსამართლედ მუშაობის პერიოდი არ ითვლებოდა. ამის გამო, აღმოჩნდა, რომ განმცხადებელი არ აკმაყოფილებდა ახალი თავმჯდომარის თანამდებობისათვის განსაზღვრულ მოთხოვნას. აღსანიშნავია, რომ საქმის ზეპირი განხილვის დროს, მოსამართლე პინტო დე ალბუკერკეს კითხვაზე, თუ რა იყო ისეთი ლეგიტიმური მიზანი ახალი კრიტერიუმების შემუშავებისა, რასაც ვერ დააკმაყოფილებდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში თითქმის 20 წლიანი სამოსამართლო სტაჟის მოსამართლე, უნგრეთის მთავრობამ პასუხი ვერ გასცა.²⁷

უპირველესად, სასამართლომ კიდევ ერთხელ განმარტა სამოსამართლო ეთიკის ზოგადი პრინციპი, რომ სასამართლო სისტემაში მოღვაწე საჯარო თანამდებობის პირებისაგან მოსალოდნელია გამოხატვის თავისუფლების მხრივ თავშეკავების გამოჩენა ყველა შემთხვევაში, როდესაც შესაძლოა ექვემდებარება დადგეს სასამართლოს ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა.²⁸ ზუსტი ინფორმაციის გავრცელებაც კი უნდა მოხდეს ზომიერად და მართებულად.²⁹ სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს ხაზგასმით საზოგადოებაში სასამართლო ხელისუფლების განსაკუთრებული როლის შესახებ, სასამართლო წარმოადგენს მართლმსაჯულების, კანონის უზენაესობის პრინციპით მართულ ქვეყანაში ფუნდამენტური ღირებულების გარანტს, შესაბამისად, საკუთარი მოვალეობების წარმატების განხორციელებისათვის იგი უნდა სარგებლობდეს საზოგადოების ნდობით³⁰. სწორედ ამ მიზეზის გამო, სასამართლო ხელისუფლების ორგანოებს, მაქსიმალური წინდახედულება მოეთხოვებათ, რათა მიუკერძოებელი მოსამართლეების რეპუტაცია შეინარჩუნონ. თუმცა ამის მიუხედავად, სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ხელისუფლების დანაწილებასა და სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვის მნიშვნელობას, ამიტომ განმცხადებლის მსგავს შემთხვევაში მოსამართლის გამოხატვის თავისუფლებაში ნებისმიერი ჩარევა მოითხოვს სასამართლოს მხრიდან დიდი ყურადღებით განხილვას. გარდა ამისა, მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები ექცევა საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში და მის გარშემო მსჯელობაზე, მე-10 მუხლის საფუძველზე, ვრცელდება დაცვის მაღალი დონე³¹. იმ შემთხვევაშიც კი, თუ განსახილველ საკითხს პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, მხოლოდ ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მოსამართლემ ვერ შეძლოს ასეთ საკითხთან დაკავშირებით განცხადების გაკეთება.³² დემოკრატიულ საზოგადოებაში ხელისუფლების დანაწილებასთან დაკავშირებული საკითხები შეიძლება მოიცავდეს ძალიან მნიშვნელოვან თემებს და საზოგადოებას გააჩნია ლეგიტიმური ინტერესი, ინფორმირებული იყოს ისეთი თემების შესახებ, რომლებიც ექცევა პოლიტიკური მსჯელობის ფარგლებში³³. ამის გათვალისწინებით კი, მოსამართლის აზრი, მისი მაღალი თანამდებობის გათვალისწინებით საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე საინტერესოა. აქვე საყურადღებოა ფუნქციები, თუ რა სტატუსით აკეთებს განცხადებას მოსამართლე პოლიტიკურ საკითხებზე. მოსამართლე ბაკას შემთხვევაში, მას შეთავსებული ჰქონდა ადმინისტრაციული ფუნქციებიც და ამასთან იგი იყო ქვეყნის სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი პირი. კუდეშკინას საქმეზე³⁴ სასამართლომ განმარტა რომ სანქციის შიშს „მსუსხავი ეფექტი“, ანუ უარყოფითი ზეგავლენა აქვს გამოხატვის თავისუფლებაზე, განსაკუთრებით სხვა მოსამართლეებზე, რომლებსაც აქვთ მართლმსაჯულების

²⁷ Grand Chamber hearing - 17 June 2015 on case Baka v. Hungary no. 20261/12, 1:04:30 h.

²⁸ იხ. Case of Wille v. Liechtenstein, no. 28396/95, § 64, ECHR Grand Chamber, 1999X

²⁹ Kudeshkina v. Russia, no. 29492/05, § 93, ECHR First Section, 2009II

³⁰ იქვე § 86

³¹ იქვე § 86

³² იხ. Case of Wille v. Liechtenstein, no. 28396/95, § 67, ECHR Grand Chamber, 1999X

³³ იხ. Case of Guja v. Moldova, no. 14277/04, § 88, ECHR Grand Chamber, 2008II

³⁴ იხ. Case of Kudeshkina v. Russia, no. 29492/05, § 99-100, ECHR First Section, 2009II

აღსრულება და სასამართლოსთან დაკავშირებულ საკითხებზე საჯარო განხილვებში მონაწილეობის სურვილი.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ თუნდაც პოლიტიკურ პროცესებზე, რომლებიც მომდინარეობს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხებიდან, მოსამართლისათვის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ იმიტომ, რომ პროცესები პოლიტიზებულია არასწორია, რადგან განსახილველ საკითხებს გავლენა აქვს იმ პროცესებზე, რომელშიც უშუალოდ მოსამართლე მისი საქმიანობითაა ჩართული ანდა საკითხები მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე საჭიროებს კრიტიკასა და შეფასებებს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში მოსამართლის გამოხატვის თავისუფლება უპირატესია მის თანამდებობრივ შეზღუდვებთან მიმართებით.

დასკვნა

თანამედროვე სახელმწიფოს ინსტიტუციური მედეგობისა და მდგრადობისათვის, განსაკუთრებით კი, განვითარებადი დემოკრატიის სახელმწიფოში საციცოცხლოდ მნიშვნელოვანია პლურალიზმი³⁵ და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი სახელმწიფო თუ სოციალური საკითხების მრავალ წახნაგოვანი შეფასება, რომლის რეალიზების საშუალებასაც წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლება. უფლებით დაცულ სფეროში საყოველთაოდ შეთანხმებული ლეგიტიმური საჯარო მიზნებით ჩარევა უნდა იყოს მკაფიო, განჭვრეტადი ნორმატიული აქტით განხორციელებული და თანაზომიერი. სხვაგვარად კი, მხოლოდ ლეგიტიმური საჯარო მიზნით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა საწინდარია არასასურველ მოზასრებასთან საბრძოლველად, რაც ტოტალიტარული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საწინდარია. მოსამართლეობა არ გულისხმობს, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თუ თავისუფლებების დათმობას, ანდა მათ არათანაზომიერ შეზღუდვას. შესაბამისად, მოსამართლე ზემოთ განხილული დათქმებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით უფლებამოსილია განიხილოს და საჯაროდ გამოთქვას მისი აზრები საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე. აღნიშნულის გამო მოსამართლის მიმართ დამდგარი რაიმე პასუხისმგებლობა კი, ეწინააღმდეგება სადისციპლინო სამართალწარმოების პრინციპებს³⁶, ხოლო, მეორე მხრივ ზღუდავს მოსამართლის ინდივიდუალურ დამოუკიდებლობას.

³⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პოზიტიურ ვალდებულებას აკისრებს სახელმწიფოს, რომ პლურალიზმი და მრავალფეროვნება აღქმულ იქნეს, როგორც მრავალფეროვნება და არა როგორც საფრთხე - *Nachova and others v. Bulgaria*, no. 43577/98 43579/98, § 144, ECHR Grand Chamber, 2005VII

³⁶ იხ. *Disciplinary proceedings or proceedings to remove a judge must comply with fair trial guarantees*, Judicial Seminar 2018 The Authority of the Judiciary, European Court of Human Rights, 3-4.

მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-4 მუხლის მიხედვით

შესავალი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-4 მუხლით დაცული უფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ უფლებას.¹ აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტი არ ექვემდებარება სამართლებრივ შეზღუდვას.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის გარდა, უამრავი საერთაშორისო კონვენცია იცავს პირებს მონობის, ყმობისა თუ იძულებითი შრომისგან. მიუხედავად იმისა, რომ მონობა 150 წლის წინ გაუქმდა, აღნიშნული არაფორმალურად ისევ განაგრძობს არსებობას ათასობით ადამიანისთვის, რომელთა უმრავლესობაც ქალია.

ევროპული კონვენციის მე-4 მუხლის თავდაპირველი ვერსია შემდგენიარად იყო ფორმულირებული: „ამ კონვენციის ყოველმა წევრმა სახელმწიფომ ყველა ადამიანისთვის უნდა უზრუნველყოს თავის ტერიტორიაზე: (გ) თავისუფლება მონობისა და ყმობისაგან, აგრეთვე სავალდებულო შრომისაგან დისკრიმინაციული ნიშნით“.² შემდგომი შეცვლილი ვერსია ასე გამოიყურება: „გათავისუფლება მონობისა და ყმობისაგან, როგორც არის მოცემული გაეროს დეკლარაციის მე-4 მუხლში“. კომიტეტის მიერ შემოთავაზებული ტექსტი მიღებულ იქნა საკონსულტაციო ასამბლეის მიერ განხილვის გარეშე. ექსპერტთა კომიტეტში გაერთიანებულმა სამეფომ წარმოადგინა გაცილებით უფრო დეტალური ტექსტი, რომლის თანახმადაც:

- არავინ შეიძლება იმყოფებოდეს მონობაში; მონობა და მონათ-ვაჭრობა აკრძალულია ყველა ფორმით;
- არავინ შეიძლება იმყოფებოდეს ყმობაში;
- არავის უნდა მოეთხოვოს იძულებით ან სავალდებულო შრომის განხორციელება დანამაულისთვის მსჯავრდებულისა.

ექსპერტთა კომიტეტის მიერ მინისტრთა კაბინეტისთვის წარდგენილ იქნა ორი განსხვავებული კანონპროექტი, რომელთაგანაც საბოლოოდ მიღებულ იქნა გაერთიანებული სამეფოს შემოთავაზებული.

ნორმის აგებულიდან გამომდინარე, პირველი პუნქტი ადგენს ზოგად პრინციპს, რომ „არავინ შეიძლება იმყოფებოდეს მონობაში ან ყმობაში“. ტექსტი იდენტურია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა, თუმცა ეს უკანასკნელი დებულება სრულდება სიტყვებით „ყველა სახის მონობა და მონათ-ვაჭრობა აკრძალულია“.

1. მონობის, ყმობისა და იძულებითი შრომის განმარტება ევროპული კონვენციის თანახმად

მონობის შესახებ კონვენციის მიხედვით, მონობა არის პიროვნების სტატუსი ან მდგომარეობა, რომელზეც ხორციელდება საკუთრების უფლების წარმოშობისკენ მიმართული მოქმედებები.³ აღნიშნულ

¹ Siliadin v. France, § 112; Stummer v. Austria [GC], § 116

² Explanation relating to the Charter of Fundamental Rights, Official Journal of the European Union, C 303/33, 14 December 2007.

³ კონვენცია მონობის შესახებ, 09/03/1927, 1-ლი მუხლი

განმარტებას იყენებს სასამართლო მე-4 მუხლის მიზნებზე მსჯელობისას და მიიჩნევს, რომ საუკუნეთა განმავლობაში ეს იყო მონობის კლასიკური განმარტება.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისგან განსხვავებით, მოცემული დანაწესი არ ამახვილებს ყურადღებას მონათ-ვაჭრობასა და მის შემადგენლობაზე, რაც, შესაძლოა, მუხლის ხარვეზს წარმოადგენდეს. საქმეზე *სილიადინი საფრანგეთის წინააღმდეგ*⁴ სასამართლომ განიხილა მონობის კონცეფციის გამოყენება ახალგაზრდა აფრიკელი ქალბატონის გარემოებებზე დაყრდნობით. საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, განმცხადებელი ჩამოვიდა საფრანგეთში 1994 წელს 15 წლისა და 7 თვის ასაკში Mrs.D-სთან ერთად, რომელიც საფრანგეთის მოქალაქე იყო. განმცხადებელს ჰქონდა პასპორტი და ტურისტული ვიზა. შეთანხმების თანახმად, მას უნდა ემუშავა Mrs.D-ს სახლში იქამდე, სანამ ავიატრანსპორტის ბილეთისთვის გადახდილი თანხას არ გადაუხდიდა. თავის მხრივ, Mrs.D-ს მისთვის უნდა მოეპოვებინა საიმიგრაციო სტატუსი და ამასთან, შეეყვანა სკოლაში. რეალურად კი, აპლიკანტი გახდა მოახლე, პასპორტი კი მას მოჰპარეს. 1994 წლის მეორე ნახევარში Mrs.D-მ „ათხოვა“ განმცხადებელი სხვა ოჯახს, რომელთაც ჰყავდათ ორი შვილი. განმცხადებელი, მათი თქმით, დაეხმარებოდა ფეხმძიმე ქალს ოჯახის საქმეებში. აპლიკანტი გახდა მოახლე მეორე შემთხვევაშიც. ის მუშაობდა 7 დღე კვირაში, დასვენების დღის გარეშე. აპლიკანტს ეძინა იატაკზე განთავსებულ ლეიბზე ბავშვის ოთახში, რათა გაღვიძებისას მოეარა მისთვის. მას მხოლოდ ერთხელ გადაუხადეს თანხა გაწეული სამუშაოსთვის 500 ფრანკის ოდენობით. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელთან მიმართებით აშკარა იყო მისი პირადი ავტონომიის მკაფიოდ ჩამორთმევა და მას განიხილავდნენ საგნად, ობიექტად, სასამართლომ აღნიშნა, რომ მტკიცებულება არ არსებობდა მისი პირად საკუთრებაში ყოფნის დასადასტურებლად. მან დაიწყო მუშაობა პატარა ასაკიდანვე, ჩამორთმეული ჰქონდა პირადობის მოწმობა და პირობა, რომ მიიღებდა განათლებას არ განხორციელებულა. სასამართლომ აღნიშნულ გარემოებებზე იმსჯელა და განაცხადა, რომ სახეზე იყო ყმობის შემადგენლობა.⁵

სასამართლომ ასევე გამოიყენა ცნება „მონობა“ ბოშა გოგონასთან მიმართებით, რომელიც გაყიდულ იქნა იტალიაში კრიმინალებზე, მიუხედავად იმისა, რომ გამოყენებული იყო ქორწინების ფორმა. გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო, რომ არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულება მონობის დასამტკიცებლად, თუნდაც დამტკიცებელიყო, რომ ქორწინების დროს მეორე მხარისათვის (განმცხადებლის მამისთვის) თანხა გადაეცათ. სასამართლომ განაცხადა, რომ მსგავსი ფულადი „გაცვლები“ ვერ ჩაითვლება საკუთრების გადაცემისათვის განსაზღვრულ თანხად და შესაბამისად მონობად. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „ქორწინება არის ღრმა, ფესვებგადგმული სოციალური და კულტურული კონოტაციების ერთობლიობა, რომელიც სავსებით შესაძლებელია განსხვავდებოდეს სხვადასხვა საზოგადოებაში. ასეთი შემთხვევა შეიძლება განიხილოს გონივრულ მოქმედებად, თუ ჩავთვლით, რომ ერთმა ოჯახმა მეორეს გადასცა საჩუქარი, რაც ერთგვარ ტრადიციას წარმოადგენს მრავალ კულტურაში.“⁶

მონობასა და ყმობას შორის განსხვავდება მდგომარეობს საკუთრების ცნებასთან მიმართებით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ ყმობა განმარტა როგორც თავისუფლების განსაკუთრებით სერიოზული ფორმით მიუღებლობა. იქვე ნათქვამია, რომ სხვადასხვა მოქმედებათა შესრულების ვალდებულების გარდა, ყმობა მოიცავს მოვალეობას იცხოვრო „ბატონისთვის“ და მოუარო მის ქონებას, მოცემული მდგომარეობის შეუცვლელად. კონვენციის მიზნებისათვის, ყმობა გულისხმობს

⁴ Siliadin v. France, Application N 73316/01 https://ec.europa.eu/anti-trafficking/legislation-and-case-law-case-law/siliadin-v-france-application-no-7331601_en

⁵ Siliadin v. France, Judgement of 26/10/2005 https://ec.europa.eu/anti-trafficking/legislation-and-case-law-case-law/siliadin-v-france-application-no-7331601_en

⁶ M. and Others v. Italy and Bulgaria, Judgement of 01/08/2012 [https://hudoc.echr.coe.int/eng#{"itemid":\["001-112576"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

მომსახურების ვალდებულებას იძულებით, პირის ნების საწინააღმდეგოდ, რაც პირდაპირ კავშირშია მონობის კონცეფციასთან.⁷

ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა ყმობაზე საქმეში C.N. და V. საფრანგეთის წინააღმდეგ,⁸ რომლის მიხედვითაც ორი და ბურუნდიდან გაგზავნეს პარიზში ნათესავებთან, როდესაც ისინი ჯერ კიდევ პატარები იყვნენ. ისინი გახდნენ სხვადასხვა ფორმით ძალადობის მსხვერპლნი და ცხოვრობდნენ არაადამიანურ პირობებში, რის შედეგადაც დაიწყო სისხლის სამართლებრივი პროცესი. ერთ-ერთი და ჩაკეტილი იყო სახლში, სადაც ასრულებდა მრავალი სახის საოჯახო საქმეს და არ ჰქონდა უფლება განათლების მიღებისა, როდესაც მეორე სკოლაში დადიოდა. სასამართლომ განასხვავა ორი სიტუაცია. გოგონას, რომელიც სახლში დარჩა, სჯეროდა, რომ მისი სტატუსი საფრანგეთში დამოკიდებული იყო მოქალაქეობასა და ოჯახზე, მას არ შეეძლო სახლის დატოვება, რადგან მას არ ჰქონდა ამ ქვეყანაში ცხოვრების უფლება. იმის გამო, რომ ის არ იყო განათლებული, არ ჰქონდა იმედი, რომ იპოვიდა სამსახურს. მას არ ჰქონდა დასვენების დღე, არც დასვენებისათვის გამოყოფილი დრო და განვითარების არანაირი შესაძლებლობა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ყმობა იძულებითი ან სავალდებულო შრომის კონკრეტული ფორმაა, ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „გართულებულ“ იძულებით ან სავალდებულო შრომას წარმოადგენს. კონვენციის მე-4 მუხლის მნიშვნელობით, ყმობასა და იძულებით ან სავალდებულო შრომას შორის არსებითი განმასხვავებელი ფაქტორია მსხვერპლთა გაცდა, რომ მათი მდგომარეობა მუდმივია და ვითარება შეუცვლელი. სასამართლო მიიჩნევს, რომ საკმარისია, ეს განწყობა ეფუძნებოდეს სიტუაციიდან გამომდინარე ობიექტურ კრიტერიუმებს და სახეზე იქნება ყმობა.⁹ რაც შეეხება შიდა ყმობას, სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შიდა ყმობა არის კონკრეტული დანაშაული, რომელიც განსხვავდება ტრეფიკინგისა და ექსპლუატაციისგან. ის მოიცავს კომპლექსურ დინამიკას, რომელიც, თავის მხრივ, აერთიანებს იძულებასა და მის შეფარულ ფორმებს.

ტერმინი „იძულებითი ან სავალდებულო შრომა“ ნიშნავს ყოველგვარ სამუშაოსა თუ სამსახურს, რომელიც მოთხოვნილია ნებისმიერი პირისაგან სასჯელის მუქარით და რომელზე თანხმობაც პირის მხრიდან არ გამომდინარეობს პირის ნებიდან.

Van der Musselle v. Belgium¹⁰-ის შემთხვევაში, სასამართლომ იხელმძღვანელა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 29-ე კონვენციით სავალდებულო შრომის განსამარტად. კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი „იძულებითი ან სავალდებულო შრომა“ ნიშნავს ყოველგვარ სამუშაოს ან სამსახურს, რომელიც რაიმე სასჯელის მუქარით მოეთხოვება პირს, რომელსაც ეს პირი ნებაყოფლობით არ ასრულებს. სასამართლო აღნიშნულ დეფინიციას მოცემული პუნქტის საწყისად მიიჩნევს. 29-ე კონვენციაში აღნიშნულია მე-4 მუხლში შემოთავაზებული გამომრიცხველი გარემოებების იდენტური შემთხვევები და ის აკეთებს დათქმას, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ადმინისტრაციის მოხელეების ვალდებულებაა წაახალისონ მოსახლეობა ამა თუ იმ ფორმის სამუშაოს შესრულებაში, ამ მოხელეებს არ შეუძლიათ აიძულონ მოსახლეობა ან ცალკეული პირები იმუშაონ კერძო პირების, კომპანიების ან საზოგადოებების სასარგებლოდ, ხოლო უფროსებს, რომლებიც არ ასრულებენ ადმინისტრაციულ მოვალეობებს, არ შეუძლიათ იძულებითი ან სავალდებულო შრომის გამოყენება. აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილებებში ჯერჯერობით ყურადღება არ გამახვილებულა შრომის ანაზღაურების დაცვის სპეციფიკაზე, რომელიც ითვალისწინებს ხელფასის

⁷ Seguin v. France, Judgement of 07/03/2000 [https://hudoc.echr.coe.int/eng#{"itemid":\["001-31038"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

⁸ C.N. and V. v. France, Judgement of 11/12/2010, [https://hudoc.echr.coe.int/eng#{"itemid":\["001-114032"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{)

⁹ იქვე: § 91

¹⁰ Van der Musselle v. Belgium, Judgement of 23/11/1983 [https://hudoc.echr.coe.int/tur#{"itemid":\["001-57591"\]}](https://hudoc.echr.coe.int/tur#{)

დროულ გადახდას და კრძალავს შრომის ანაზღაურების ისეთი სისტემის გამოყენებას, რომელიც ზღუდავს მშრომელთა სამუშაოდან წასვლის რეალურ შესაძლებლობას.

კონვენციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობისათვის, „შრომის“ უკეთ განსამარტად, სასამართლომ აღნიშნა, რომ ინდივიდუალური სასჯელის შიშით მუშაობა აუცილებლად არ გულისხმობს, რომ სახეზეა იძულებითი ან სავალდებულო შრომა. ძირითადი ფაქტორები, რომლებიც უნდა იყოს გათვალისწინებული ზემოხსენებული კვალიფიკაციისას მოიცავს სამუშაოს ტიპსა და მოცულობას. ეს ფაქტორები „ხელს უწყობს“ იძულებითი შრომის დადგენასა და საკითხის ობიექტურ გააზრებას. Van der Musselle v. Belgium-ის შემთხვევაში, სასამართლო იყენებს ცნებას „არაპროპორციული ტვირთი“, რათა დადგინდეს ადვოკატი ექვემდებარებოდა თუ არა სავალდებულო შრომას, როდესაც ვალდებული იყო დაეცვა პირი უფასოდ, როგორც სასამართლოს მიერ დანიშნულ ადვოკატს.¹¹

ზედსართავი სახელი „იძულებითი“ ძალაუბნებურად ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ძალადობასთან ასოცირდება ჩვენთვის, რაც შეეხება მეორე ზედსართავს „სავალდებულო“-ის არ გვითითებს იძულების ან ვალდებულების შესრულების რომელიმე ფორმაზე. სასამართლოს მაგალითად მოჰყავს თავისუფალი ნების შედეგად დადებული ხელშეკრულება, რომლითაც მხარე იღებს ვალდებულებას შეასრულოს კონკრეტული სამუშაო და ხაზს უსვამს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში სავალდებულო სამუშაოს შეუსრულებლობა ვერ მოექცევა მე-4 მუხლის ფარგლებში. მოცემული მუხლის მიზნებისთვის, სახეზე უნდა იყოს სამუშაო გაწეული ნებისმიერი სასჯელის მუქარით და ასევე შესრულებული პირის ნების საწინააღმდეგოდ.¹²

2. მე-4 მუხლის შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები

აღსანიშნავია, რომ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი გვებმარება მე-2 პუნქტის ინტერპრეტირებისას. ქვეპუნქტები, მიუხედავად მათი მრავალფეროვნებისა, დაფუძნებულია საზოგადო ინტერესზე, სოციალურ პასუხისმგებლობასა და სამოქალაქო საზოგადოების ინტერესებზე.

მე-3 პუნქტის (ა) ქვეპუნქტის თანახმად, იძულებითი ან სავალდებულო სამუშაო არ მოიცავს ნებისმიერ სამუშაოს, რომლის შესრულებაც, ჩვეულებრივ, სავალდებულოა პატიმრობისას, რომელიც შეფარდებულია წინამდებარე კონვენციის მე-5 მუხლის დებულებების შესაბამისად ან ასეთი პატიმრობიდან პირობითი თავისუფლების განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ ნორმის თავდაპირველი ვერსია არ იცნობდა გამომრიცხველ გარემოებებს. ექსპერტთა კომიტეტში დიდი ბრიტანეთის მიერ შეთავაზებული ვერსიის შემდეგ გაჩნდა აღნიშნული დანაწესი, რომლის (ა) ქვეპუნქტიც ჩამოყალიბებული იყო შემდეგნაირად: „ნებისმიერი სამუშაო, რომელიც უნდა შესრულდეს პატიმრობისას სასამართლოს კანონიერი ბრძანების შესაბამისად.“¹³ იმისათვის, რომ დადგინდეს თუ რა უნდა ითვლებოდეს „პატიმრობისას“, ჩვეულებრივ, სავალდებულო სამუშაოდ“ სასამართლო ექვემდებარება წევრ სახელმწიფოებში არსებულ სტანდარტებს. მაგალითად, როდესაც სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს რეციდივისტი პატიმრის სავალდებულო სამუშაო, მისი მიდგომა შესაძლოა ეფუძნებოდეს ე.წ. გარკვეული დანაზოგების დაგროვებას. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ განაცხადა, რომ არ არსებობდა საფუძვლები მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის დასაკმაყოფილებლად.¹⁴ პატიმრების შრომის ანაზღაურების შესახებ კომისიამ დაადგინა, რომ მე-4 მუხლი არ შეიცავს რაიმე სახის

¹¹ იქვე: §39 [https://hudoc.echr.coe.int/tur#{"itemid":\["001-57591"\]}](https://hudoc.echr.coe.int/tur#{)

¹² იქვე: §34 [https://hudoc.echr.coe.int/tur#{"itemid":\["001-57591"\]}](https://hudoc.echr.coe.int/tur#{)

¹³ http://legal.un.org/avl/ILC/8th_E/Volu_I.pdf

¹⁴ Van Droogenbroeck v. Belgium, Judgement of 24/06/1982, §59 <https://opil.ouplaw.com/view/10.1093/law:ihrl/34echr82.case.1/law-ihrl-34echr82>

დათქმას, რომ პატიმრებმა სანაცვლოდ რაიმე ანაზღაურება უნდა მიიღონ. სასამართლო აღნიშნავს, რომ აღნიშნულ საკითხთან მიმართებით გარკვეულწილად შეიცვალა მიდგომა, განსაკუთრებით 1987 და 2006 წლის ევროპულ ციხის წესებში (European Prison Rules), სადაც ითხოვენ პატიმართა მუშაობის სამართლიან ანაზღაურებას. თუმცა, ის ფაქტი, რომ პატიმრებს არ უხდებიან თანხას გაწეული სამუშაოსთვის, თავისთავად არ გულისხმობს, რომ მათ აქვთ უფლება უარი თქვან (a) ქვეპუნქტში მითითებულ სავალდებულო შრომაზე.

მე-3 პუნქტის ბ ქვეპუნქტი გამორიცხავს იძულებითი ან სავალდებულო შრომის არსებობას იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა სამხედრო ხასიათის ნებისმიერი სამსახური, ან სავალდებულო სამხედრო სამსახურის ნაცვლად დაკისრებული სამსახური იმ ქვეყნებში, სადაც შინაგანი მრწამსის გამო, სამხედრო სამსახურის გავლაზე უარის თქმის უფლება აღიარებულია.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია, განვიხილოთ გადაწყვეტილება ბაიათანი სომხეთის წინააღმდეგ,¹⁵ სადაც განმცხადებელმა, იეჰოვას მოწმემ, უარი განაცხადა სამხედრო სამსახურზე შინაგანი მრწამსის გამო, თუმცა ის მზად იყო, შეესრულებინა ალტერნატიული სამსახური. 2001 წელს, როდესაც აპლიკანტი გამოიძახეს სამხედრო სამსახურში გასაწვევად, ის არ გამოცხადდა მოვალეობის შესასრულებლად და დროებით დატოვა სახლი, რათა არ გადაეყვანათ სამხედრო ნაწილში. მას ბრალი წაუყენეს სამხედრო სამსახურის თავის არიდებისთვის და შეუფარდეს სასჯელი. იმ დრომდე არ არსებობდა კანონი, რომელიც ალტერნატიულ სამოქალაქო სამსახურს ითვალისწინებდა შინაგანი მრწამსის გამო სამხედრო სამსახურის შესრულებაზე უარზე მყოფთათვის. სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა დარღვევას, მიუხედავად იმისა, რომ სხვა გადაწყვეტილებებში ხაზს უსვამდა (b) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ, სახელმწიფოთათვის მინიჭებულ დისკრეციაზე, თავად გადაეწყვიტათ ალტერნატიული სამხედრო სამსახურის საკითხის არსებობა მათსავე კანონმდებლობაში. სასამართლომ აღნიშნა, რომ მე-9 მუხლის განმარტების ცვლილება აუცილებელი და განჭვრეტადი იყო და რომ დაუშვებელი იყო ამ დებულების განმარტება 4.3.b მუხლთან ერთობლიობაში. ნებისმიერ შემთხვევაში მე-4 მუხლიდან ირკვეოდა, რომ 3.b ქვეპუნქტის ერთადერთი მიზანი იყო უზრუნველყო „იძულებითი ან სავალდებულო შრომის“ ცნების განმარტება, რაც არც აღიარებს და არც გამორიცხავს შინაგანი რწმენის გამო სამხედრო სამსახურზე უარის უფლებას. შესაბამისად, ამას არ უნდა ქონდეს მე-9 მუხლით გარანტირებული უფლებების დელიმიტაციის ეფექტი.

მე-3 პუნქტის (c) და (d) ქვეპუნქტები ადგენს საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას, რომლის მიხედვითაც საგანგებო მდგომარეობის ან უბედურების დროს, თუ ის საფრთხეს უქმნის ხალხის სიცოცხლეს ან კეთილდღეობას, დაკისრებული ნებისმიერი სამსახური არ წარმოადგენს იძულებით ან სავალდებულო შრომას. შემდეგი ქვეპუნქტი კი მოქალაქეობრივ ვალდებულებას უსვამს ხაზს და განმარტავს, რომ ნებისმიერი სამუშაო ან სამსახური, რომელიც ჩვეულებრივ მოქალაქეობრივ ვალდებულებას განეკუთვნება, არ შეიძლება მოექცეს მე-2 პუნქტით განსაზღვრულ გარემოებებში.

¹⁵ Bayatyan v. Armenia, Judgement of 07/07/2011 <http://co-guide.info/jurisprudence/case-bayatyan-v-armenia-application-no-2345903>



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ავლიბაოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com